

ისტორიკი

იბოი აბიხა
თბილისი
თებეიბეი
(თბილისი
„თბილისი
ისტორიკი“)



საქათბეი
XVII სებეისი
ფიბეი
ჰიბეი

„ბეი
ბეიბეი“
ბეიბეი ბეიბეი

ბეიბეი ბეიბეი
„ბეიბეი ბეიბეი
ბეიბეი“
7 ბეიბეი
(ბეიბეი III) ბეიბეი 7 ბეიბეი
ბეიბეი „ბეიბეიბეი“ ბეიბეი – 10 ბეიბეი

ბეიბეიბეიბეი
ბეიბეიბეი
ბეიბეიბეი
ბეიბეიბეიბეი
ბეიბეიბეიბეი

ბეიბეიბეი
ბეიბეიბეი
„ბეიბეი
ბეიბეიბეი“
ბეიბეიბეიბეი
ბეიბეიბეიბეი


„ბეიბეიბეი
ბეიბეიბეი“
ბეიბეიბეი
ბეიბეიბეი
ბეიბეიბეი

ახალი 7-ტომეული

ქართლის ცხოვრების ქრონიკები

ვახტანგ ჭელიძე

თანამედროვე ენაზე
მოთხრობილი
მხატვრულ-დოკუმენტური
ჟანრის უნიკალური ნაშრომი



III ტომი
პურნალ
ისტორიანის
დეკემბრის
ნომერთან ერთად

ნიშნის ფასი 7 ლ
პურნალთან ერთად 10 ლ

მაგარი ყლითა და შემოსაკრავი სუპერით

გაეცანი ისტორიას – შეეხე წარსულს





50



57



66



72



76



90



98

სახიჩვი

მეოხე ჩიხი
„წამებუნიანი“ იმპერია – გერმანული კოლონიალიზმი 1870-1914 წლებში 50

მეცხე ავაბი
დიმიტრი ყიფიანი – კარგაკცობისთვის დასჯილი მეორე დიმიტრი თავდადებული 57

ახაობა
თბილისის ამირან „არაბული ჯაფხული“ 60

საქათვალის იუსტიციის იუსტიციის
„თბილისის ისტორია“ უკვე გამოვიდა 65

ახალაქიყიანი სანაღობი
ქართველი მხატვრის ტრაგედია 66

მსოფლიო მოზაიკები
კოლონური ველომოგზაურის ავრიკული თავდადებულება 72

სიღინაობა №1
ვლად III ცეკვის გატყობილი სახელი 76

სახალისი ფაქტები
ცნობილი ქართველების ფოტოგამათიანი ... 84

ღიე ჰოლიუდის ბიოგრაფიული
უინსტონ ჩერჩილი – ურჩხულთან ბრძოლის ქრინიკები 90

საქათვალის ტაქიკი
ბათუმის გოტიკური ტაქარი 98

სმოვიბა
ჯანსუღ ჩარკვიანი: სამ ღროვი ვიცოვრე 104

ფაქტები სახალიანი
ისტორიული ამბები კველი ჟურნალ-გაზეთებიდან 111

„ისტორიანი“ ბავშვისთვის
ცოდნის სამყარო 114

სკანვორდი 122

ჟურნალ „ისტორიანი“ ძველი ნომრების შექენა შეეძლიათ „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში. ფასი 2 ლარი

ხელახლობის სვები

საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის პირველ წიგნს, „მეფე თამარს“ მკითხველი საზოგადოება ინტერესით შეხვდა. დეკემბერში სერიის მეორე ტომიც გამოდის, რომელიც გახვთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად გაიყიდება და ასე, ყოველი თვის დასაწყისში, მკითხველს მორიგე ტომთან შეხვედრა მოეწოდება. „ისტორიანის“ ამ ნომერში კი პირველი წიგნის პრეზენტაციის შესახებაც გთავაზობთ ინფორმაციას და მეორე წიგნის ანონსსაც წარმოგიდგენთ. „თბილისის ისტორია“, ვფიქრობთ, იმითაც იქნება გამორჩეული, რომ დედაქალაქს წარმოგიდგენს უამრავი ისტორიული არტეფაქტის, ფოტოსა თუ საგანგებოდ ამ გამოცემისთვის შექმნილი ილუსტრაციების ფონზე.

საზღვარგარეთ მოღვაწე ღირსეული მამულიშვილის, რაჟდენ რუსიშვილისა და რუსიშვილთა საგვარეულოს შესახებ მოგიხსრობთ ვრცელ მიმოხილვაში; პროფესორი გონა ჯაფარიძე გვიამბობს, როგორ მოხვდა ბულა თურქის მიერ ამირა ისპაკ იბნ ისმაილის სიკვდილით დასჯა ისლამურ „ათასწლეულის ისტორიაში“. ქვეყნდება მინიატურაც, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმიდან მიაწოდეს მეცნიერს; გვიამბობთ, თუ როგორ ებრძოდა ჯერ კიდევ 1918 წლიდან ბოლშევიზმს მსოფლიო პოლიტიკის „ბებერ ლომად“ აღიარებული, ლიტერატურაში ნობელის პრემიის ლაურეატი სერ უინსტონ ჩერჩილი; მოგიხსრობთ ბათუმის გოტიკურ ტაძარზე, რომელიც დედის სულის მოსახსენიებლად აუცილებლად ქართველ მეცენატ ძმებს ზუბალაშვილებს.

— სამ დროში ვიცხოვრე, — ამბობს პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი რუბრიკაში „ცხოვრება“ და თავის მონოლოგში ასეთ სტრიქონებსაც გვთავაზობს: „სამ დროში თუ არ ცხოვრობ, არ ხარ კაცი. უნდა გქონდეს წარსული, აწმყო და მომავალი...“

ვფიქრობ, სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება მკითხველთა ფართო წრისთვის გასული საუკუნის კიდევ ერთი ორიგინალური ხელწერის მქონე მხატვრის, თავის დროზე უცხოეთში მოღვაწე შალვა ქიქოძის ნამუშევრების გაცნობა. იქნებ ამ პუბლიკაციამაც შეუწყოს ხელი და არ დაიკარგოს ქართველი მხატვრის მიტოვებული საფლავი გერმანიაში.

გავაზარა რედაქციაში თურქეთიდან მოსულმა წერილმა. იგი მოგვითხრობს თურქეთელი ქართველის, ანკარის სამეცნიერო ლიცეუმის დამფუძნებლის, აჰმედ დინჩერ ქოქოლადის შესახებ, რომელიც თავის ისტორიულ სამშობლოში ჩამოსასვლელად ემზადება. ამ წერილით ისიც დასტურდება, რომ ჩვენს ჟურნალს თვალყურს თურქეთის ქართველობაც ადევნებს...



როგორ მოხვდა ბულა თურქის მიერ ამირა ისპაკ იბნ ისმაილის სიკვდილით დასჯა ისლამურ „ათასწლეულის ისტორიაში“

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური,
ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე,
მიხეილ ბარნოვი, შოთა მათითაშვილი, კახაბერ
ყალიჩაუა, ნიკოლოზ ხოფერია

კორექტორები:
ნანა მაჭუარაძე
ნინო აბუსაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარედაქციო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და
წიგნების გაყიდვების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 238-26-73

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი: 219-60-13; 219-60-53
e-mail: contact@palitra.ge

ნაპოლეონის ქუდი 1,9 მილიონ ევროდ ბაიყიდა



ნაპოლეონის ქუდი აუქციონის წინ

სამხრეთ კორეელმა კოლექციონერმა ნაპოლეონის ქუდში 1,9 მილიონი ევრო გადაიხადა. ბონაპარტს ის 1800 წელს მარენგოს ბრძოლაში ეხურა. მოგვიანებით კი საჯინიბოს ვეტერინარს აჩუქა.

ორწევრიანი ქუდი იმდროინდელი სამხედრო ფორმის ჩვეულებრივი ატრიბუტი იყო, თუმცა ნაპოლეონმა ის ექსკლუზიურად მას შემდეგ აქცია, რაც 90 გრადუსით შეატრიალა და მხრების პარალელურად დაიხურა.

აუქციონი, სადაც იმპერატორის გარდერობიდან ასობით ნივთი იყო გამოტანილი,

ქუდი მხურავსო, ამ კორეელმა უნდა თქვას



ქალაქ ფონტენბლოში მოეწყო. ამ ქალაქშია განლაგებული აღორძინების პერიოდის დიდებული სასახლე, რომელიც საფრანგეთის არაერთი მმართველის რეზიდენცია იყო.

ნაპოლეონის გარდერობის ყველაზე ცნობილი ელემენტი და მსოფლიო ისტორიაში ალბათ, ყველაზე ცნობილი ქუდი, აუქციონამდე მონაკოს სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა. კოლექცია მონაკოს ამჟამინდელი მონარქის, ალბერ II-ის დიდმა ბაბუამ, პრინცმა ლუი II-მ შექმნა. ექსპონატებიდან შემოსული თანხა მონაკოს სამეფო სასახლის რესტავრაციას მოხმარდება.

ნაპოლეონის ქუდის საწყისი ფასი 300-400 ათასი ევრო იყო. საბოლოო ჯამში, აუქციონზე ყველაზე მაღალი თანხა, 1,5 მილიონი ევრო დაასახელა კოლექციონერმა სამხრეთ კორეიდან. საკომისიო თანხების გათვალისწინებით, ექსპონატი მას 1,9 მლნ ევრო დაუჯდა.

ჩვენამდე ნაპოლეონის სულ ცხრამეტმა ქუდმა მოაღწია. ისტორიული წყაროების მიხედვით, იმპერატორმა 120-ზე მეტი ქუდი გამოიცვალა.

მოზადებულია BBC-ის მიხედვით

ლაზერი რესტავრატორებისთვის



ლაზერი ექსპონატს მცირედ ზიანსაც კი არ აყენებს

ვატიკანის მუზეუმებში დაცულია ფერწერისა და სკულპტურის მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კოლექციები. ხელოვნების უძველესი და ფასდაუდებელი ნიმუშების მოვლა და აღდგენა უდიდეს ოსტატობასა და სიფაქიზეს ითხოვს.

მტვრისა და ჭუჭყისგან ხელოვნების ნიმუშის გაწმენდა რესტავრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. აუცილებელია, რომ არ დაზიანდეს ფერწერული ტილოს ან სკულპტურის ზედაპირი. სპეციალისტთა აზრით, ამ მოთხოვნას ლაზერული ტექნოლოგიები პასუხობს, რომლებმაც შესაძლოა ხელოვნების ნიმუშების გაწმენდის ტრადიციული მეთოდის ჩანაცვლოს. ლაზერულ აპარატს შეუძლია უმცირესი ზიანის გარეშე გაწმინდოს ხელოვნების ნიმუში, რომლის რესტავრაცია ან კონსერვაციაა აუცილებელი. ლაზერს იყენებენ ვატიკანის მუზეუმების სარესტავრაციო სახელოსნოებში.

გი დვერეჟისი (მარმარილოსა და ქვაზე კვეთის სახელოსნოს ხელმძღვანელი): „შეიძლება ითქვას, შედეგი შთაბეჭდავია, თუმცა ჯადოსნური და ყველაფერზე მორგებული არ გახლავთ. ეს წმენდის უფრო მსუბუქი ფორმა და შეგვიძლია კარგი შედეგი ისე მივიღოთ, რომ ექსპონატს მცირედი ზიანიც კი არ მივაყენოთ. რესტავრაციის ყველა სხვა საშუალებას უკუჩვენება აქვს“.

გამოსხივების სიმძლავრეს თავად რესტავრატორი არჩევს, შეუძლია ხუთი სხვადასხვა სიმძლავრის მოწყობილობის გამოყენებაც. ვიდრე მუშაობას შეუდგებოდეს, ტესტს იმ მასალაზე აწვობს, რომელიც ექსპონატის სტრუქტურისა და შემადგენლობის იდენტიფიცირებას უწყობს.

ლაზერით არა მხოლოდ მარმარილოს, არამედ ქსოვილებისა და აპლიკაციების გაწმენდაც შესაძლებელია.

კატრინ რივერი (რესტავრატორი): „განსაკუთრებით რთული ბუმბულის გაწმენდაა. ბუმბული მტვერსა და სხვა სახის ჭუჭყს სწრაფად იკრავს. ჩვეულებრივი მეთოდით გაწმენდა კი მას აუხეშებს, განსაკუთრებით, წმენდის ქიმიური მეთოდი. ასეთი ამოცანისთვის ლაზერი საუკეთესო გადაწყვეტილებაა“.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ეს სიახლე ისტორიული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების თანაარსებობის საუკეთესო დემონსტრირებაა.

მომზადებულია Euronews-ის მიხედვით

ბიბანახი სფინქსი... ხანიფოხნიდან

კალიფორნიის შტატში არქეოლოგებმა სფინქსის გიგანტური ქანდაკების ნაშთებს მიაკვლიეს, რომელიც 91 წლის წინ გახმაურებული ფილმის, „ათი მცნების“ გადაღებისას გამოიყენეს.

სფინქსს სოფელ გვადალუპეს ქვიშის დიუნები თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ფარავდა. იგი 1923 წელს სპეციალურად ფილმის გადაღებისთვის შექმნეს.

არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი დუგ ჯენზენი ამბობს, რომ სკულპტურის რესტავრაციაზე სპეციალისტები ერთ წელიწადს იმუშავენ, შემდეგ კი გიგანტურ სფინქსს კალიფორნიიდან სპეციალურ ექსპოზიციაზე წარადგენენ.

ქანდაკების სიმაღლე 4,5 მეტრია და ერთერთია იმ 21 სკულპტურიდან, რომელიც რეჟისორმა სესილ დემილმა გადაღებისას გამოიყენა. სფინქსის ნაწილები ლოს-ანჯელესში დაამზადეს, შემდეგ კი 256 კილომეტრით დაშორებულ გვადალუპეში ჩამოიტანეს.

ფილმმა „ათი მცნებამ“ მაყურებელს თავი მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი დეკორაციებით დაამახსოვრა. ეს დეკორაციები საგანგებოდ ააგეს გადასაღები მოედნისთვის. XX საუკუნის 20-იანი წლები ის პერიოდია, როდესაც ჯერ არანაირი სპეცეფექტი არ არ-



სესილ დემილი

სებობდა და ფილმის შემქმნელები იძულებული იყვნენ, ნატურალური ზომის დეკორაციები დაემზადებინათ. სწორედ იმიტომ, რომ კადრში დიადი უნდა გამოჩენილიყო, ფარაონთა ქალაქის შესასვლელის დეკორაციის სიმაღლე 12 იარუსს აღწევდა, სიგანე კი 220 მეტრი იყო.

მომზადებულია History.com-ის მიხედვით



ახე გამოიყურება სფინქსი დღეს

მორიგი აღმოჩენა დვანისში

დვანისის რაიონის სოფელ განთიადში კაბელების გაყვანას საქართველოს ეროვნული მუზეუმის სპეციალისტების საგულისხმო აღმოჩენა მოჰყვა. არქეოლოგებმა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებულ, დიდი ზომის ქვის ფილებით გადახურულ სამარხებსა და ქვაყრილებს მიაკვლიეს. მათგან ერთი, სოფლის განაპირას მდებარე საფარაულოდ, ახალგაზრდა და წარჩინებულ მეომარს ეკუთვნის. სპეციალისტები ამბობენ, რომ ამ გარაულს გათხრისას აღმოჩენილი საომარი აღჭურვილობა ადასტურებს.

კახი კახიანი (არქეოლოგი): „სამარხი წარჩინებულ მეომარს ეკუთვნის, რომელიც მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. იმ პერიოდში დაკრძალვის წესის მიხედვით, მამაკაცს მარჯვენა გვერდზე კრძალავდნენ, ქალს — მარცხენაზე. ამ გარაულს გათხრისას აღმოჩენილი საომარი აღჭურვილობა ადასტურებს. თავთან ჩატანებულია ორი მილაკი და ერთი სამაჯური, რომელიც წარჩინების ერთ-ერთი ნიშანია. ფეხებთან ბრინჯაოს ორი საკანჭური. ასეთი თიხის ჭურჭელი გვიან რკინის ხანაში იშვიათია. იმედი გვაქვს, რომ ქვემოთ, იატაკისკენ, კიდევ სხვა ნივთებიც შეგვხვდება“.

ამავე სამარხში ნაპოვანია ოთხი კერამიკული ჭურჭელი, რომელთაგან ერთ-ერთს ჩაიდნისებური ფორმის ტუჩი აქვს. ასეთი ფორმის ჭურჭელი იმ პერიოდის სამარხებში გამოვლენილი არ არის. არქეოლოგებმა აქვე მიაკვლიეს შუბისპირს, ბრინჯაოს სამაჯურებსა და კაურ (ნიჟარისებური) მძივს, რომელიც საფარაულოდ იმპორტული უნდა იყოს.

განთიადში სამარხი სატელეკომუნიკაციო კომპანიის თანამშრომლებმა ნოემბრის დასაწყისში, სოფლის განაპირას ოპტიკურბოჭკოვანი ქსელის გაყვანისას აღმოაჩინეს. მიწის თხრის დროს საეჭვო ფილებს გადააწყვედნენ,

შემდეგ კი ჭურჭელიც იპოვეს და ეროვნულ მუზეუმს დაუკავშირდნენ.

უნიკალური აღმოჩენის ადგილას გაწმენდის სამუშაოები 9 დღეს გაგრძელდა. აღმოჩენილ ნივთებს ეროვნულ მუზეუმში გადაიტანენ, სადაც მოხდება მათი რესტავრაცია, კონსერვაცია და მეცნიერული შესწავლა.

არქეოლოგების თქმით, მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს კიდევ 25-მდე სამარხია აღმოჩენილი, რომელთაც მეცნიერები აღრეშუასაუკუნეების პერიოდს მიაკუთვნებენ.

„ისტორიანი“

ოთხი კერამიკული ჭურჭელი



ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

პალიტრა მედია გისმენთ!..

 **ღარაკეთ: 219 60 13**

 **მოგვწერეთ: contact@palitra.ge**

ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით

ჰეხმესი – ფიციჲ II მახედონეის მებზუხი სჯეთში

საბერძნეთში იპოვეს მოზაიკა, რომელზეც, მკვლევართა ვარაუდით, ალექსანდრე მაკედონელის მამა, ფილიპე II არის გამოსახული.

მოზაიკა თეთრი, შავი, ცისფერი, წითელი, ყვითელი და ნაცრისფერი ქვებით არის შესრულებული. მასზე ორი მამაკაცია — ერთი, თეთრ ცხენებზემულ ეტლზე ზის და თავზე დაფნის გვირგვინი ადგას. ცხენებს კი წინ ჰერმესი მიუძღვის, ღმერთი, რომელიც ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, გარდაცვლილთა სულებს მიწისქვეშა სამეფოში აცილებდა.

ღორთი კინგი, არქეოლოგი: „მოზაიკაზე აშკარაა ჰერმესის გამოსახულება, ზუსტად იმ სტილში, როგორადაც მას ძველ ბერძნულ და მაკედონიურ იკონოგრაფიაში გამოსახავდნენ, მაგრამ ვინ არის მამაკაცი, რომელიც ეტლს მართავს და რომელსაც ჰერმესი წინ მიუძღვის? ვვარაუდობთ, რომ ის ფილიპე II მაკედონელი უნდა იყოს, რომელიც პროფილითაა გამოსა-

ხული და სახის მარჯვენა მხარეს მალავს. მან თავის დროზე ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვა, მაგრამ მარჯვენა თვალი დაკარგა“.

მოზაიკის ცენტრალური ნაწილი დაზიანებულია, თუმცა სპეციალისტებს იმედი აქვთ, რომ მის აღდგენას შეძლებენ.

ძვ.წ. IV საუკუნის მოზაიკის ზომებია 3 X 4,5 მეტრზე. მას უძველეს ქალაქ ამფიპოლისში სამარხის გათხრისას მიაკვლიეს. ქალაქი საბერძნეთის ჩრდილოეთში, თესალონიკიდან 100 კილომეტრში მდებარეობს.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სამარხი ალექსანდრე მაკედონელის ოჯახის რომელიმე წევრს ეკუთვნოდა.

**მომზადებულია
archaeology.org-ის მიხედვით**

ამფიპოლისში ნაპოვნ მოზაიკაზე მარცხნივ ჰერმესია გამოსახული, ხოლო მარჯვნიდან მეორე — ფილიპე II მაკედონელი, ალექსანდრე მაკედონელის მამა



იერუსალიმში ნაპოვნი ქვა — ორიათასწლიანი ღაპა ბრძელდება



ქვა იმპერატორ ადრიანეს სახელით



იერუსალიმის ძველ უბანში ლათინურწარწერიანი დიდი ქვა აღმოაჩინეს, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მრავალსაუკუნოვან თეორიას, რომ ებრაელები რომის მმართველობას 2 ათასი წლის წინ სასტიკი მოპყრობის გამო აუჯანყდნენ.

სპეციალისტთა განმარტებით, ქვაზე რომის იმპერატორ ადრიანეს სახელი და იერუსალიმში მისი სტუმრობის თარიღია მითითებული, რომელიც რამდენიმე წლით უსწრებს შიმონ ბარ კოხბას აჯანყებას (132-136 წწ.). ქვაზე წარწერა ადასტურებს ისტორიულ მონათხრობს, რომლის მიხედვითაც, რომის მე-10 ლეგიონი აჯანყებამდე იერუსალიმში იმყოფებოდა.

მიზეზი ებრაელების ამბოხისა, რომელიც მათი გადასახლება დასრულდა, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. გადაჭრით ვერ ამბობენ, მართლაც რომის იმპერიის მკაცრი

მმართველობა იყო თუ არა მათი აჯანყების ძირითადი მიზეზი.

ებრაულ ისტორიულ წყაროებში ადრიანე მოხსენიებულია, როგორც დიქტატორი, რომელიც ებრაელებს დევნიდა და აიძულებდა, რელიგიაზე უარი ეთქვათ.

ბარ კოხბას აჯანყებაზე მოთხრობილია რომაელი ისტორიკოსის, კასიუს დიონის ნაშრომებშიც. ისტორიკოსი წერს, რომ იმპერატორი ადრიანე იერუსალიმს ახ.წ. 129 წელს სტუმრობდა, სამი წლით ადრე, ვიდრე აჯანყება მოხდებოდა.

*მომზადებულია
Associated Press-ის მიხედვით*



ისტორია ყველა თაობისთვის

საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის პირველი ტომი უკვე მიიღო და შავფასა მკითხველმა

საქართველოს ისტორია კარგა ხანია საჯილდო კვადაა ქცეული. ყველა, ვინც საკუთარი ავტორიტეტის შექმნას ცდილობს, ამ დიდ საუნჯეს უტრიალებს, სწორედაც რომ საქართველოს ისტორიის სიდიადით ამაყობს, ამ სიდიადით წარადგენს თავსაც და საკუთარ საქმესაც... თუცა, მიუხედავად ასეთი აქტუალურობისა, თამამად შეიძლება ვთქვათ: საქართველოს ისტორია არის ის, რითაც ყველაზე მეტად ვამაყობთ, მაგრამ ვიცით კი ეს ისტორია ისე, როგორც უნდა ვიცოდეთ?

დრო კი, მოგვსენებათ, რთულია! სხვა რომ არაფერი, სარჩო-საბადებლის მოპოვებას გამოდევნებული ჩვენი თანამემამულენი ვეღარ პოულობენ საკუთარ თავში ძალას, თავადაც წიგნი აიღონ ხელში და შეილესაც შეაყვარონ წიგნთან მუშაობა. ჩვენი გათვითცნობიერებულობის მრუდი კი ნელ-ნელა თავდაღმა ეშვება, ვინ იცის, სადამდე...

სწორედ ამიტომ, გაჩნდა იდეა: გამოიცეს საქართველოს პირველი ილუსტრირებული ისტორია, როგორც გამოწვევა წიგნისადმი ინდიფერენტული მიდგომისადმი. იდეამ მალე შეისხა ფრთა და ილუსტრირებული ისტორიის პირველი ტომი უკვე მზადაა. მის გამოჩენას ერთგვარი ზეიმი ახლდა თან.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში სა-

ქართველოს პირველი ილუსტრირებული ისტორიის მრავალტომეულის პირველი წიგნის „მეფე თამარის“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი გამომცემლობა „პალიტრა L“-მა გამოსცა.

პროექტს პარტნიორობას უწევს საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ეროვნული არქივი, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

პროექტის პრეზენტაციას გამოცემის ავტორები, მწერლები, პოლიტიკოსები და სხვა ცნობილი ადამიანები ესწრებოდნენ.

მარიკა დარჩია („პალიტრამედის“ კრეატიული დირექტორი): „საქართველოს ილუსტრირებული ისტორია განკუთვნილია ყველა ასაკის ადამიანისთვის. მრავალტომეულის გამოცემები მრავალფეროვანი და განსხვავებული იქნება. ჩვენ შეგვიძლია, ხელით შევქოთ ჩვენს ისტორიას, ეს წიგნები ჩვენი ოჯახების კუთვნილება უნდა გახდეს. ამ სერიასზე სპეციალური შემოქმედებითი ჯგუფი უკვე სამი წელიწადია მუშაობს და ეს მუშაობა დღესაც გრძელდება. ნაფიქრი და განსჯილი იყო ყველა უმცირესი ნიუანსი... დარწმუნებული ვარ, ამ დიდი შრომის შედეგს სიამოვნებით



გუნდი, რომელიც საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის შექმნაზე მუშაობს

მიიღებს და სათანადოდ შეაფასებს ყველა თაობის წარმომადგენელი“.

ჯაბა სამუშია (პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი და ერთ-ერთი ავტორი): „ეს წიგნი ყველა თაობას გააერთიანებს. მასზე დიდი შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობდა. ეს არის არა მხოლოდ ისტორია, არამედ არის ადრეგენილი წარსული. სამი წლის წინ, როდესაც „პალიტრამედიის“ ხელმძღვანელი წიგნის საერთაშორისო ბაზრობიდან დაბრუნდა, მაშინ „ისტორიანის“ გამოცემასთან დაკავშირებით

ვსაუბრობდით. მას ხელთ ჰქონდა მსგავსი წიგნი, ევროპაში გამოცემული. სწორედ მასთან დაიბადა იდეა, შეგვექმნა საქართველოს ილუსტრირებული ისტორია“.

საქართველოს ილუსტრირებული ისტორია 24 ტომისგან შედგება. პირველი წიგნია „მეფე თამარი“. წიგნში აღწერილია თამარის მეფობა, მოღვაწეობა, ქორწინება, ბრძოლები და გარდაცვალება. წიგნები გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად, თვეში ერთხელ, სპეციალურ ფასად გაიყიდება.

ლელა ჯიჩაშვილი

გიორგი კალანდია, ჯაბა სამუშია და დავით ლორთქიფანიძე



რაჟდენ რუსიშვილი


ქართველი მეცნიერი
უცხოეთის ცის ქვეშ

(ფსიქიკი,
ტრადიციები, მოღვაწეობა)



რაჟდენ რუსიშვილი (ციოტინგენი, 1922 წელი)

თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში — ვერანზე, ბელინსკის ქუჩის დასაწყისში, დღესაც დვას აგურის სამსართულიანი სახლი. სახლის მეორე სართულზე ამ ბოლო დრომდე ცხოვრობდა მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილისა და მისი ვაჟის, პროფესორ გია ავალიშვილის შთამომავლობა. მესამე სართულზე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ქალბატონი დარია (დარიკო) გრიგოლის ასული რუსიშვილი, რომელიც ამ ოციოდე წლის წინათ გარდაიცვალა. არაერთხელ მქონდა პატივი, მისი ოჯახის სტუმარი ვყოფილიყავი მამაჩემთან, პროფესორ გიორგი ჯგავნიშვილთან ერთად. სამწუხაროდ, ქალბატონ დარიას შთამომავალი არ დარჩენია. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ქალბატონმა დარიამ, მე, როგორც ისტორიკოსს, საჩუქრად გადმომცა თავის საოჯახო არქივში შემონახული რამდენიმე საყურადღებო დოკუმენტი. მათ შორის იყო მისი ძმის, უცხოეთში მოღვაწე მეცნიერის — რაჟდენ რუსიშვილის ცხოვრების ამსახველი მასალაც. წინამდებარე სტატიაში გამოქვეყნებული საილუსტრაციო მასალა დოკუმენტურად წარმოაჩენს ხსენებული მეცნიერის წარმომავლობას, საგვარეულო ტრადიციებსა და მოღვაწეობას საზღვარგარეთ.



თავად რუსიშვილთა საგვარეულო გერბი

თავად რუსიშვილთა საგვარეულო სათავეს ძველი დროიდან იღებს.

უფლისწულმა ვახუშტი ბაგრატიონმა თავის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ჩამოთვლილ კახეთის 13 სათავადო გვარს შორის რუსიშვილთა საგვარეულო მერვე ადგილას დაასახელა. მისი განმარტებით, ეს გვარი გახლდათ ერთ-ერთი „უწარჩინებულეს და შემძლებელ“ ქართულ თავადურ საგვარეულოთა შორის.

უფლისწულმა იოანე ბაგრატიონმა თავის თხზულებაში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ჩამოთვლილ კახეთის 24 სათავადო გვარს შორის რუსიშვილების საგვარეულო მერვე ადგილას მოიხსენია. მათი წარმომავლობის შესახებ იოანე ბატო-



თავად
რუსიშვილთა
ოჯახის
წყვერები.
მარცხნიდან:
გრიგოლ
გიორგის ძე,
მისი მეუღლე
ნატალია
ჯანდიერი, მათი
ვაჟი გიორგი
გრიგოლის ძე
(უმცროსი),
გიორგი
გრიგოლის ძე
(უფროსი)
და ნინო
გრიგოლის
ასული.
გრიგოლს
ხელთ უჭერია
ჩვილი ვაჟი
— რაჟდენი
(თულავი,
1901 წელი)

ნიშვილმა ასეთი ცნობა მოგვაწოდა: „ესენი არიან დროსა თამარ მეფისასა, რომელიცა მოჰყვენენ რუსთა მეფისა ძესა ვსევოლოდიისსა სვიაჯად წოდებულის ქალაქით, რომელიც ექორწინა თამარ მეფესა ქრისტეს აქეთ 1177 წელსა და თამარ მეფემან ამა რუსის შვილს რუსოვად წოდებულისა გვართა უბოძა რუსისიშვილობა და თავადობა და აწ არიან შილდას მოსახლენი ესენი: 1) ბარამის შვილები, 2) ქაიხოსროს შვილები“.

საქართველოში ასევე ცხოვრობდნენ აზნაური რუსაშვილები, რომლებიც იყვნენ იმერეთიდან შიდა ქართლში გადასახლებულ თავად აბაშიძეთა აზნაურნი. მათ არავითარი ნათესაობა არ აკავშირებდათ თავად რუსიშვილებთან, რომლებიც კახეთში მკვიდრობდნენ.

იოანე ბაგრატიონის ცნობით, რუსაშვილთა წინაპარნი არიან „რუსეთით მოსრულნი ადრევე და მიღებულ მდაბალ აზნაურად, რომლისა გამო ადგილისა რუსეთითა ეწოდათ რუსას შვილობა და არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინა“.

1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკში, ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დადებულ მფარველობით ტრაქტატს დართულ აღმოსავლეთ საქართველოს

თავადაზნაურთა ნუსხაში იხსენიებიან კახეთის თავადი რუსიშვილები და ქართლის თავად აბაშიძეთა აზნაური რუსაშვილები.

ჩვენთვის უცნობია, რომელ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით მოგვაწოდა იოანე ბატონიშვილმა რუსიშვილთა და რუსაშვილთა საგვარეულოს წარმომავლობის ზემოთ მოყვანილი ვერსიები. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ არაერთი ქართველი ფეოდალი აცხადებდა საკუთარი გვარის ფუძემდებლად უცხოეთიდან მოსულ წარჩინებულს.



მაიორი რაჟდენ
რუსიშვილი.
მისი სახელი
მისწულმა
თავის
ერთ-ერთ
ვაჟს
დაარქვა



რაჟდენ რუსიშვილი (მარჯვნივ), ემილ გური და გიორგი მალალაშვილი მიუნხენში

თავადი რუსიშვილები ზოგჯერ იწოდებოდნენ ყორჩიბაშ-რუსიშვილებად, ზოგჯერ კი ყორჩიბაშიშვილებადაც. აქვე განვმარტავთ, რომ ყორჩიბაში ეწოდებოდა სპარსეთის შაჰინშაჰის პირადი დაცვისა და სამეფო კავალერიის უფროსს. აღმოსავლეთ საქართველოში ეს თანამდებობა შემოიღო ქართლის მეფე როსტომმა, რომელიც ერთხანს კახეთსაც განაგებდა. შეესაბამებოდა მსახურთუხუცესის მანამდე არსებულ თანამდებობას, რომელიც იყო სამეფო კარის მინისტრი და მეფის დომენის გამგებელი.

კახეთის სამეფო კარზე თავად რუსიშვილებს სხვადასხვა დროს ეკავათ: ყორჩიბაშის, მდივანბეგის, მოლარეთუხუცესის (მთავარი ხაზინადრის), ბოქაულთუხუცესის, ბაზიერთუხუცესის, მოურავისა და ნაზირის თანამდებობები. ამ გვარისშვილნი წარმატებით მოღვაწეობდნენ სასულიერო ასპარეზზეც,

ხოლო ზოგიერთ მათგანს ნეკრესის ეპისკოპოსის თანამდებობა ეკავა.

XV-XVIII საუკუნეთა ქართულ საისტორიო წყაროებში მოიხსენიებიან რუსიშვილთა საგვარეულოს შემდეგი წარმომადგენლები (რომლებიც ზოგჯერ იწოდებოდნენ რუსისშვილებად): **სეფედავლე**, რომელიც იყო მოწმე კათოლიკოს-პატრიარქ აბრაამ II აბლაკის მიერ სვეტიცხოვლის კახური მამულების მოხილვისას შედგენილი სასაზღვრო მიჯნების წიგნისა (დათარიღებულია 1492-1497 წლებით); **ინდო**, რომელიც იყო მოწმე კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის მიერ სვეტიცხოვლისთვის მიცემული შეწირულების განახლების წიგნისა (1579 წ.); მოლარეთუხუცესი **პატი**, მისი ვაჟები — **ქაიხოსრო**, **გირგვლი**, **რუსი** და შვილიშვილი **ზურაბ ქაიხოსროს ძე**, რომლებიც XVI საუკუნის მეორე ნახევარში გაცემულ საბუთებში იხსენიებიან; მოლარეთუხუცესი **რუსი**, რომელმაც კათოლიკოს-პატრიარქ დომენტი III-ის ზეობის დროს სვეტიცხოველს შესწირა ვემისხევში მდებარე მამული თავისი მამის სულის საოხად (1664 წ.); მოლარეთუხუცესი **შერმაზან** და ბაზიერთუხუცესი **გიორგი რუსის ძენი**; ჭერემელი ეპისკოპოსი **ეპიფანე**, რომელიც XVII საუკუნის შუა ხანებში მოღვაწეობდა; ბოქაულთუხუცესი **ბარამ ბეჟანის ძე**; მდივანბეგები **დიმიტრი ბეჟანის ძე** და მისი ვაჟი **პაპუნა დიმიტრის ძე**; ნაზირი **იფანე პაპუნას ძე**; მოურავები **რამაზ ბეჟანის ძე** და მისი ვაჟი **ბეჟან რამაზის ძე** და სხვ.

კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქ თელავში თავად რუსიშვილებს საკუთარი ციხესიმაგრე ჰქონდათ, რის შესახებაც მიუთითებდნენ XVIII საუკუნის ბოლო მესამედში საქართველოში ჩამოსული გერმანელი მოგზაურები — იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელიც რიგაში დაიბადა და აღიზარდა და იაკობ რაინგის ანუ ქრისტტიან-რუდოლფ ელიხის, რომელიც წარმოშობით საქსონიიდან იყო.

გიულდენშტედტის ცნობით, თელავში სამი გალაგნიანი ციხე იყო. ქალაქის ცენტრში მდებარეობდა მეფის რეზიდენცია, რომლის გარშემოწერილობა 700 ნაბიჯს შეადგენდა. მისგან აღმოსავლეთით მდგარი თავად ვახვახიშვილთა ციხის გარშემოწერილობა 500 ნაბიჯი იყო. თელავის დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა თავად ყორჩიბაშიშვილთა ანუ რუსიშვილთა ციხე, რომლის გარშემოწერი-

ლობა 600 ნაბიჯს შეადგენდა. ამ ცნობიდან ჩანს, რომ რუსიშვილთა ციხე სიდიდით ოდნავ ჩამორჩებოდა სამეფო ციხეს, მაგრამ აღემატებოდა ვახვანიშვილებისას.

რაინეგსი წერდა, რომ კახეთის ტერიტორიაზე ყველაზე ღირსშესანიშნავი დასახლებული პუნქტი არის „თელავი (ცაცხვების ქალაქი), — სამმაგად გამაგრებული და ზარბაზნებით შეიარაღებული, მტრისთვის აუღებელი ციხე. იგი სამი ნაწილისგან შედგება. თითოეული შემოვლებულია მაღალი, მტკიცე კედლით და 30 ფუტი სიღრმისა და 118 ფუტი სიგანის თხრილით. შუა და ყველაზე დიდი ციხე ეკუთვნის მეფე ერეკლეს და ამიტომაც ჰქვია მას ბატონის ციხე. მეორე ეკუთვნის ყორჩი ბეის გვარს, მესამე კი — ვახვანიშვილებს“.

რუსეთის მესვეურთა მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუსიშვილები ამ იმპერიის თაყვანად იქცნენ. ამის შემდეგ, ისინი ძირითადად რუსეთის არმიის ოფიცრებად და ჩინოვნიკებად მსახურობდნენ.

ამ სათავალო გვარს ჰქონდა თავისი საგვარეულო გერბი, ფარზე გამოსახული მონოცეროსის (რქოსანი ცხენის) გამოსახულებით.

რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების მიერ 1850 წელს დამტკიცებულ ქართველ თავადთა ნუსხაში, რუსიშვილთა საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებს შორის იხსენიებიან გიორგი (დაბადებული 1833 წელს) და რაუ-



რაუდენ რუსიშვილის სამხედრო ბეგარიდან გათავისუფლების მოწმობა (1921 წლის 7 თებერვალი)

რაუდენ რუსიევის დიპლომი, გაცემული მიუნხენის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მიერ (1927 წლის 22 მარტი)

Abtschrift
R. Russischwitsch

DIE TECHNISCHE HOCHSCHULE MÜNCHEN

ERTEILT MIT DIESER URKUNDE AUF GRUND DER VERORDNUNG VOM 10 JANUAR 1901 DEM STUDIERENDEN DES CHEMISCHEN FACHES HERRN Raschden Russischwitsch GEBOREN AM 7. November 1900 ZU Telawi DEN AKADEMISCHEN GRAD EINES **DIPLOM-INGENIEURS**

NACHDEM ER DEN BESITZ EINES VORSCHRIFTSMÄSSIGEN BEFÄHIGUNGSSCHWESSES SOWIE DIE VORSCHEIBEBEHENDEN HOCHSCHULSTUDIEN NACHGEWIESEN UND DIE ORDNUNGSMÄSSIGE DIPLOM-PRÜFUNG FÜR DAS CHEMISCHE FACH UND ZWAR DIE VORPRÜFUNG AN DER TECHNISCHEM HOCHSCHULE IN München IM JAHRE 1925 MIT DEM GESAMTURTEIL „gut bestanden“ DIE HAUPTPRÜFUNG IM JAHRE 1927 MIT DEM GESAMTURTEIL „gut bestanden“ ABOLEGT HAT.

DIE EINZELERGEBNISSE DER HAUPTPRÜFUNG SIND IN DEM NACHFOLGENDEN AUSZUG AUS DER PRÜFUNGSNIEDERSCHRIFT ZUSAMMENGESTELLT. FÜR DIE VORPRÜFUNG IST SEINERZEIT EIN GESONDERTES ZEUGNIS AUSGEFERTIGT WORDEN.

MÜNCHEN, DEN 22. März 1927

DER REKTOR DER TECHNISCHEM HOCHSCHULE
gez. Dr. Zemann (L.S.)

DER VORSITZENDE DES DIPLOM-HAUPTPRÜFUNGS-AUSSCHUSSES
gez. Dr. Marchant

AUSZUG AUS DER PRÜFUNGSNIEDERSCHRIFT DER HAUPTPRÜFUNG
(VERGLEICH DEN AUSZUG AUS DER DIPLOM-PRÜFUNGS-ORDNUNG AUF DER RECHENBEREICHRE SEITE).

PRÜFUNGSOGENSTÄNDE	ART DER PRÜFUNG	BEZEL- NOTEN	MITTELNOTEN IN DEN GRUPPEN
I. ANORGANISCHE CHEMIE MIT BEBOCK- SICHTUNG DER PHYSIKALISCHEN CHEMIE (E MIT DORFTELM ANSATZ)	SCHRIFFTLICH	4,9	4,1 (gut)
	SCHRIFFTLICH	4,9	
	MÜNDLICH	4,1	
II. ORGANSICHE CHEMIE	SCHRIFFTLICH	2,4	2,2 (gut)
	MÜNDLICH	2,0	
III. BEURTEILUNG DER IM ORGANISCHEN PRÄPARAT AUSGEFÜHRTEN LABORATORMANÜVEREN MIT DRISFACHEM ANSATZ	SCHRIFFTLICH	4,6	4,6 (sehr gut)
	SCHRIFFTLICH	4,6	
	MÜNDLICH	4,6	
IV. PHYSIKALISCHE CHEMIE	MÜNDLICH	2,0	2,0 (gut)
	SCHRIFFTLICH	2,0	
V. A. ALLOEMINE CHEM TECHNOLOGIE	SCHRIFFTLICH	2,4	2,6 (sehr gut)
	SCHRIFFTLICH	2,4	
	MÜNDLICH	2,4	
B. CHEMISCHE TECHNOLOGIE DES WASSERS UND DER KOHLEHYDRATE	SCHRIFFTLICH	2,7	2,7
	SCHRIFFTLICH	2,7	
SINNE:		2,7	
MITTEL:		2,0	
GESAMTURTEIL (HAUPTNOTE): <u>gut bestanden</u>			

AUSZUG AUS DER DIPLOM-PRÜFUNGS-ORDNUNG.

12.

I. DIE URTEILE ÜBER DIE LEISTUNGEN DER PRÜFLINGE WERDEN DURCH FOLGENDE NOTEN UND BEZELCHENUNGEN AUSDRÜCKT:

1-2 = SEHR GUT,
3-4 = GUT,
5-6 = GEMISCHT,
7-8 = SCHLECHT.

II. DIE EINZELNEN PRÜFUNGSERGEBNISSE WERDEN NACH DER IM ANHANG DIESER PRÜFUNGSORDNUNG ENTHALTENEN FESTSTELLUNG ÜBERGL ANHANG B 15 UND B 21 GRUPPEN ZUSAMMENGESETZT FÜR DIESE SIND MITTELNOTEN ZU BEZELCHEN.

III. EINER PRÜFUNG GILT ALS NICHT BESTANDEN WENN DIE MITTELNOTE EINER SOLCHEN GRUPPE DEN WERT 14 ÜBERSCHREITET ODER ÜBERSCHREITET, ODER WENN DIE NOTE DER MÜNDLICHEN PRÜFUNG EINES FACHES DEN WERT 14 ÜBERSCHREITET ODER ÜBERSCHREITET.

IV. DAS GRADURTEIL BEI JEDEM AUFALLENDEN BESTANDENEN PRÜFUNG: „BES. HAUPT- NOTE“ WIRD DURCH BEZELCHENUNG DES MITTELS AUS DEN FÜR SAMTLICHE EINZELBESTANDEN ERSTELLTEN NOTEN FESTGESTELLT.

„B. LAUFT AUF“.

„MIT ABRECHNUNG BESTANDEN“ BEI MITTELWERTEN VON 10-12.
„SEHR GUT BESTANDEN“ BEI MITTELWERTEN VON 13-16.
„GUT BESTANDEN“ BEI MITTELWERTEN VON 17-20.
„BESTANDEN“ BEI MITTELWERTEN VON 21-26.


Dr. R. M. Feuerstein

Für die Richtigkeit der Abschrift.
München, den 5. April 1927
Sekretariat der Technischen Hochschule.

VEREINIGUNG DER
WISSENSCHAFTLICHEN
BEREICHEN

Verwaltungsinspektor

ZUR BEGLAUBIGUNG:
SEKRETARIAT DER TECHNISCHEM HOCHSCHULE MÜNCHEN.
(L.S.) gez. Hummel
Abtschrift



დოქტორ-ინჟინერის დიპლომი, გაცემული „თელაველი რაჟდენ რუსიევის“ სახელზე (მიუნხენი, 1928 წელი)

მარცხნიდან: რაჟდენ რუსიშვილი, უცნობი გერმანელი თბილისის რეჟისორები — ალექსანდრე და ივანე ნიკურაძეები



დენ (დაბადებული 1837 წელს) გრიგოლის ძე რუსიშვილები.

მაიორი რაჟდენ გრიგოლის ძე რუსიშვილი უმემკვიდრეოდ გადაეგო. ამიტომაც, მისმა ძმისწულმა გრიგოლ (გოგლო) გიორგის ძე რუსიშვილმა 1900 წლის 5 ოქტომბერს დაბადებულ თავის ერთ-ერთ ვაჟს ბიძის სახელი — რაჟდენი დაარქვა.

თელავში მცხოვრებ თავად გრიგოლ (გოგლო) გიორგის ძე რუსიშვილსა და მის მეუღლეს, თავად ილია ჯანდიერის ასულ ნატალიას ექვსი შვილი ჰყავდათ: ილია (1889-1969), ნინო (1890-1955), გიორგი (1892-1958), რაჟდენი (1900-1984), ვასილი (1901-1902) და დარია/დარიკო (1904-1992), რომლის შესახებაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. სამწუხაროდ, გენეტიკური შთამომავალი არც ერთ მათგანს არ დარჩენია...

და-ძმებს შორის ყველაზე გამოჩენილი რაჟდენ გრიგოლის ძე რუსიშვილის წინაპართა გენეალოგიური ნუსხა ასე გამოიყურება: თავადი ბეჟან რუსიშვილი — დიმიტრი (მდივანბეგი) — ბეჟანი — რამაზი (მოურავი) — ბეჟანი (მოურავი) (1766-1820) — გრიგოლი/გლაზა (1791-1846) — გიორგი (1833-1903) — გრიგოლი/გოგლო (1864-1928) — რაჟდენი (1900-1984). ეს ნუსხა საარქივო მონაცემებზე



ქიმიური ლაბორატორიის თანამშრომლები, ცენტრში — რაჟდენ რუსიშვილი (მეორე, 1931 წელი)

დაყრდნობით შეადგინა ქართული გენეალოგიური საზოგადოების პრეზიდენტმა იური ჩიქოვანმა.

რაჟდენ რუსიშვილმა დაწყებითი განათლება თელავში მიიღო. 17 წლის ჭაბუკი ახალდარსებული თბილისის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ქართულ უნივერსიტეტში გატარებულმა სამმა წელიწადმა რაჟდენს ბევრი რამ შესძინა. მას ურთიერთობა ჰქონდა უნივერსიტეტში მოღვაწე შესანიშნავ ქართველ მეცნიერებთან. მათ შორის იყვნენ უმაღლესი განათლების ამ ეროვნული კერის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი, პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი, რომელიც პროფესიით ქიმიკოსი გახლდათ და სხვები. შემდგომში იგი განსაკუთრებული პატივისცემით იხსენებდა ივანე ჯავახიშვილს, რომელიც დედით (სოფიო ათანასეს ასული ვახვახიშვილი) თელაველი იყო და კარგად იცნობდა ამ ქალაქში მცხოვრებ რუსიშვილებს. სწორედ დიდი მეცნიერის რჩევით გადაწყვიტა რაჟდენმა, ქიმიკოსი გამხდარიყო. მას მუდამ ახსოვდა ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „XX საუკუნე ტექნიკის საუკუნე იქნება და ამ სფეროში საქართველოს კვალიფიციური სპეციალისტები დასჭირდება“.

ყმაწვილობიდან ქიმიით გატაცებულ რაჟდენს ერთ-ერთი ქიმიური ცდის დროს თვალი დაუზიანდა, რის გამოც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო-სამედიცინო კომისიამ იგი საჯალდებულო სამხედრო სამსახურიდან გაათავისუფლა.

1921 წელს, რექტორ ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით, თბილისის უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტები ცოდნის გასაღრმავებლად მიაგლინეს დასავლეთ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. მათ შორის იყო რაჟდენ რუსიშვილიც, რომელიც გერმანიაში გაემგზავრა. მასთან ერთად ყოფილან: მაქს ქიქოძე, და-ძმა ბაბუტა და გოგი ერისთავები, მაღალაშვილები, ფორაქიშვილები, ხუხუნი და სხვები.

გერმანიაში ჩასულ ქართველ სტუდენტებს დახვედრიან ძმები ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეები, რომლებიც იქ ჯერ კიდევ 1919 წელს ჩავიდნენ ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის რეკომენდაციით.

რაჟდენი ერთხანს გიოტინგენში ცხოვრობდა. იმხანად, ამ ქალაქის უნივერსიტეტში სწავლობდა შემდგომში გამოჩენილი მეცნიერი, ჰიდრაულიკოსი ივანე (იგვე იოჰან) ნიკურაძე, რომელმაც სადოქტორო დისერტაცია 1923 წელს დაიცვა.



მიუნხენელი ქართველები ახალი, 1930 წლის დადგომას აღნიშნავენ. მარჯვნიდან: გიორგი მაღალაშვილი, ბალარჯიშვილი, ალექსანდრე ნიკურაძე, რაჟდენ რუსიშვილი და უცნობი

ძმები ნიკურაძეები რაჟდენის უახლოესი მეგობრები გახდნენ. რაჟდენი განსაკუთრებით დაუახლოვდა შემდგომში ასევე გამოჩენილ მეცნიერს, ალექსანდრე (სანდრო) ნიკურაძეს (1901-1981). იგი თავისი ძირითადი სპეციალობის (მყარი სხეულების ფიზიკა და ენერგეტიკა) გარდა, ფუნდამენტურ ნაშრომებს ისტორიისა და გეოპოლიტიკის საკითხებზეც აქვეყნებდა. ზოგჯერ ის წერდა ფსევდონიმით A. Sanders.

რაჟდენ რუსიშვილმა მიუნხენის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი დაასრულა. 1928 წელს დაიცვა დისერტაცია ქიმიის დარგში და დოქტორ-ინჟინრის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. ამ პერიოდიდან გერმანიაში გამომაულ სამეცნიერო ჟურნალებში „ფიზიკა“, „ფიზიკური ქიმია“, „ელექტროტექნიკა“ და სხვ. სისტემატურად ქვეყნდებოდა ალექსანდრე ნიკურაძის ნაშრომები, რომელთა თანავტორიც ზოგჯერ რაჟდენ რუსიშვილი იყო.

რაჟდენი მეგობრობდა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის გამოჩენილ წარმომადგენელთან გრიგოლ რობაქიძესა და ვეროპაში სახელგანთქმულ დაღესტნელ (ეროვნებით ხუნძ) მხატვარ ჰალილ-ბეგ მუსაიასულთან, რომელსაც ირანის უკანასკნელმა შაჰინშაჰმა მოკაპად რეზა ფაჰლავიმ ირანის ქვეშევრდომობა და ბეგის წოდება უბოძა. შემორჩენილია

1935 წელს, მიუნხენში გადაღებული ფოტო, რომელზეც რაჟდენ რუსიშვილი აღბეჭდილია თავის მეგობრებთან — რობაქიძესა და მუსაიასულთან ერთად.

გერმანიის ხელისუფლების სათავეში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის (1933 წელი) შემდეგ, ამ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ერთი ნაწილი მათ სამსახურში ჩადა. მოქმედებდნენ რა პრინციპით — „ჩემი მტრის მტერი — ჩემი მეგობარია“, ქართველთა ამ ნაწილს სურდა და გულწრფელადაც სწამდა, რომ II მსოფლიო ომში სსრკავშირის დამარცხების შემთხვევაში, ძლევამოსილი გერმანია მფარველად მოეგვინებოდა ბოლშევიკური ხუნდებისგან თავდახსნილ საქართველოს. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ I მსოფლიო ომის მიწურულს, კავკასიაში შემოსულმა გერმანულმა არმიამ მართლაც გადაარჩინა ახალადდგენილი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო როგორც ოსმალურ ოკუპაციას, ასევე შინაგან არეულობასაც, რასაც ქართველი ერის ღირსეული ნაწილი ყოველთვის მაღლიერებით იგონებდა.

გერმანიაში იმხანად მოღვაწე ქართველ ემიგრანტთა შორის იყვნენ პიროვნებანი, რომლებიც ამ ქვეყნის მესვეურთა ნდობით სარგებლობდნენ. რამდენიმე მათგანი, რომელთაგან პირველი ორი გერმანიის ნაციო-

ნალ-სოციალისტური პარტიის წევრიც გახლდათ, შესამჩნევი პოლიტიკური გავლენითა და ავტორიტეტით გამოირჩეოდა:

1) „ევროპის კონტინენტური კვლევების ინსტიტუტის“ დირექტორი, ფიზიკოსი და გეოპოლიტიკოსი, დოქტორი **ალექსანდრე ნიკურაძე** (1901-1981). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1919 წელს ის თავის ძმასთან ერთად ჩავიდა გერმანიაში სასწავლებლად და უკან აღარ დაბრუნებულა. მეგობრობდა III რაიხის იდეოლოგ ალფრედ როზენბერგთან და არნო შიკელანცთან, რომელსაც გერმანიის ხელისუფლება საქართველოს მომავალ გენერალ-გუბერნატორად ამზადებდა;

2) აღმოსავლეთის (ანუ „ვანზეს“) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დოქტორი **მიხეილ ანმეტელი** (1895-1963). იგი იყო გერმანიაში საქართველოს ელჩის, ვლადიმერ ანმეტელის ძმისწული. 1924 წელს იენის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ამიერკავკასიის ეკონომიკური მნიშვნელობა“. მიიჩნევა სოვეტოლოგიის გერმანული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ზოგჯერ წერდა ფსევდონიმით „კონსტანტინ მიხაილი“. მეგობრობდა როზენბერგთან;

3) **შალვა მალააკელიძე**. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, სხვადასხვა დროს მსახურობდა ახალციხის, აფხაზეთისა და თბილისის გენერალ-გუბერნატორად. II მსოფლიო ომის დაწყებამდე დაინიშნა გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო მრჩევლად. 1944 წელს მიენიჭა ვერმანის გენერალ-მაიორის წოდება. ახლო ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის სამხედრო მესვეურებთან, მათ შორის აბვერის (სამხედრო დაზვერვა და კონტრდაზვერვა) ხელმძღვანელთან, ადმირალ ფრიდრიხ კანარისთან;

4) ყველაზე შეძლებული ქართველი ემიგრანტი გერმანიაში, ექიმი **გიორგი მალალაშვილი**. მისი მეუღლე მონიკა უიტი იყო ასული უმდიდრესი გერმანელი მრეწველისა;

5) საქართველოს არმიის ყოფილი პოლკოვნიკი ფრიდონ წულუკიძე, რომელიც შტანდარტენფიურერის წოდებით ხელმძღვანელობდა სამხედრო შენაერთს — „ქართულ ცხენოსან SS“-ს, რომელიც დისლოცირებული იყო ჩრდილოეთ იტალიაში.

ზემოხსენებულთა გარდა, გერმანელთა ნდობით ასევე სარგებლობდნენ ქართველი ემიგრანტები: აბვერისა და გესტაპოს (საიდუმლო პოლიცია) თანამშრომელი მიხეილ კედიას; გერმანიის შეიარაღებული ძალების ოფიცრები დიმიტრი შალიკაშვილი, გივი გაბლიანი, მიხეილ ალშიბაია, მიხეილ ქავთარაძე; კავკასიის საგანგებო შტაბის თანამშრომელი ალექსანდრე ცომაია; საქართველოს ყოფილი ელჩი გერმანიაში ვლადიმერ ანმეტელი; ქართული ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ წერეთელი, კიტა ჩხენკელი (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის ძმა), შალვა ამირეჯიბი და სხვები.

აქ ჩამოთვლილ ქართველებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ყველასთან, ვინც ამა თუ იმ კუთხით უკავშირდებოდნენ ქართულ საკითხს. მათ შორის იყვნენ: გერმანიის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში ფრიდრიხ ფონ დერ შულენბურგი; როზენბერგის ხელმძღვანელობით მოქმედი აღმოსავლეთის სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გერჰარდ ფონ მენდე; SS-ის კავკასიური დეპარტამენტის უფროსი ერიხ ენგელჰაუპტი და სხვები. სამივე დაკავშირებული იყო 1944 წელს ადოლფ ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებასთან. მათგან პირველი სიკვდილით დასაჯეს.

თავის ქართველ მეგობართაგან განსხვავებით, რაჟდენ რუსიშვილი არასოდეს ჩარე-

კავკასიელ ემიგრანტთა შეხვედრა მიუნხენში. მარცხნიდან: ქეთევან მალალაშვილი, პაოლი-ბეგ მუსაიასული, უცნობი, მურჯუთი ზუნდაძე და რაჟდენ რუსიშვილი (წინა პლანზე)





მარცხნიდან: გრიგოლ რობაქიძე, რაჟდენ რუსიშვილი და ჰალილ-ბეგ მუსაიასული (მიუნხენი, 1935 წ.)

რაჟდენ რუსიშვილი ალპებში (შვეიცარია, 1941 წ.)



ულა პოლიტიკაში და მხოლოდ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა. მის მიერ მიუნხენში მოწყობილი ლაბორატორიის სტუმართა შორის იყვნენ როგორც ძმები ნიკურაძეები, ასევე დიდი გერმანელი მოაზროვნე თომას მანი, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი მაღალაშვილი, გერმანისტი ნიკო ქადაგიძე და სხვები.

II მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, რაჟდენ რუსიშვილმა გერმანია დატოვა და საცხოვრებლად გადავიდა ინგლისში, სადაც ქალაქ ილიში დასახლდა. მან იქაც ნაყოფიერად განაგრძო სამეცნიერო მოღვაწეობა ქიმიასა და ფიზიკაში.

საგულისხმოა, რომ ილიში, ფილდსაიდის ქუჩაზე მდებარე ორსართულიანი სახლის ეზოში რაჟდენმა ვაზი ახარა და მშვენიერი ვენახი გააშენა. კახელი თავადიშვილი, რომელსაც განგებამ ცხოვრება ნისლიან ალბიონზე არგუნა, სამშობლოს მონატრებას ვენახის მოვლით იქარავებდა...

რაჟდენმა არაერთხელ სცადა საქართველოში დარჩენილ და-ძმებთან დაკავშირება, მაგრამ ამოდ. მან ეს მხოლოდ 1963 წელს მოახერხა და თავის დას ტელეფონით ესაუბრა. ქალბატონი დარიკო ცრემლებს გარეშე ვერ იხსენებდა იმ წუთს, როდესაც ყურმილიდან 42 წლის უნახაეი ძმის ხმა ჩაესმა...

1966 წელს დარია რუსიშვილს უფლება დართეს, დიდი ხნის ნატურა აესრულებინა, მოსკოვიდან დიდ ბრიტანეთში გამგზავრებულ იყო და ძმა მოენახულეზინა.

1973 წელს რაჟდენ რუსიშვილსაც აუხდა სანუკვარი ოცნება და მარიამობისთვეს საქართველოს ეწვია. ნახევარსაუკუნოვანი განშორების შემდეგ თბილისში ჩამოსულმა რაჟდენმა დაიჩქა და ქართულ მიწას ეამბორა. თავისი ცოცხლად დარჩენილი ერთადერთი დედამამიშვილის, ქალბატონი დარიკოს თანხლებით, მშობლიურ თელავსაც ეწვია. იმ საღამოს რაჟდენმა ქალაქში ფეხით გაისეირნა და კახთმეფეთა სასახლის ეზოში ძველებური მოკრძალებით შევიდა. მოულოდნელად ის შეეჩება თავისი ბავშვობის მეგობრებს, არჩილ ელიზბარაშვილსა და ალექსანდრე ცისკარიშვილს. მოზღვავებული გრძნობებისგან სამივე აქვითინებულა...

„მათი შეხვედრა განუმეორებელი იყო — იგონებდა ქალბატონი დარიკო, — საოცარია, როგორ ჩქარა იცნეს მათ ერთმანეთი ამდენი ხნის განშორების შემდეგ!“

1984 წლის იანვარში დარია რუსიშვილმა მებუთედ ინახულა თავისი ძმა, რომელიც უკვე მძიმედ აუადმყოფობდა. დის ჩასვლიდან მეთუ დღეს, რაჟდენი გარდაიცვალა...

83 წლის რაჟდენ რუსიშვილის გარდაცვალების შესახებ ადგილობრივი ინგლისური გაზეთი ასე იუწყებოდა: „მისი გვარი ქართული არისტოკრატიული წარმომავლობისა იყო... ცხოვრობდა და სწავლობდა გერმანიაში, სადაც მეცნიერებათა დოქტორი გახდა. II მსოფლიო ომის დაწყებამდე დასახლდა ინგლისში, სადაც ქალაქ ილიში, მარტოხელა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. საქმიანობდა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, ინდოეთსა და თურქეთში... იყო სასურსათო ფირმების საგანგებო ტექნიკური კონსულტანტი. მისი სახლი გადაქცეული იყო ლაბორატორიად, სადაც მრავალი ქიმიური ექსპერიმენტი ეწეობოდა. რაჟდენ რუსიშვილი დაკრძალეს დღეს, ხუთშაბათს — 1984 წლის 19 იანვარს“.

ქალბატონმა დარიკო რუსიშვილმა არ მოისურვა ძმის ნეშტის შორეულ ქვეყანაში დატოვება და სამშობლოში გადმოსვენა. უცხოეთში მოღვაწე მეცნიერის ფერფლი მიწას მიაბარეს ვაკის სასაფლაოზე, თავისი ძმის, ცნობილი თერაპევტის, პროფესორ გიორგი რუსიშვილის გვერდით.

ასე დასრულდა ცხოვრება და მოღვაწეობა



რაჟდენი სტუმრად კვინიტაძეებთან (პარიზი, 1960 წ.)



რაჟდენ რუსიშვილის სახლი ინგლისის ქალაქ ილიში



დარიკო რუსიშვილი ძმის კაბინეტში (ქ. ილი, 1984 წ.)

თავად რუსიშვილთა საგვარეულოს ბრწყინვალე წარმომადგენლისა, რომელსაც განგებამ უცხოეთის ცის ქვეშ 63-წლიანი ცხოვრება არგუნა.

ნიკო ჯავახიშვილი

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი**

„გზა მშვიდობისა, დადასამუშოლო გელის!“



სოფელი ჰაირიე

მოგითხრობთ აჰმედ მელაშვილის თანამოაზრის, ვახტანგ მალაყმადის (ჰაირი ჰაირიოღლუს) თანაკლასელის, ანკარის სამეცნიერო ლიცეუმის დამფუძნებლის, აჰმედ დინჩერ ქოქოლაძის შესახებ.

2005 წელი იყო. სტამბოლში, ჰარბიეს რაიონში, ჟურნალ „ჩვენებურის“ რედაქციაში, ოსმან ნური მერჯანთან (ოთარ იმედაშვილთან) ვისხედით. მასალების შესწავლისას, დავინტერესდით ენათმეცნიერ პროფესორ აჰმედ დინჩერ ქოქოლაძე



შუშანა ფუტკარადის მიერ გამოგზავნილი ერთი დოკუმენტის ასლით. ქალბატონი შუშანა ფერიქოის (სტამბოლი) ქართული კათოლიკური ეკლესიის ბიბლიოთეკაში კვლევებს ატარებდა. ეს საბუთი იყო გერმანიაში, 1958 წელს დავით სადარაშვილის მიერ გამოცემული ქართულენოვანი გაზეთის, „სამშობლოს განთავისუფლებისათვის“ ერთ-ერთი გვერდის ასლი. გაზეთში, ერთ მოკლე ნარკვევში ეწერა, რომ ინგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს მკვიდრმა, სტამბოლის სამეცნიერო ფაკულტეტის სტუდენტმა, 22 წლის აჰმედ დინჩერ ქოქოლაძემ ქართული ანბანით წერა-კითხვა იცოდა და კულტურულ კვლევებს ატარებდა. იქვე აჰმედ დინჩერის სურათიც იყო.

ქალბატონი შუშანა გვეკითხებოდა, ვიცნობდით თუ არა მას. დიახ, მე ვიცნობდი მას, 1977 წლიდან. იმ დროს ანკარაში იყო. დაურეკე და ვკითხე ნარკვევის შესახებ. — მია აჰმედ, იცი ეს ნარკვევი? — ვკითხე. კი, ვიცო, — მიპასუხა. შენ გაქვს-მეთქი? — დავინტერესდი. არაო — მიპასუხა. რატომ არა გაქვს-მეთქი, — ისევ ვკითხე. „იმ გაზეთებიდან ათი ეგზემპლარი მომცეს. თვეების განმავლობაში თან დამქონდა, ვინახავდი, მერე ჯარში წასვლამ მომიწია. ვიფიქრე, რომ შესაძლო

იყო რაიმე არასასიამოვნო ამბავში გახვეულიყავი და გავანადგურე. ამიტომაც აღარ მაქვს“, — ასე მიპასუხა და მთხოვა, იმ გაზეთის ერთი ასლი გამეგზავნა. მეც გავუგზავნე...

აჰმედ დინჩერ ქოქოლაძე დაიბადა 1936 წელს, ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში. დაწყებითი განათლება სოფელში მიიღო. მე-5 კლასი და საშუალო სკოლა ინეგოლში დაამთავრა. დაწყებით სკოლაში, ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მაღაყმაძე) და საშუალო სკოლაში, აჰმედ მელაშვილის მეგობრის — იუსუფ თუმერ კირკიტაძის თანაკლასელი იყო. ლიცეუმში ბალიქესირში დაამთავრა, 1956 წელს კი, ნეჯათი ბეის სახელობის სამასწავლებლო საჯარო სკოლა და სტამბოლში, ჩაფას სახელობის უმაღლესი სამასწავლებლო სკოლის სამეცნიერო პროგრამით დაიწყო სწავლა.

ქართული წერა-კითხვა მას აჰმედ მელაშვილმა შეასწავლა. აჰმედი 1955 წელს სოფელ ჰაირიეში ნათესავის ქორწილში გაიცნო. აჰმედის მეუღლეც მისი ახლობელი იყო. აჰმედ ოზქან მელაშვილმა მას მოუთხორო ქართული ანბანის შესახებ და მერე ფოსტით გაუგზავნა. სტამბოლში ყოფნის დროს, ის მისულა ფერიქოის ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში, სადაც მამა პავლე აკოფაშვილმა და ეკლესიის სხვა წევრებმა თბილად მიიღეს და დახმარება აღმოუჩინეს. სტამბოლში ყოფნის პერიოდში, მისი ურთიერთობა ეკლესიასთან გრძელდებოდა.

1958 წელს ჩაფას სახელობის უმაღლესი სამასწავლებლო სკოლა დაამთავრა და მასწავლებლად გაანაწილეს ყარსის ვილაიეთში, ჯილაგუზის სახელობის დაწყებით სკოლაში. იქ ართვინელი მოსწავლეებიც იყვნენ. აჰმედ დინჩერი, განსაკუთრებით, ქართველი მოსწავლეებით ინტერესდებოდა. 56 წლის შემდეგ, მას ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციაში შეეხდი. საუბრისას ვკითხეთ, სადმე წასვლა ზომ არ სურდა. მან გვითხრა, რომ უნდოდა ჩიფლიქ ქოიში, თავის დასთან წასვლა. მისი თხოვნით გავემგზავრეთ ჩიფლიქში (რომელიც ჩემი მშობლიური სოფელია). ჩიფლიქის ერთ-ერთი უბნის მკვიდრმა, ჩვენმა მეგობარმა, რეჯეფ სელჩუქმა დაგვპატიჟა ჩაიზე. რეჯეფის ეზოში, ჰასან ქანთარიც ჩაერთო საუბარში. ჯილაგუზის სახელობის სკოლაზე საუბრისას გაირკვა, რომ ჰასან ქანთარიც აჰმედ დინჩერის მოსწავლე ყოფილა. ისინი 56 წლის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს.

აჰმედ დინჩერმა, ჯილაგუზის შემდეგ, 1959-1961 წლებში სტამბოლში, პირველი არმიის ჯარში იმსახურა. ჯარის შემდგომ ანკარაში გაანაწილეს. ანკარის სამეცნიერო ლიცეუმის დაფუძნებისთვის მუშაობისას, ფორდის ფონდის სპონსორობით, 1964 წლის ივნისში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. მან ფლორიდაში, ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში სამეცნიერო კვლევები ჩაატარა.



ქართული კულტურის ცენტრი „კავკასპორი“ ინეგოლში



ვახტანგ მალაგმაძე (შუაში) ქართველ მწერლებთან, ოთარ და თამაზ კვიციანიანთან. 1996 წ.

იქ, ამერიკაში მცხოვრებ ქართველებსაც შეხვდა. გაიცნო ალექსანდრე მანველიშვილი. თურქეთში დაბრუნებისას პარიზში შეჩერდა. მიკელანჯელის უბანში გაიცნო კალისტრატე სალია, „ბელი ქართლისას“ გამომცემელი და პარიზში მცხოვრები სხვა ქართველები.

1970 წელს, როდესაც მეორედ წავიდა ამერიკაში, ნიუ-იორკში გაიცნო გაზეთ „ქართული აზრის“ (Georgian Opinion) დამფუძნებელი ჯგუფი. მათ შორის იყვნენ მიტო სინდიკელი, სანდრო ბარათელი და გივი ზალდასტანი. მაშინ, აჰმედ ოზქან მელაშვილმა, 1968 წელს გამოცემული წიგნი „გურჯისტანი“ მათაც გაუგზავნა. ამ წიგნზე საუბრისას, ისინი აჰმედ დინჩერით დაინტერესებულან. ამერიკიდან დაბრუნებისას, აჰმედ დინჩერი მიუნჰენში, კარლო ინასარიძესა და ა. კალანდაძეს შეხვედრია. მიტო სინდიკელი 1973 წელს ეწვია სტამბოლს და აჰმედ მელაშვილსა და აჰმედ დინჩერს შეხვდა. 1975 წელს კი, მდიდარი ვაჭარი, გივი ზალდასტანი ამერიკიდან ჩამოვიდა სტამბოლში. ის აჰმედ მელაშვილთან ერთად, ერთ-ერთ სოფელში ქორწილში წაიყვანეს.

აჰმედ დინჩერმა ანკარაში ოთარ გიგინიშვილი გაიცნო. ერთმანეთს ბოლოს 1979 წელს შეხვდნენ, იზმირის გამოფენაზე.

აჰმედ დინჩერი 1962 წელს, ანკარაში დასახლდა და ამჟამადაც ანკარაში ცხოვრობს. მან დიდი წვლილი შეიტანა ანკარის სამეცნიერო ლიცეუმის დაფუძნებაში, სადაც მრავალი წელი იმუშავა და იქიდან გავიდა პენსიაზე. ის სპეციალობით ქიმიკოსია. ქიმიის დარგში მისი ნაშრომები მთელ თურქეთშია ცნობილი.

მის მიერ დაწერილი ქიმიის სახელმძღვანელოებით დღესაც სწავლობენ.

როგორც აღვნიშნეთ, აჰმედ დინჩერმა აჰმედ მელაშვილისგან შეისწავლა ქართული ანბანი და სადაც უნდა წასულიყო, მუდამ ზრუნავდა, რომ ის ქართველებისთვის ხელმისაწვდომი გაეხადა. ყველა ახალგაზრდობილ ქართველს ანბანსა და აჰმედ მელაშვილის მისამართს აძლევდა, რომ მათთვის მიმოწერის საშუალება მიეცა. ამის დასტურად მინდა ერთი მაგალითი მოგიყვებო და დავასრულო თხრობა:

უნიელი მასწავლებელი, ემინ ალქან ხალვაში, 1977 წელს, ბურსაში მასწავლებლად განაწილების შემდეგ, პირველად აჰმედ ოზქან მელაშვილის ოფისში მისულა. ემინ ალქანმა თავი რომ გააცნო, აჰმედ მელაშვილს წამოუძახებია: „ოოო, ლამაზი წერილი, კეთილი იყოს შენი მობრძანება!“ ის ემინ ალქანს იცნობდა ლამაზი, კორექტული წერილებით. თუ იკითხავთ, საიდან ისწავლა ემინ ალქანმა ქართული წერა-კითხვა, ვიპასუხებთ — აჰმედ დინჩერისგან! 1975 წელს, აჰმედ დინჩერს, ერთ-ერთი მოგზაურობისას, გირესუნში, სადაც ის მასწავლებლებს სემინარებს უტარებდა, ემინ ალქანი გაუცვინია...

ამჟამად, აჰმედ დინჩერი 78 წლისაა. ის დღემდე არ ჩასულა საქართველოში. ახლა უნდა რომ ჩავიდეს და ახლო მომავალში წასვლას გვმავს. გზა მშვიდობისა, ძია აჰმედ! გელის დედასამშობლო, საქართველო!

მუსტაფა იაშუთი

(ბურაე სიფიაშვილი)

ინგოლი, 2014



კადრი
დოკუმენტური
ფილმიდან
„ჩვენებურთა
ბელადი“

„ჩვენებურთა ბელადის“ წარმატება

თბილისში, ასოციაცია „მეოხისა“ და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით გაიმართა მართლმადიდებლური ფილმების მეცხრე საერთაშორისო ფესტივალი „წმინდა ანდრიას ჯვარი“.

ფესტივალში მონაწილეობდა 20 ქვეყანა: საქართველო, სერბეთი, საბერძნეთი, სომხეთი, უკრაინა, რუმინეთი, თურქეთი და სხვ. ფილმების ჩვენების გარდა, მოეწყო ქართველ კინოოპერატორთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც ტელეოპერატორ გიორგი ბერიძის ხსოვნას მიეძღვნა.

ფესტივალზე სიველ-გუჯრითა და მედლით დაჯილდოვდა სტუდია „არტარეას“ ბაზაზე გიორგი კალანდიას მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმი „ჩვენებურთა ბელადი“. ეს ფილმი თურქეთში მოღვაწე ცნობილ ქართველ განმანათლებელს, აჰმედ ოზქან მელაშვილს ეძღვნება. იგი კლარჯეთელ ქართველ მაჰმადიანთა შთამომავალი იყო და მის უმთავრეს საქმიანობას ადგილობრივ ქართულ თემებში — „ჩვენებურებში“ ქართული იდეის პროპაგანდა წარმოადგენდა. მან შექმნა წიგნი საქართველოზე Gürcüstan (1968), რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მაგრამ თუ თურქეთელ ქართველებს „გურჯისტანმა“ ისტორიული სამშობლოსკენ მიბრუნების საშუალება მისცა, მაშინდელმა თურქეთის მთავრობამ წიგნი აკრძალა. საქმე სასამართლომდე მივიდა და ოზქანი გაამართლეს კიდევ. წიგნს მოჰყვა ჟურნალი „ჩვენებური“, რომელიც აჰმედ მელაშვილმა დააარსა და

რომელიც დიდხანს რჩებოდა თურქეთის ქართული დიასპორის უმნიშვნელოვანეს კულტურულ პერიოდულ გამოცემად.

თანდათან ძლიერდებოდა თურქეთელ ქართველებში მშობლიური ენისა და ისტორიის შესწავლის სურვილი. ამ საქმეში გაწეული ღვაწლისთვის აჰმედ მელაშვილს ზოგჯერ თურქეთის ქართველების ილია ჭავჭავაძესაც უწოდებდნენ. სამწუხაროდ, 1980 წლის 5 ივლისს ქალაქ ბურსაში, ოზქანი თურქული ულტრანაციონალისტური დაჯგუფების, „რუხი მგლების“ აქტივისტებმა მოკლეს. აჰმედ ოზქან მელაშვილი სოფელ ჰაირიეში განისვენებს. მის საფლავზე თურქულად და ქართულად წერია: „მე ვიცხოვრე ჩემი ხალხისთვის და არა უკვდავებისთვის“.

„ისტორიანი“

წიგნები საქართველოზე



„სოფელში რომ ადვის სურნელს იბრძნობ, ესე იბი, აქ გურჯები ცხოვრობენ“

(რეპორტაჟი პირველი)



არდაშენის შესასვლელში სტუმარს მონადირე მიმინო ეგებება. ავტორის ფოტოგრაფია

ქართველი მოსახლეობის სიმრავლე თურქეთის შავი ზღვისპირეთის სამხრეთ პროვინციებში, მეცნიერებისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა!

ამ ზაფხულს ქართველი მეცნიერები ისევ ვეწვიეთ თურქეთს. რუსთაველის ფონდისა და წმინდა თამარის უნივერსიტეტის თანადგომით უკვე მესამე კომპლექსური ექსპედიცია მოეწყო. წინა ორი ექსპედიცია დაეთმო ტაო-კლარჯეთის სხვადასხვა კუთხისა და მარმარილოს ზღვის რეგიონში განსახლებული ქართველების ყოფისა და კულტურის, ენობრივი ვითარების, ქართული თვითშეგნების, სათვისტომოებისა თუ საზოგადოებების საქმიანობის შესწავლას. წლეულს კი თურქეთის შავი ზღვის რეგიონის ქართველთა დასახლებებში ვიმოგზაურეთ, არაერთი საყურადღებო ფაქტი აღვსუსხეთ და ისტორიულ სამშობლოზე შეგვარებული მრავალი თურქეთული ქართველიც გავიცანით.

თურქეთში ამჟამად ქართველთა განსახლების სამი ძირითადი არეალია.

— ისტორიული ტაო-კლარჯეთი, სადაც ქართველები უმთავრესად განსახლებული არიან ართვინის ვილაიეთში. ამ ნაწილს ძირითადად შენარჩუნებული აქვს ქართული ენა და წეს-ჩვეულებები. დანარჩენ ნაწილში მოსახლეობამ დროთა განმავლობაში განიცადა დეეთნიზაცია და ქართულ ფესვებზე მხოლოდ სოფლის სახელები და ადგილობრივი ტოპონიმები მიანიშნებენ;

— 1778 წელს მუჰაჯირებად გაზიზნული

მოსახლეობის შთამომავლები მარმარილოს ზღვის რეგიონში;

— ასევე მუჰაჯირთა შთამომავლები შავი ზღვისპირეთის სამხრეთ პროვინციებში.

გარდა ამისა, ქართული მოსახლეობა ერთეულ სოფლებად თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეშიც გაბნეულა, რაღა თქმა უნდა, ქართველების ნაწილი ცხოვრობს დიდ თუ პატარა ქალაქებშიც: სტამბოლში, ანკარაში, ბურსაში, იზმითში, სამსუნში, სინოპში, ადაფაზარში და სხვ.

ამ ზაფხულს ჩვენმა გუნდმა (ეთნოლოგები

როლანდ თოფჩიშვილი, ნოდარ შოშიტაშვილი, მირიან ხოსიტაშვილი და გიორგი ავთანდილაშვილი, ენათმეცნიერი ინგა ლუტიძე, თურქოლოგი ზაზა წურწუშია, მენეჯერი ნატო ასათიანი) გეზი მესამე, შავი ზღვისპირა რეგიონისკენ აიღო, სადაც ქართველები XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედიდან, ძირითადად, ზემოაღნიშნული 1778 წლიდან დაფუძნდნენ და მოიცვეს ტერიტორია გირესუნის ვილაიეთიდან სინოპამდე.

ერთი ნიუანსიც: თუ შავშეთ-იმერხევისა და ზოგადად, ტაო-კლარჯეთის, აგრეთვე მარმარილოს ზღვის სანაპიროს ქართველთა შესახებ ჩვენს საზოგადოებას მეტ-ნაკლებად აქვს ინფორმაცია, ამას ვერ ვიტყვით შავი ზღვისპირეთის ქართველთა შესახებ.

მეტიც, ჩვენთვის, მკვლევარი ეთნოლოგებისა და ენათმეცნიერებისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა ასეთი დიდი ქართული დიასპორის არსებობა თურქეთის ამ მხარეში. ჩვენი გათვლებითა და იქაური კოლეგა-მეგობრების ინფორმაციით, აქ დაახლოებით ქართული წარმომავლობის ხალხით დასახლებული 200-მდე სოფელია. გარდა ამისა, ქართველები ცხოვრობენ საგუბერნიო თურაიონულ ცენტრებშიც. უმეტეს შემთხვევაში, ქალაქში მცხოვრებნი სოფელთანაც ინარჩუნებენ კავშირს.

არღაშენი ლაზური ძალაქია

სანამ „ღანიშნულების ადგილას“, მუჰაჯირების შთამომავალთა სოფელ-ქალაქებში მივიდოდით, ცხადია, ლაზეთი გავიარეთ. ერთმანეთს ენაცვლებოდა ლაზეთით დასახლებული პატარა ქალაქები: ხოფა, არქაბი (არქავე), ვიწე (ფინდიკლი), არღაშენი, ფაზარი...

არღაშენში შევისვენეთ. მოსახლეობის უმეტესობა აქ ლაზია. არიან ეთნიკური თურქები და ჰემშინებიც — გათურქებული, გამუსლიმებული სომხები.

ქალაქის კარიბჭესთან სანადიროდ შემართული მიმინოს უზარმაზარი ქანდაკება შემოგვეკება. ჩვენთვის ამას სხვა დატვირთვაც ჰქონდა: მიმინოთი ნადირობა და ბაზიერობა ხომ ოდითგანვე განთქმული იყო კოლხეთის მოსახლეობაში და მთლიანად ისტორიულ საქართველოში. დღესაც შეხვდებით ბაზიერებს გურიაში, საქართველოს ლაზურ სოფლებში. არღაშენშიც აქა-იქ დღესაც წვრთნიან მიძინოებს ბაზიერებო, გვითხრეს.



ლაზური ქალაქი არღაშენი

ადგილობრვი პრესა მკითხველს ქართველ მეცნიერთა შესახებ მოუთხრობს





თურქეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლები (მარცხნიდან): ფეჰმი უზალ უსტიაშვილი, ჯამილ ოლგუნ თაედიე და თუფაქ შაფაქ ლომინაძე



იხმეთ მიდელაშვილი: „სამი შვილი მყავს და ერთიც გოგო“...

უნებს ქუჩაში ქართული სათვისტომოს წევრებთან



მიმინო შევარდენისნაირთა რიგის ორ-
ნითოფაგი (ჩიტების მჭამელი) ფრინველია.
სწორედ ეს თვისება გამოიყენეს ჩვენმა წინაპ-
რებმა მის მოსათვინიერებლად. სულ მცირე,
ვახტანგ გორგასლის ეპოქიდან ჩანს სანა-
ღიროდ მიმინოს გამოყენება. როგორც წესი,
მონადირედ დედალ მიმინოს, ანუ ნარდს ირ-
ჩვედნენ, რადგანაც იგი, მამლისგან განსხვა-
ვებით, ძლიერი და შემტევია. მიმინოს ბადისა
და მისატყუებელი ჩიტის, ღაჟოს დახმარებით
იჭვრდნენ. ღაჟო მოუსვენარი ფერადი ჩიტია.
თავის მხრივ, ისიც ძველად მოსახელთებელია
და საგანგებო მახით ან საღაჟოე სხაპით
იჭვრდნენ. ღაჟოს რომ აათამაშებდნენ ბადის
წინ, მიმინო დაეძგერებოდა და ბადეში ისიც
ებმებოდა. ამის შემდეგ იწყებოდა მიმინოს
მოთვინიერება. თუმცა ამ საკმაოდ საინტე-
რესო პროცესის მოყოლა ძირითად თემას
ავაჯდენს. ერთი კია, თითქოს „არდაშენელი
მიმინოს“ ქანდაკება ერთგულად იცავს ლა-
ზურ გარემოს.

ბათუმურა და იზაბელა

არდაშენში ჩასულებს ჩვენი მეგზურები
შემოგვიერთდნენ — თუფაქ შაფაქ ლომინაძე
და ფეჰმი უზალ უსტიაშვილი, სინოპისა და
სამსუნიის რეგიონების მკვიდრნი, რომლებიც
არა მხოლოდ საუცხოოდ იცნობენ ქარ-
თველებით დასახლებულ სოფელ-დაბებს,
არამედ აქაურებსა და თავიანთ ისტორიულ
სამშობლოს შორის ერთგვარი ხიდის როლ-
საც ასრულებენ.

გირესუნისკენ გავემართეთ და ფირაზის
რაიონში მთა-გორაკებზე გაშენებულ სოფელ
თეფექოის ვესტუმრეთ. თვით სიტყვა თეფე-
ქი სერზე, ბორცვზე შეფენილ განსახლებას
აღნიშნავს. სოფელი იმდენად მთიანია, თავის
დროზე ხარის არაბასაც (ურემსაც) უჭირდა
აქ მოძრაობა. ორასკომლიან სოფელში ყველა
ქართული წარმომავლობისაა. 75 წლის ის-
მეთ მიდელაშვილის გადმოცემით, 37 ოჯახი
აყრილა ჩურუქსუდან (ქობულეთის ხეობა),
მახუნცეთიდან, ქეღდან. სახალისო იყო მისი
პასუხი კითხვაზე, — რამდენი შვილი გყავთ?
ისე გვიპასუხა, საქართველოს მთაში რომ
იცოდნენ ხოლმე ძველად: „სამი შვილი მყავს
და ერთიც გოგო“.

როგორც სხვა კუთხეებში, აქაც ბევრი
ურჩევიათ, ახალი ფუძისთვის ბარი სად და-
ერტყათ... რამდენიმე ალაგიც გამოუცვლიათ.

ისმეთ მიდელაშვილი: „ფარახოტით მოსულან ჩვენი დედები, დიდვანები. ქვეით დამჯდარან, გირესუნში, ზღვასთან. აქედან ოცი კილომეტრია გზით. მოკლეზე ხევეებით და ბილიკებით — შვიდი. სიცხე იყო იქ, ბუზი კბენდა. დუუტოვით ნესტიანი ადგილი მთის წყაროებზე შეჩვეულებს“... მაღლა ამოსულან და ეს ადგილები შეურჩევიათ, სადაც წყაროებიც ყოფილა და ნაკადულებიც და რაც მთავარია, ტყე. „თავი თითქოს სახში დუუგულებიათ“. ტყეც „ნაცნობი“ ყოფილა მათთვის — რცხილნარი, მუხნარი, წაბლნარი. ხის ოსტატებიც ყოფილან, უბადლო ხითხურები. სახლებიც თავადვე აუშენებიათ და მკვიდრადაც.

მუჭაჯირებს თან წამოუღიათ ზოგიერთი ჯიშის ხილისა და ვაზის ნერგები. გამორჩეულად ბათუმურა მსხალს ასახელებენ, „დიდვანებს, ორი მუშტის ხელას“. სამშობლოდან „წამოდებული“ ხეხილი უმეტესად სწორედ მსხალია. მართლაც, როგორც აქ, ასევე ინეგოლისა და გოლჯუკის სოფლებში, საუკუნე-ნახევრის მსხლის არაერთი ხე გვინახავს, რომელზეც გვითხრეს, „დიდდედების“ ჩამოტანილია ბათუმიდანო.

ყურძნის ჯიშებიდან კი უპირატესობა იზაბელასთვის (ადესა) მიუნიჭებიათ. ალბათ იმიტომ, რომ სწორედ იმ პერიოდში შემოიტანეს საქართველოში გავრცელებული დაავადების, ფილოქსერას გამძლე ვაზის ეს ჯიში.

ტნობისთვის: იზაბელა მუჭაჯირთა შთამომავლებისთვის როგორც აქ, შავი ზღვისპირეთში, ისე მარმარილოს ზღვის რეგიონში,

ერთგვარი საეიზიტო ბარათი გახდა. სოფელში რომ შეხვალ და ადესის სურნელს იგრძნობ, უნდა იცოდეთ, რომ, როგორც აქაურები იტყვიან, ეს ქართველი სოფელია, გურჯების სოფელია.

თხილგა ხალხი დააბრუნა...

ორღუს ვილაიეთში მივემგზავრებით, რომელიც ამ რეგიონში ყველაზე ქართულია — აქ ქართველ მუჭაჯირთა შთამომავლებით დასახლებული 145-მდე სოფელია, თანაც, უმეტესობა მოსახლეობის სიმრავლით გამორჩეული. გვმასპინძლობს ქალაქი უნიე — პატარა, მყუდრო საპორტო ქალაქი, 78 ათასი მცხოვრებით. მშვენიერი ზღვის სანაპირო ზოლის მიუხედავად, მისი საკურორტო პოტენციალი ბოლომდე არ არის გამოყენებული.

ერთი რამ შესამჩნევია თურქეთში (უცხო თვალისთვის განსაკუთრებით): აქაურობა იმდენად განებეიერებულია ზღვის სანაპიროებით (შავი, მარმარილოს, ეგეოსის, ხმელთაშუა), რომ ამ ზღვეს შორისაც „არჩევანი გაუკეთებიათ“. შავი ზღვა ხმელთაშუა ზღვის „ჩრდილში“ იკარგება. ხმელთაშუაზღვისპირეთში კი მსოფლიო მნიშვნელობის კურორტებია გაშენებული. თუმცა შავიზღვისპირელებს იმედი აქვთ, ჩვენი დროც მალე დადგებაო...

დავუბრუნდეთ ჩვენს „საკვლევ ზონას“. ორღუს, ფაცას, უნიეს სოფლების მოსახლეობა თავიდან ტრადიციულ დარგებს მისდევდა: მოჰყავდათ სიმინდი, ხორბალი, ქერი, ღომი, ფეტვი... მოაშენეს ხარ-ძროხა, ცხვარი, თხა, მაგრამ რამდენიმე ათეული წლის წინ დიდი



თხილის შრობა



თურქეთის შვეიზღვისპირეთში ჰიჯაბდაზურულ და ტრადიციულ სამოსში გამოწყობილ მოცურავე ქალებსაც შეხვდებით

ცვლილება მოხდა. არნაზულად გაიზარდა მოთხოვნილება თხილზე თურქეთისა და მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ საკარმიდამო საბოსტნე ნაკვეთებისა და სიმიდის ნათესების გარდა, მთელი საგარეულები თხილს დაეთმო. შარშან გემლიკის რაიონში, მარმარილოს ზღვისპირეთში მოგზაურობისას ჩვენი ყურადღება იმან მიიპყრო, რომ ზეთისხილს არა მხოლოდ პლანტაციებად ვარგისი ვაკე ადგილები ეკავა, არამედ ათვისებული ჰქონდათ თითქმის ყოველი გორაკი თუ ბორცვი. ორდუს ოლქში კი თხილი გაუშენებიათ ყველგან. სერები, გორაკები, ბორცვები ველური ბუჩქნარის ნაცვლად, თხილის ნარგავებს დაუკავებია. თხილმა კი, როგორც აქაურებმა გვითხრეს, ხალხი უკან ჩამოიყვანა. ქალაქებიდან ჩამოდიან 4-5 თვით, რაც საკმარისია თხილის მოსაყვანად, შემდეგ კი მომდევნო წლამდე უკან ბრუნდებიან. საქართველოშიც რომ გადმოგველო ჩვენებურთა ეს „გამოცდილება“, არ გვაწყენდა. მით უფრო, რომ ჩვენი მიწის დიდ ნაწილზე თხილიც ხარობს და ზეთისხილიც.

უნიეში ქართული კულტურის ცენტრსაც ვეწვიეთ, რომელსაც მეჰმედ ალი გიურსოუ თავკაცობს. ბატონი მეჰმედი წარმოშობით ამასიდან არის და ხუმრობით გვეუბნება, ქართველი საცოლის ძებნაში ბედმა 300 კილომეტრი გამომატარა და უნიეში მომიყვანაო... კულტურის ცენტრიდან და საერთოდ, ქართული სოფლებიდან ხშირად ეწყობა

„გასვლები“ აჭარის იმ სოფლებში, საიდანაც აქ მცხოვრებთა ფესვებია. ასე ეცნობიან და ხელახლა უნათესავდებიან აქეთურ-იქეთური ქართველები ერთმანეთს.

თავადი თავდგირიკეპისი უთამოვალევი

ქალაქ უნიეს გარეუბანში, ერთ გამორჩეულ და მოვლილ მამულში თავად თავდგირიკეების ერთ-ერთ შთამომავალს, ქალბატონ აიშე თავდგირიკე-ხაზნადარს შევხვდით. აიშე ფსიქოლოგია, იყო ანკარის უნივერსიტეტის პროფესორი, ახლა პენსიაზეა და მამულს დაუბრუნდა. გვიამბობს თავდგირიკეთა საგვარეულოს იმ შტოს შესახებ, რომელსაც სამკვიდრო ოსმალეთის იმპერიაში უპოვია. მისი გადმოცემით, აქ XVIII საუკუნის 30-40-იან წლებში მოსულან და უნიესა და ფაცას მიდამოებში მათთვის დიდი მამულებიც გამოუყვია სულთანს. მათ ევალებოდათ გადასახადების აკრება და საერთოდ, ფინანსური საქმეების წარმართვა. ამიტომაც უბოძებია სულთანს მათთვის ახალი გვარი — ხაზინადარი (ხაზნადარი). თავდგირიკეთა ერთ-ერთ შტოს კი გვარად თავად-ი აულია. უნიეს ცენტრში მკვიდრად ნაგები გალაგანი, რომელიც ზღვის ტალღებისგან იცავდა ქალაქს, ოლქის გუბერნატორს, სულეიმან ფაშა თავდგირიკე-ხაზნადარს აუგია. ჯანის ოლქის ბოლო მმართველები კი ნური და ოსმან ფაშები ყოფილან ამავე საგვარეულოდან.

ხელისუფლებაში ქემალ ფაშას მოსვლისა და რესპუბლიკური მმართველობის დამყარების დროიდან, როცა რეპრესიებიც არ იყო უცხო, თავდგირიკეებს ადმინისტრაციული სამსახური დაუტოვებიათ და მეურნეობისა და მამულების მართვისთვის მიუყვიათ ხელი. ამჟამად ამ გვარის წარმომადგენელი მურატ ხაზნადარი სტამბოლის ერთ-ერთი რაიონის, ბეშიქთაშის გამგებელია და მისი სარეკლამო ბანერებიც გვხვდებოდა თურქეთის უდიდეს ქალაქში.

ბოლოს ქალბატონი აიშე დასძენს: — დები ვიყავით და ოჯახში განათლებას რომ გვაძლევდნენ, ჩვენს კარიერაზე არავინ ფიქრობდა, კარგ დედებად გვზრდიდნენ. დღეს კი სხვაგვარადაა, კარიერაზე მეტს ფიქრობენ ჩვენი ქალები, ვიდრე დედობაზე...

აი, რას მოგვითხრობს ისტორიული ჩანაწერები თავდგირიკეთა საგვარეულოს შესახებ:

თავდგირიძეთა ფეოდალური საგვარეულო სამხრეთ საქართველოდან წერილობით წყაროებში XIV საუკუნიდან იხსენიება. ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ამ გვარის წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქართლში, გურიასა და იმერეთში გაიფანტნენ. საგვარეულოს ერთი ნაწილი, კერძოდ ქობულეთის სარდალ-მოურავი მამუკა თავდგირიძე, რომელიც სოლომონ I-ის სიძე იყო, ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოდა XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში. 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ თავდგირიძეთა ერთი ნაწილი ქვეყნის ერთგული დარჩა, მეორე ნაწილი კი გამუსლიმდა და ოსმალეთის სულთნის მოხელეებად იქცა.

საინტერესოა ერთ-ერთი მათგანის, ჰასან ბეგის, 1853-1856 წლების ყირიმის ომის მონაწილე თავდგირიძეთა გვარის წარმომადგენლის ისტორია. სწორედ მას უკავშირდება გურულების ხალხური სიმღერა ხასანბეგურა (ჰასან ბეგი სწორედ ამ ომს ემსხვერპლა). ასევე საინტერესოა ალი ფაშას თავგადასავალი. იგი ქობულეთის ფაშა იყო და 1878 წელს ოსმალეთში მუჰაჯირად გაიყოლია 1500 ოჯახი. ამას ხელი შეუწყო ახალმა, რუსულმა ადმინისტრაციამ, რომლის წარმომადგენლებმაც ამგვარად დაიწვეს ქართველი მოსახლეობის შევიწროება და განდევნა. აი, როგორ „ამართლებდა“ რუსი მოხელე დმიტრი სვიატოპოლსკ-მირსკი საქართველოდან ქართველი მუსლიმების განდევნას: „ბათუმის ოლქის მიღებით რუსეთმა მიიღო ბუნებრივი სიმაგრე კავკასიის საზღვრების ყველაზე სამიშ კუთხეში. ხალხი, რომელიც თურქეთთანაა დაკავშირებული რელიგიით, სამიშ ელემენტს წარმოადგენს ციხის შიგნით. ადგილობრივი მოსახლეობა უნდა მოვიცილოთ“.

ალი ფაშაზე შექმნილი პოპულარული სიმღერის ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი კი ასე გამოიყურება:

ალი ფაშამ გვიღალატა,
ჩაგვიყვანა კვირიკეში,
იმან ფულები აიღო,
ჩვენ ჩაგვყარა რუსის ხელში.
კაი არც მას დამართნია,
ბაწრით ჩაითრიეს გემში,
მისი ყვირილი ისმოდა
სუფსის გაღმა ბაიეთში.
„დატუსადებული საქართველო“



უნიეს ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი მეჰმედ ალი გირსოღა პროფესორი აიშე ხაზნადარი თავდგირიძე



მურატ ხაზნადარის სარეკლამო ბანერები სტამბოლში გეხვდებოდა

მკვიდრი გალაყანი, რომელიც ზღვისგან იცავდა ქალაქ უნიეს, ოლქის გუბერნატორს, სულეიმან ფაშა თავდგირიძე-ხაზნადარს აუვია...





ქამილ ოლგუნ თავდიძის ნახატი „დატყვევებული საქართველო“

ძველებური დუქანი გამთენიისას, კლიენტის მოლოდინში



მოვლენებს ოდნავ წინ გავუსწრებ და გავიხსენებ სინოპის ოლქის ერფელიკის ილჩეში მცხოვრებ მუსტაფა ოსგენჩის (ბრეგვაძის) ოჯახში ნანახი ერთი ნახატის ისტორიას. მასპინძლებმა გვიჩვენეს თავიანთი ნათესავი მოყვარული მხატვრის ნაჩუქარი ფერადი ტილო, რომელზეც გამოსახულია გისოსებში გამომწყვდეული და ფეხებზე ბორკილდაებული შშენიერი ქალი. ამ ნახატს „დატყვევებული საქართველო“ ჰქვია. ჩანს, მისმა ავტორმა სიმბოლურად ასე წარმოიდგინა თავისი ისტორიული სამშობლო.

როლანდ თოფნიშვილი (ექსპედიციის მონაწილე, პროფესორი): — ამ ნახატის ავტორია ქამილ ოლგუნ-თავდიძე, წარმოშობით სინოპის მხარიდან. იგი სოფელში იზრდებოდა, 12 წლისა თანატოლებთან ერთად სინოპის ლიცეუმში გადაუყვანიათ სწავლის გასაგრძელებლად. სწორედ ლიცეუმში გაუგიათ პატარა გურჯავს, რომ დანარჩენი მოსწავლეებისგან განსხვავდებოდნენ, თურქულის გარდა სხვა (თავიანთ) ენაზეც ლაპარაკობდნენ. ყმაწვილებს ვერ გაერკვიათ, ვინ იყვნენ, საიდან მოდიოდნენ. ამ მსჯელობამ ისინი ბიბლიოთეკამდე მიიყვანა, სადაც აღმოაჩინეს სტამბოლში გამოცემული ერთი თურქულენოვანი პატარა წიგნი (რომელსაც მერე ვეღარ მიაკვლიეს). ამ წიგნით გაიგეს გურჯისტანზე, ნოე ჟორდანის მთავრობაზე. ისიც გაიგეს, როგორ დაიპყრო საქართველო რუსეთმა... რა თქმა უნდა, მეტის ცოდნა მოუნდათ გურჯისტანის შესახებ. ერთად მოიფიქრეს, წერილი გამოეგზავნათ საქართველოში და ასეც მოიქცნენ. კონვერტზე ასე დააწერეს: გურჯისტანი, თიფლის ლისე (ლიცეუმი). იფიქრეს, ჩვენთან თუ გვაქვს ლიცეუმი, თბილისშიც ექნებათო და თანატოლებს წერდნენ, ქართული ქითაბები (წიგნები) გამოგვიგზავნეთ, ქართულად წერა რომ ვისწავლოთ... ერთი თვე ელოდნენ პასუხსა და წიგნებს თბილისიდან. პასუხის ნაცვლად სინოპის პოლიციაში ბიჭუბიც დაიბარეს და მათი მშობლებიც და მკაცრად გააფრთხილეს, ასეთი რამ აღარ გაიმეორეთ... მოგვიანებით დაუხატავს ეს ტილო ბატონ ქამილს, რომელშიც „დატყვევებული საქართველოს“ ტკივილი გადმოუცია.

**(გაგრძელება მომდევნო ნომერში)
ნოდარ ჟოშიტაშვილი**

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი**

ქართული სულის მხატვარი თავადი ბაბახინი

თავად გრიგორი გაგარინის შემოქმედებითი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი წლები კავკასიას უკავშირდება. 1840-1842 წლებში სწორედ კავკასიაში ქმნის იმ შესანიშნავი ნამუშევრების ციკლს, რომლებიც შემდგომ მის სახელს საქვეყნოდ ცნობილს გახდის. არაუარსებოდა დანამდვილებით, რამ ან ვინ გააღვივა მისი ესოდენ დაუოკებელი ინტერესი კავკასიისადმი. თუმცა ფიქრობენ, რომ „ამ საკვირველ საოცრებათა მხარეში“ იგი მეგობრებს, ახალგაზრდა ოფიცრებს გამოჰყვება, რომელთა უმეტესობა კავკასიისკენ მიხეილ ლერმონტოვის გადასახლების შემდეგ დაიძრა.

გრიგორი გაგარინი



საპარტიველო უცხოელთა შერევაში ნაწილი IV

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №№ 38, 40, 42)

გრიგორი გაგარინმა კავკასიაში თავაპირველად ერთი წელიწადი გაატარა — 1840 წლის გაზაფხულიდან 1841 წლის ზაფხულამდე. შემოდგომამდე, კახეთში მოგზაურობისას თავის სამგზავრო დღიურში ჩანაწერები ასე თბილისის ბანიანი სახლები. გრიგორი გაგარინი, 1849 წ.



დაასათაურა: „აბზაზთა თავადი“, „ყურძნის კრეფა“, „ღვინის დაწურვა“, „ქართველთა საუბარი პოლიტიკაზე“. მსგავსი სიუჟეტები მოგვიანებით მის გრაფიკულ ნახატებშიც გაჩნდა, რაც მიუთითებს, რომ გაგარინი თავიდანვე ინტერესით ეცნობოდა კავკასიის ხალხებს, სწავლობდა მათ თვითმყოფად ცხოვრებას, ისტორიასა და ეთნოგრაფიას.

გრიგორი გაგარინი კავკასიაში მიმდინარე იმპერიალისტურ ომსა და რუს მოხელეთა განუკითხოებას სასტიკად შეეწინააღმდეგა. მან 1844 წელს რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრს, თავად ალექსანდრე ჩერნიშევს წერილი გაუგზავნა. დოკუმენტი ამჟამად დაცულია რუსეთის სამხედრო-ისტორიულ არქივში. ამჯერად ვაქვეყნებთ დოკუმენტის იმ ნაწილს, რომელიც თავად გაგარინის კრიტიკულ შენიშვნებს მოიცავს. 1844 წლის 21 დეკემბრით დათარიღებული წერილი ასეა დასათაურებული: „მოსაზრებები კავკასიაში მცხოვრებ მთიელთა მორჩილებაში მოყვანის შესახებ“. მასში ვკითხულობთ:



გრიგორი გაგარინის „კავკასიური კოსტიუმი“ პარიზში 1845 წელს გამოცა. ზემოთ იმერული თავადი. ქვემოთ მერული თავადი



„მოწვალეო ხელმწიფევე, თავადო ალექსანდრ ოვანოვიჩი!

მქონდა ბედნიერება არაერთხელ მეგრძნო თქვენი მაღალი ბუნება, მეხილა დაუოკებელი მისწრაფება და სიყვარული სიმართლისადმი. ამიტომაც ვებღავ და იმედი მაქვს, თქვენი ბრწყინვალეობა მომცემს საშუალებას, გავუზიარო ზოგიერთი ჩემი მოსაზრება, რომელიც კავკასიაში ორგზის მოგზაურობის დროს ჩამომიყალიბდა. 1840 წელს მივლინებული ვიყავი ბარონ განის ხელმძღვანელობით შექმნილ კომისიაში. მაშინ კავკასიას მხოლოდ პრომეთეს შესახებ შექმნილი მითებიდან და იმ ათასგვარი არსებული თუ არარსებული ჭკორიდან ვიცნობდი, რომელიც იქაურებთან ომს ასახავდა. ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცნობდი, ეს იყო კავკასიაში დაგვეძილი ახალი ცვლილებები, რადგან იქ საქმეები ძლიერ ცუდად მიდიოდა. ამ უკანასკნელმა ჩემში აღძრა სურვილი და ცნობისმოყვარეობა, არსებული ვითარება გამეცნო და დაგვეძილ ღონისძიებათა არსი შემესწავლა.

კავკასიაში პირველი სტუმრობის დროს აი, რა მომხვდა თვალში: ტფილისური საზოგადოება პატოვისცემისა და შიშის გარეგნული ნიშნებითაა შემოსილი. არადა, ამ საზოგადოების წევრები სახალხოდ დაადანაშაულებს გამდიდრებაში იმ ადამიანთა ხარჯზე, რომელთაც მათი გავლენა და ძალაუფლება სჭირდებოდა... სომხურ ოლქში სტუმრობისას გამაოგნა შემდეგმა გარემოებამ: იქ შევიტყვე, რომ ჩინოვნიკთა ყველა ადგილს უეზდის ხელმძღვანელი ყიდდა საკუთარი ჯიბის სასარგებლოდ. ამ თანამდებობებს კი იმათ აძლევდა, ვინც გაუბედურებული ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვითა და შევიწროებით ცხოვრობდა. რაც უფრო მეტს ვმოგზაურობდი რუსების მიერ დამორჩილებულ მხარეში, მით უფრო მეტს ვიგებდი ათასგვარი უსამართლობის შესახებ. ეს წესრიგი, უფრო სწორად კი უწესრიგობა, ზოგჯერ იცვლებოდა, თუმცა მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით და ასეთი გახლდათ ხელმძღვანელთა ცხოვრების საერთო წესი... გურიაში წარმოშობილი ჯანყი ამის სამწუხარო დასაბუთება გახლავთ... რაც უფრო მეტად აღვიქვამდი კავკასიის აღმაფართოვანებელ ბუნებას, მით უფრო მეტად ვრწმუნდებოდი მის მკვიდრთა სიდიადეში, სიმამაცეში, მორჩილებასა და მახვილგონიერებაში. ამასთანავე, სულ უფრო

ქართველი ქალი
(„კეკელიძის
კოსტიუმი“)





ზემოთ: მაიკო ორბელიანი. ქვემოთ: ქართული თავადის ქალი („კავკასიური კოსტიუმი“)



შემზარავად და აუტანლად მიმაჩნდა რუსული მმართველობის უკანონობა“.

1848 წელს მხატვარი კავკასიაში, ამჯერად ტიფლისში გამოავაზუნეს. გრიგორი კავკასიის მეფისნაცვლისა და რუსეთის ჯარების მთავარსარდლის, მიხაილ ვორონცოვის სამსახურში ჩადგა. 1849 წელს ის ტიფლისში თეატრის მშენებლობას იწყებს. პროექტი არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის ეკუთვნოდა. მხატვარს შენობის ინტერიერის მოპირკეთება მავრიტანულ სტილში ჰქონდა ჩაფიქრებული. ნაძერწი ფიგურების შესაქმნელად გაგარინმა თბილისში ააშენა და მოაწყო პაპიე მაშეს ფაბრიკა, სადაც მუყაოს, ქაღალდის, სახამებლისა და თაბაშირის შერევით თეატრისთვის განკუთვნილ ორნამენტებს ძერწავდნენ. თეატრი მთელი ტიფლისის სიამაყედ იქცა. ვორონცოვი წერდა კიდევ, ქართული თეატრი შესანიშნავი გამოგვივიდაო. მისი თანამედროვე, ვ. სოლოგუბი, რომელიც თეატრის დირექტორი იყო, 1851 წლის გაზეთ „კავკაზში“ (№ 29) წერდა: „თავადი გაგარინი... მან კიდევ უფრო სრულყო თავისი ნიჭი და დასახლდა რა თბილისში, უკვდავყო სახელი ილუსტრაციებითა და სურათებით კი არა, არამედ მთელი ძეგლებით. სწორედ მან მორთო თბილისის ახალი თეატრი გაუმჯობესებული არაბული სტილით... უსიცოცხლო კალამი უძღურია, გამოჰხატოს ახალი დარბაზის მთელი წარმტაცობა, სიკვლუცე და სიმშვენიერე. იგი მიაგავს სტორისა და მორტიმერის მიერ აღმოსავლური სურათების მიხედვით სხვადასხვა მინანქრისაგან გაკეთებულ ვეებერთელა სამაჯურს... როდესაც თეატრში შედიხარ, თქვენ გაცხებთ ქვედა იარუსის ლოკები, რომლებსაც შემოვლებული აქვს თუთი და ცისფერი ფართო არშია, ფაქიზად შესრულებული მკრთალ-იასამინისფერ ფონზე... ოქროცურვილ პლაფონზე... ჩამწკრივებულია მედალიონები: ესქილეს, სუდრაკის, შექსპირის, კალდერონის, მოლიერის, გოლდონის, გოეთესა და გრიბოედოვის სახელებით“.

1856 წელს ტიფლისში ჩამოსული ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა თავის წიგნში „კავკასია“ თეატრის ძველი შენობის შესახებ აღფრთოვანებას ვერ მალავდა: „უნდა გამოვტყდე, რომ ვესტიბიულში შესვლისთანავე განმაცვიფრა ორნამენტის სადა და დახვეწილმა სტილმა. ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს პომპეუსის თეატრის ვესტიბიულში შევედი. ზემოთა ფოიეში ორ-



ზევსური
ჯვარისკაცი
(„კეკელიური
კოსტიუმი“)



ზემოთა რაჭველი. ქვემოთ ქართველი თავადი სამხედრო კოსტიუმში („კავკასიური კოსტიუმი“)



ნამენტი არაბული ჩუქურთმით შეიცვალა. შევედით დარბაზში, რომელიც ფერიათა სასახლე გეგონებოდათ, არა მისი მდიდრული მორთულობით, არამედ იმით, რომ უფაქიზესი გემოვნებითაა შესრულებული. შესაძლებელია, იქ სულ ასი მანეთის ვარაყიც კი არ არის დახარჯული, მაგრამ უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სათეატრო დარბაზისთანა თვალწარმტაცი დარბაზი ჩემს სიცოცხლეში არსად მენახა“.

მხატვარს იმდენად უყვარდა საქართველო და ქართველები, რომ სამშობლოში დაბრუნებაზე არც კი ფიქრობდა. იყო შემთხვევა, როდესაც მისმა ახლობლებმა მოსკოვში სოლიდური სამსახურიც კი გამოუძებნეს, მაგრამ ყურად არ იღო. მხატვრისათვის თბილისურ პერიოდს უადრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც სწორედ თბილისი და საქართველო იქცა მის შემოქმედებით სახელოსნოდ და სწორედ აქ გაიფურჩქნა მისი ნიჭიც.

თეატრის მოხატვის შემდეგ გრიგორი გაგარინი ჩვეული მონღოლებით შეეჭიდა სიონის ტაძრის კედლებს. ამ ამბავს ისევ ალექსანდრე დიუმა გასაოცრად ხატონად აღწერს: „როცა თავადმა გაგარინმა მორთო ჯოჯოხეთის ტალანი, როგორც ამას თეატრს უწოდებენ, მან ხელი მიჰყო სამოთხის კარის შესრულებას, როგორც ეკლესიას ეძახიან. თბილისის საკათედრო ტაძარი მთლიანად მოხატულია ამ დიდი ხელოვანის მიერ და მსგავსად თბილისის თეატრისა, რომელიც თუ ყველაზე უკეთესი არა, ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი საუკეთესო თეატრია დედამიწის ზურგზე, სიონის ტაძარიც ერთ-ერთი ელვანტური ეკლესიაა მთელს რუსეთის იმპერიაში“.

სიონის ტაძრის მოხატვის დროს პირველად რუსეთის იმპერიაში გამოიყენეს ენკაუსტიკის ტექნიკა, სადაც საღებავების შემაკავშირებლის როლს ცვილი ასრულებს. ამ მიზნით გაგარინი საგანგებოდ გაემგზავრა მიუნხენში, ენკაუსტიკის უბადლო ოსტატთან, თავის მეგობართან, მხატვარ ვილჰელმ ფონ კაულბახთან კონსულტაციისთვის. გაგარინმა მიუნხენიდან საღებავები და დაწვრილებითი ინსტრუქცია ჩამოიტანა. სიონის შემდეგ იმავე ტექნიკით პეტერბურგში მარიის სასახლის კარის ეკლესია მოიხატა.

გრიგორი გაგარინი ბევრს მოგზაურობდა საქართველოში. არ იშურებდა დროს, ენერგიასა და საკუთარ სახსრებს შელახული



ქართული
მილიცია
ზაქათალაში
(„კავკასიური
კოსტიუმი“)

ფრესკების, პორტრეტების აღსადგენად. ასე გადაურჩენია მას თამარ მეფის ფრესკა ბეთანიის ეკლესიაში.

გაგარინის ნამუშევართან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი რუსეთსა და საფრანგეთში დაბეჭდილი ფერადი ალბომები და ლითოგრაფიები. მათგან გამოვყოფდით ალბომს „კავკასიური კოსტიუმი“, რომელიც პარიზში, 1845 წელს გამოიცა. ალბომი 66 ილუსტრაციას შეიცავს კავკასიაში მცხოვრები თითქმის ყველა ხალხის კოსტიუმის შესახებ. მათგან 12 ქართველებს ეძღვნება. პარადოქსია, მაგრამ აღნიშნული ლითოგრაფიების სრული კრებული დღემდე საქართველოს არც ერთ ბიბლიოთეკასა თუ სიძველეთსაცავში არ ინახებოდა. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის შზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე არჩილ გელოვანმა საფრანგეთში ალბომის დედანთან გათანაბრებული ძვირფასი ასლი დაამზადებინა და მუზეუმს გადასცა. ეს ნამუშევრები დამთვალიერებელს განსაკუთრებით მოსწონს. მათი შესრულების მანერა, ფერთა პალიტრა და ვირტუოზულობა კი ცხადყოფს, რომ გრიგორი გაგარინი ყოფითი დეტალებისა და ეთნოგრაფიული თავისებურებების გარდა ქადალღზე ქართული ხასიათისა და სულისკვეთების გადმოცემასაც ახერხებდა.

გიორგი კალანდია

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი

„მოვალეობა, უპირველეს ყოვლისა!“

მარიამ ორბელიანი



ეპიზოდები ქართულ მოღვაწეთა „მძლავრი ჯბუფის“ ცხოვრებიდან

(ნაწილი III)

1917 წლის აპრილში, როცა ივანე ჯავახიშვილი საბოლოოდ ბრუნდება საქართველოში, იწყება საკმაოდ კარგად ცნობილი ბრძოლა უნივერსიტეტის დაარსებისთვის.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მოგონებებიდან:

„1917 წლის 6 დეკემბერს მივდიოდით ვანო ჯავახიშვილი და მე უკანასკნელ სხდომაზე „ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოებისა“. ვანო, როგორც ინიციატორი უნივერსიტეტის შექმნისა, მე, როგორც წვერი კომიტეტისა.

სრული იმედი გექონდა, რომ მოხსენების შემდეგ გადაწყდებოდა უახლესი დრო უნივერსიტეტის გახსნისა. ყველაფერი მზად იყო. კოტე აფხაზმა, თავმჯდომარემ კომიტეტისა, სთხოვა ვანოს, წაეკითხა მოხსენება. მოხსენების შემდეგ თავმჯდომარემ უდიდესი მადლობით მიმართა, მხოლოდ უნივერსიტეტის ეხლავე გახსნა შეუძლებლად ნახა უფულობის გამო.

სურათი შეიცვალა. ვანოს მღელვარება შეეტყო, მხოლოდ თავისებურად დინჯად

შეეკითხა თავმჯდომარეს: „მაშ, რატომ მაძულებთ ტყუილად, იმდენად დამაიმედეთ, რომ პროფესორებიც კი გამოუთხოვეთ“. — სექტემბერში გავხსნით, ცოტა მოთმინება უნდა ვიქონიოთო. მაშინ მე ვკითხე თავმჯდომარეს: — პირველ სექტემბერს კი ნამდვილად გვექნება ფული? — ვერც მაგას ვიტყვიო, — იყო პასუხი.

დავიშალენით. გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. წამოვედით სახლში. ბნელი საღამო იყო და ჩვენს გულებშიც ბნელოდა. ვანოს ჩემი ხელი ეჭირა. პატარა ხანს ვგრძნობდი მის კანკალს, მალე დამშვიდდა და მითხრა: „არაფერია, უნივერსიტეტს მაინც გავხსნით“.

გახსნეს კიდევ. 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს. ქართული გიმნაზიის შენობაში. როგორც იწინასწარმეტყველა ნიკო ცხვედაძემ 1900 წლის 14 ოქტომბერს, მისი სამირკვლის ჩაყრისას: „ეს ჩვენი სკოლა ისეთი დიადი რამ იქნება, რომ უნივერსიტეტსაც კი დაიტევს ღვთით!“

მარიამ ორბელიანი არც შემდგომში დარჩენილა განხე.

ადრე ამ სახლში, ფაქტობრივად, მხოლოდ მარიამი და ალექსანდრე ცხოვრობდნენ. რევოლუციის წინ კიტა აბაშიძის ოჯახი გადმოვიდა. მერე კი სულ ახალ-ახალი ხალხი ემატებოდა. ისე, რომ ოციანი წლებისთვის თითქმის მთელი სანათესაო შეიკრიბა. ლალი ჯავახიშვილის მოსწრებული გამოთქმით, სახლი „ნამდვილ ნოეს კიდობანს დაემსგავსა“.

აქვე ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლომდე ივანე ჯავახიშვილი; აქ დაიწერა მისი შრომების უდიდესი ნაწილი; აქ იკრიბებოდნენ მისი მოწაფეები და კოლეგები, მეგობრები.

შრომებთან დაკავშირებით ერთ ეპიზოდს გიამბობთ. 1922 წლის დეკემბრის დამლევი იყო. ქართულ პალეოგრაფიაზე მუშაობის დროს ივანე ჯავახიშვილს დასჭირდა ქართულ-ებრაულტექსტიანი პალიმფსესტის ნახვა. უფრო სწორად, მისი ფოტოპირისა, რადგან თვით ტექსტი ოქსფორდში ინახება. „პირველი დაკვირვებითგან ცხადი შეიქნა ჩემთვის, რომ ოქსფორდის ეტრატის ნაწყვეტები VII-VIII საუკუნისა მაინც უნდა ყოფილიყვნენ. ენაც გასაოცარი სიმკვლეის მომასწავებელი გამოდგა. ამ აღმოჩენისგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებისგან მუშაობა აღარ შეემძლო... თვალწინ ქართული დამწერლობისა და ენის უძველესი ძეგლი მედგა. აქამომდე IX საუკუნეზე უწინარესი არც ერთი ქართული ხელთაწერი არ იყო ცნობილი და ეხლა ერთბაშად სამი საუკუნით უფრო ადრინდელი ძეგლის ნაწყვეტები გამოჩნდა! მღელვარებისგან ცოტა ხნით შეწყვეტილი მუშაობის განახლების დროს ვცდილობდი დაერწმუნებულიყავ, რომ თვალი არ მატყუებდა და შეცდომა და მოჩვენება არ იყო ის, რასაც ვკითხულობდი“. ეს მართლაც უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა იყო. და დღესაც ასე მიიჩნევა.

ამავე წლებში ხშირად მოდიოდა აქ ზაქარია ფალიაშვილი. მისი და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობის შესახებ ჩვენ უკვე ვთქვით. ახლა კიდევ რამდენიმე წერილს გაგაცნობთ.

16 დეკემბერი. 1908 წელი. ზაქარია — ივანეს.

„ძალიან მინდოდა, რომ თქვენ აქ ყოფილიყავით, და მოგესმინათ ეს სიმღერები, რადგან ჩვენში მათი კარგისა თუ ავის აზრის გამომთქმელად მე თქვენ გაფასებთ უფრო, ვიდრემც „დიპლომაინებს“.

აქ ლაპარაკია ილიას ხსოვნის სადამოხე, რომელიც იმ დროს გაიმართა. შემდეგ უამბობს, როგორ შესრულდა აკაკის იუბილეზე მისი მრავალჯამიერი.


„ამ მრავალჯამიერის მოკლე ისტორია ასე იყო: 7 ქრისტეშობისთვის დანიშნული იყო აკაკის იუბილე. და ეს კი დავსწერე 2 ქრისტეშობისთვის ერთ სადამოხედ. ეს მრავალჯამიერი იმდენად სადღესასწაულო ხასიათისა გამოვიდა, რომ უკეთესი არ შეიძლება და საზოგადოებაც მეტად კმაყოფილი დარჩა. ეს არის ჩემი პირველი ცდა ქართული მუსიკის შეთხზვაში. აქამომდე მარტოდ სახალხო სიმღერების შემატების ცდაში ვიყავ და ეხლა კი გავბედე შეთხზვა და ვგონებ, რომ ნახვთ და გადაათვალიერებთ, ქართული ელფერი მეტად დაცული უნდა იყოს“.

გადაათვალიერებთო, რომ ამბობს, საქმე ის არის, რომ წერილთან ერთად ნოტებიც გაუზზავანა.

კიდევ ერთი საინტერესო მოგონება ივანე ჯავახიშვილის ქალიშვილის, ნათელასი, „დაისზე“ მუშაობის წლებზე:

„თითქმის არ იყო ისეთი თვე, რომ ზაქარია ივანეს სტუმარი არ ყოფილიყო. ასეთი დღეე-


უძველესი ხანმეტური ოთხთავი





ზაქარია ფალიაშვილი

მოსაკითხი ბარათი მიხეილ მამულაშვილისგან



ბი ნამდვილი დღესასწაული იყო ივანესთვის. მას უკვე საკრავთან ახლო მყოფსდა შეეძლო მოსმენა. ამიტომ, უდიდეს სულიერ კმაყოფილებას მოკლებული, იგი მოუთმენლად ელოდა ზაქარიას მოსვლის წუთებს.

ზაქარიას, არაჩვეულებრივად ცოცხალს, მოძრავსა და მოუსვენარს, ქარბუქით შემოპქონდა სიცოცხლე, სიხარული და თავისი შემოქმედებითი ალტყინება. სიამოვნებით მიაშურებდა ხოლმე საკრავს. უკრავდა, თან უხსნიდა და უმარტავდა ამა თუ იმ ადგილს. თან მღეროდა...

...ივანე გვერდზე უჯდა ზაქარიას, ცალი ხელით ყურს იფარებდა, რომ არც ერთი ბგერა არ გამოჰპარვოდა, მეორეთი — ნოტებს უფურცლავდა. სახზე უდიდესი კმაყოფილება ეხატებოდა... როცა უკანასკნელი აკორდი აჟღერდებოდა, დაქანცული ზაქარია სკამს მიეყუდებოდა და რამდენიმე ხანს სრული სიჩუმე ჩამოვარდებოდა“.

კიდევ ერთი ადამიანი მინდა გაეხსენო. ამ სახლის ბაღს ცხრაასიან წლებში უვლიდა ახალგაზრდა მიხეილ მამულაშვილი, შემდგომში სახელგანთქმული მებაღე-დეკორატორი (რომლის პატარა ბაღი მცხეთაში მნახველზე წარმოუდგენლად დიდ და დაუეწიყარ შთაბეჭდილებას ახდენდა). ახლო დამოკიდებულება ბატონმა მიხეილმა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. გარდაცვალებამდე მოდიოდა მისგან, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, საოცარი გემოვნებით გაკეთებული მოსალოცი და მოსაკითხი ბარათები.

აქვე, ამ სახლში, ბოლო წლებში ცხოვრობდნენ ივანე ჯავახიშვილის დედა — სოფიო ვახვახიშვილი და და-ძმა ეკატერინე და გიორგი.

საკვირველი კაცი იყო გიორგი ჯავახიშვილი. პრინციპული, პირდაპირი და უკომპრომისო. შესაძლოა, გადაჭარბებითაც კი. ამასთანავე, სრულიად მოკლებული ყოველგვან პატივმოყვარეობას. შესაძლოა, სწორედ ამის გამო მოხდა, რომ ბოლოს სულ ორიოდე პატარა წიგნი დარჩა დაბეჭდილი, თუმცა მთელი სიცოცხლე მუშაობაში გაატარა და მის მაგიდაზე მუდამ ნაწერების მთები იდგა.

პროფესიით ანთროპოლოგი იყო, მაგრამ მისი ინტერესები და ერუდიცია ბევრად სცილდებოდა პროფესიის ფარგლებს. ზედმიწევნით იცნობდა საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურას. ლიტერატურულ სფეროში

როში კრიტიკული გამოკვლევებიც ჰქონდა დაწერილი — მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული, ყოველგვარ დილექტანტიზმს მოკლებული ნაშრომები იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ.

საინტერესოა გრიბოედოვის შემოქმედებაზე გამოკვლევის დაწერის ისტორია. იურიევის (ახლანდელი ტარტუს) უნივერსიტეტში სასწავლებლად მიმავალს, მატარებელში, შემთხვევით გაზეთში წაუკითხავს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადდა კონკურსი გრიბოედოვის შემოქმედების შესახებ საუკეთესო ნაშრომზე. და აი, მატარებელში, ცხადია ყოველგვარი მასალების გარეშე, ერთ ღამეში დაუწერია შრომა და გზიდანვე გაუგზავნია. შრომა საუკეთესოდ აღიარეს და ავტორმაც ოქროს მედალი დაიმსახურა.

საკუთარი ოჯახი არ ჰყოლია და დისა და ძმის შეილებზე იყო გადაგებული. სურათის გადაღება არ უყვარდა და ამიტომაც, როცა ამ წერილისთვის ძებნა დაეიწყო, ორიოდვე ფოტოს მეტი არაფერი აღმოჩნდა.

ერთხელ, ოცდაათიან წლებში, გამოკვლევა დაუწერია ანთროპოლოგიაში. ორიგინალური აზრები გამოუთქვამს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გაგზავნა გამოსაქვეყნებლად. შემდეგ კი, როგორც არც ისე იშვიათად ხდება ხოლმე, ვიღაც მეცნიერს გამოუქვეყნებია მსგავსი მოსაზრება. ივანე ჯავახიშვილს უთქვამს, — ხომ გეუბნებოდი, დროზე გაგზავნე-მეთქიო. ამაზე გიორგის უბასუხია, — მთავარია, მოსაზრება დადასტურდა და დაფიქსირდა, ხოლო გვარი ვისი იქნება მოწერილი, მეცნიერებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვსო.

აქვე მინდა მეორე ამბავიც გავიხსენო, სადაც ჩანს მისი მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი.

ნარკვევი დაუწერია პოპულარული ჟურნალისთვის. ივანესთვის წაუკითხავს და აზრი უკითხავს. ივანეს უთქვამს, — საინტერესო უნდა იყოს, მაგრამ იმდენად რთულია, რომ ბევრი ვერაფერი გაიგეო. გიორგის გამოურთმევია ნაწერი, იქვე, ბუხარში შეუგდია. მენ ჭკვიანი კაცი ხარ და თუ შენც ვერ გაიგე, მაშინ სხვები სულ ვერაფერს გაიგებენო. მაშასადამე, ხელახლაა დასაწერიო.

ამ სახლის პირველ სართულზე ცხოვრობდა ივანე ჯავახიშვილის უმცროსი და — ალექსანდრა, თავისი ოჯახით. მისი შეილიმ-



ეკატერინე ჯავახიშვილი და მისი მეუღლე ალექსანდრ კრევეცი



გიორგი ჯავახიშვილი



გურამ რჩეულიშვილი



კახა ჯგუზიშვილი

ვილი იყო გურამ რჩეულიშვილი, XX საუკუნის 60-იანი წლების ახალგაზრდა ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

აქ გაატარა გურამმა ბავშვობისა და ყმაწვილობის წლები. გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაზე ამჯერად არ ვილაპარაკებთ,

ეს ცალკე განხილვის თემაა და რაკი ამ სახლის ბინადართა ცხოვრების ძირითადად ერთ ასპექტზე, პიროვნულ, ადამიანურ და მოქალაქეობრივ თვისებებზე ვსაუბრობთ, მინდა გურამ რჩეულიშვილსაც ამ კუთხით შევეხო.

თამაზ ჭილაძეს უწერია, რომ გურამი „იმ მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებიც პირველები ჩადიან ვულკანის კრატერში, პირველები ჭრიან მავთულხლართებს, პირველნი ადიან მწვერვალზე და ასევე პირველები ეგებიან უსინდისობისა თუ ღალატის შუბზე. პირველობის ეს გრძნობა მათ ინსტინქტით აქვთ თანდაყოლილი და თუმცა ეს ტკივილის მეტს არაფერს ანიჭებთ, მაინც ბედნიერები არიან“.

ახლა ვიამბობთ ერთ შემთხვევას გურამის ცხოვრებიდან, რომელიც ჩემი აზრით, მშვენიერი ილუსტრაციაა თქმულისა. ერთხელ, ყმაწვილობაში, გურამი რომელიღაც საცურაო აუზზე მისულა. მაშინ ცურვა ძალიან ცუდად, ან თითქმის არ იცოდა. ...და მოხდა ასეთი რამ. ვიღაც იხრჩობოდა. ახლა ძნელი სათქმელია, როგორ და რატომ, თუმცა ეს არც არის მთავარი. ირგვლივ საკმაოდ ბევრი ხალხი ყოფილა, მაგრამ ეტყობა ყველა ისე დაიბნა, რომ არაფერს ადგილიდან არ იძროდა.

მერე თვითონ გურამს უამბია მეგობრებისთვის, — ვიდექი, ვუყურებდი და მიკვირდა, რატომ არ შველიან, რას უცდიან ანდა ვისმეთქი. და უცებ, გუმანით ვიგრძენი, რომ ეს ვიღაც მე ვარო.

პირდაპირ გადახტა წყალში. არც დაფიქრებულა, რომ თავისი ცურვით, ან უფრო სწორად ცურვის არცოდნით, ადამიანს ვერ გადაარჩენდა. მაგრამ ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. იმიტომ, რომ მაშინვე ათიოდე კაცი გადაჰყვა. მთავარი პირველი ნაბიჯის გადადგმა იყო.

ცხადია, ყოველივე წამების განმავლობაში მოხდა და ლოგიკური ანალიზის დრო არ იყო. და რა თქმა უნდა, ის აზრი — მე მიცდიან, ჩემ გარდა არაფერს გადადგამს ამ ნაბიჯს! — არაფითარ შემთხვევაში არ იყო გამოწვეული ამპარტავნული, ქედმაღლური თავმომწონებით. ეს უბრალოდ გურამის პიროვნების, მისი „მეს“ ნაკარნახევი იყო.

იმათ გარდა, ვის შესახებაც ვისაუბრეთ, ამ სახლში კიდევ ბევრი ვინმე ცხოვრობდა: მარიამ (მაკო) თარხნიშვილი-წერეთლისა. წარმოუდგენლად ტრაგიკული ბედის ადა-

მიანი. ოთხი ვაჟის დედა, რომელთაგან ორი უფროსი რუსეთ-იაპონიის ომში დაიღუპა, ხოლო უმცროსები 1924 წელს შორაპანთან სატვირთო ვაგონში დახვრეტილთა შორის იყვნენ; კიტა აბაშიძის შვილები: გია (დახვრეტიეს 1924 წელს), ვახტანგი, თამარი და ერეკლე; ივანე ჯავახიშვილის შვილები: ნათელა, კახა და ალექსანდრე (ლალი). და ალბად მათზეც ბევრი საინტერესოს თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ეს უკვე ცალკე თემაა. მართალია, ამ ადამიანების საქმიანობა, განსაკუთრებით მათი მშობლების ღვაწლის ფონზე უფრო მცირე და მოკრძალებული იყო, მათ ერთი რამ ჰქონდათ საერთო — ადამიანური მრწამსი და ზნეობა. იმ მორალური ატმოსფეროს საილუსტრაციოდ, რომელიც ამ სახლში სუფევდა, კიდევ ერთ პატარა ამბავს მოგიხსნათ. ერთხელ, სამობაოდ, სტუმრები იყვნენ მოსული. ბავშვები ნაძვის ხესთან თამაშობენ. უცებ შეამჩნიეს, რომ კარგა ხანია ლალი არ არის ოთახში. უფროსი დეიდაშვილი თამრიკო აბაშიძე გავიდა მოსაძებნად. შევიდა სამზარეულოში და ხედავს — ონკანთან დგას ლალი, წყალი ძლივს მოწანწკარებს და ქვეშ შედგმული ჭიქა ნახევრადაც არ არის საესე. — ლალი, რას აკეთებ აქ. — მთხოვა (ამან და ამან), წყალი მიფუტანო. — კი მაგრამ, ეს ჭიქა როდის აივსება?! დამთავრდება დღესასწაული და ბავშვები წავლენ! და ეს 7 წლის ბავშვი პასუხობს: *Le devoir en premier lieu* (მოვალეობა, უპირველეს ყოვლისა!). ცხადია, ეს სიტყვები ვიღაცისგან მოესმინა (თანაც, ფრანგულად!). მაგრამ მთავარი ის არის, რომ მისმა გონებამ მიიღო და შეითვისა. და ვინც ლალი ჯავახიშვილს დიდობაში იცნობდა, დამემოწმება, რომ მისთვის მოვალეობის გრძნობა უმნიშვნელოვანესი იყო მთელი სიცოცხლის განმავლობაში და ადვილად შეეძლო პირადულის მეორე ადგილზე დაყენება. თქმული რომ ცარიელ სიტყვებად არ გეჩვენოთ, კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: სამშვილიანი ოჯახის მქონემ და სოფიწროვეში მცხოვრებმა უარი განაცხადა ბინის მიღებაზე, ერთ-ერთი თანამშრომლის სასარგებლოდ, რადგან მას ექვსი შვილი ჰყავდა და უარეს პირობებში ცხოვრობდა.


...აი, ძირითადად ის, რის თქმაც მიწოდდა ამ სახლის ბინადართა შესახებ. ცხადია, ეს მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები იყო.

ადამიანის ცხოვრება რთულია და ამ

მხრივ არც ეს პიროვნებები წარმოადგენდნენ გამონაკლისს. ავიცა და კარგიც საკმარისად შეხვედრიათ ცხოვრებაში და ცხადია, ყველა ვითარებაში ერთნაირად ვერ მოიქცეოდნენ. მაგრამ თავიდანვე ვთქვი, რომ ჩვენი მიზანი იყო მოგვეძებნა და გამოგვევლინა მთავარი, ის, რაც მათ სულიერად ანათესავებდა და აახლოებდა.


ამჟამად აქ ამ დიდი ოჯახის მომდევნო თაობები ცხოვრობენ. შვილები, შვილიშვილები და შვილიშვილის შვილები.

თანასუჯ ჯავახიშვილი



გია აბაშიძე

ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი





საქართველო XVII საუკუნის ფრანგულ პრესაში

„ომის მიზეზად გაზეთმა დაასახელა ქართველთა მეფის მიერ თავისი ქალიშვილის შაჰისთვის მითხოვებაზე უარის თქმა. საქართველოს მეფის ასული მსოფლიოში ულამაზეს ქალად ითვლება“... ეს გაზღვრული მცირე ამონარიდი XVII საუკუნის ფრანგული პრესიდან. აშშ-ის ლუიზიანის შტატის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე მიქაბერიძე მოგვითხრობს, რას წერდა საქართველოზე იმდროინდელი ფრანგული პრესა.

საფრანგეთში დაფუძნებულმა Gazette de France-მ, ფაქტობრივად, თანამედროვე ევროპული ჟურნალისტიკის ისტორიას ჩაუყარა საფუძველი

— 1631 წლის 30 მაისს, ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა თეოფრასტ რენოლომ დააფუძნა ახალი ჟურნალი Gazette de France, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ფრანგული და ზოგადად, ევროპული ჟურნალისტიკის ისტორიას. Gazette de France-ს ძირითადი მიზანი იყო საფრანგეთის სამეფო კარისა და განათლებული წრეებისთვის სანდო ინფორმაციის (ძირითადად, პოლიტიკურ და დიპლომატიურ საკითხებზე) ხელმისაწვდომ ფორმატში მიწოდება. ახალმა გამოცემამ მალე გაითქვა სახელი მრავლის მომცველი შინაარსით და მცირე ხანში მოიპოვა პოპულარობა

ფრანგი მეცნიერი თეოფრასტ რენოლო, Gazette de France-ს დამფუძნებელი



საზოგადოების მაღალ წრეებში. საქართველოს პოლიტიკური მოვლენები არაერთხელ აღიბეჭდა Gazette de France-ს ფურცლებზე. მართალია, ეს ცნობები უმეტეს შემთხვევაში მოკლებულია დეტალურ ანალიზს, მაგრამ მაინც საყურადღებოა. თუნდაც იმით, რომ შეეიტყოთ, რა სახის ინფორმაციას ფლობდა იმდროინდელი საფრანგეთის საზოგადოება საქართველოს შესახებ.

— რაზე ამახვილებდა ყურადღებას იმდროინდელი ფრანგული პრესა?

— დაარსებიდან ორი წლის თავზე, 1633 წლის მაისში, Gazette de France იტყობინებოდა, რომ სპარსეთის შაჰ სეფის და საქართველოს მეფის (Roy de Georgie) (რომლის სახელსაც გაზეთი არ ასახელებს, მაგრამ იგი ბუნებრივია, თეიმურაზი იქნებოდა) შორის ომი დაიწყო, თუმცა ამ ომის მიზეზად დასახელებულია ქართველთა მეფის მიერ თავისი ქალიშვილის შაჰზე მითხოვებაზე უარის თქმა. საქართველოს მეფის „ასული მსოფლიოში ულამაზეს ქალად ითვლება“, ამტკიცებდა გაზეთის რესპონდენტი. იმავე წლის ნოემბერში გაზეთი ამცნობდა მკითხველს, რომ სპარსეთის შაჰმა სეფიმ დაამარცხა ქართველები და 80-ათასკაციან ჯართან ერთად, ალყა შემოარტყა ერევნის ციხესიმაგრეს... 1634 წლის

დეკემბერში კი აღწერდა სპარსეთ-ოსმალეთის ომის მიმდინარეობას და იტყობინებოდა, რომ ოსმალთა დიდი ძალები უკვე დიარბაქირთან განლაგებულიყო, ხოლო სპარსეთის შაჰი იბრძოდა „ქართველთა პრინცის“ (Prince de Georgie) წინააღმდეგ და ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია. საყურადღებოა, რომ პირველი ცნობისგან განსხვავებით, გაზეთი აღარ იხსენიებს „საქართველოს მეფეს“ და სანაცვლოდ „საქართველოს პრინცზე“ წერს. ეს ალბათ იმით იყო განპირობებული, რომ როსტომ მეფე, რომელიც ქართლში 1632 წელს გამეფდა, თავს ირანის ვასალად აღიარებდა, სპარსეთის შაჰი კი ქართლს ირანის პროვინციად მიიჩნევდა.

— კიდევ რა ცნობები გვხვდება?

— 1680 წლის 1-ელ მარტს გაზეთის რესპონდენტი იტყობინება, რომ საქართველოში პოლიტიკური დაპირისპირება მიმდინარეობდა „ქართველთა პრინცის შერავასკანის“ (Cheravaskan, Prince de Georgie) ორ ვაჟს შორის. „შერავასკანი“ უეჭველად ახალგარდაცვლილი მეფე ვახტანგ V შაჰნავაზია, რომელიც 1675 წელს ირანში მგზავრობისას ავად გახდა და ხოშკარში გარდაიცვალა. გაზეთი იუწყებოდა, რომ ქართველთა პრინცის „უფროსმა შვილმა 30 ათასი მეომრით იერიში მიიტანა თბილისზე, რომელიც ამ ქვეყნის დედაქალაქია, და აიძულა სპარსეთის მეფის ხელდასმული თავისი ძმა, ციხესიმაგრეში გამაგრებულიყო“. ქართლში ამ დროს მართლაც დაძაბული ვითარება იყო. ვახტანგ V-ის შვილი, გიორგი XI თავისი ხელისუფლების განმტკიცებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისკენ ისწრაფოდა.

— ბრძანეთ, რომ პრესა საქართველოში მომზდარ ცვლილებებზეც წერდა...

— 1691 წელს ფრანგული პრესის ფურცლებზე საქართველოზე რამდენიმე მოკლე, მაგრამ საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნდა. Gazette de France-ის 20 იანვრის გამოშვებაში ერთი მცირე ცნობა დაბეჭდა — ისპაჰანიდან 1690 წლის 7 ივნისს გამოგზავნილ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოცემა მოკლედ აუწყებდა მკითხველს, რომ „საქართველოში დიდი ცვლილებებია“. სამწუხაროდ, გაზეთი არ აკონკრეტებს, რა „დიდი ცვლილებები“ იგულისხმება ამ სტრიქონების მიღმა. 1691 წლის 26 მაისის გაზეთში აღწერილია სპარსეთის შაჰის კარზე „ბაში-აჩუკთა ანუ ჩრდილოდასავლეთ ქართველთა ელჩების“ ჩამოსვლა. „ეს ქართველები დიდი ხონთქრის მოხარკეები



თეიმურაზ I და ზორეშან დედოფალი. დონ პრინსტოვორო დე პასტაშლის ნახატი

არიან“, და სპარსეთის კართან მოლაპარაკებას აწარმოებენო. ამასთან დაკავშირებით საინტერესო დეტალები მოგვეპოვება ჟურნალში Mercure Galant-ი, რომელიც ფრანგმა მწერალმა ჟან დონო დე ვიზემ დააარსა. 1692 წლის ივლისში საქართველოში მიმდინარე მოვლენებს რამდენიმე გვერდი დაეთმო. გაზეთი აღწერდა Canavas kan-ის (ვახტანგ შაჰნავაზი) შვილების (გიორგი XI და არჩილი) მიერ თბილისზე გალაშქრებას. ამ „პრინცებს“ მხარს უჭერდნენ „ბაში-აჩუკთა, გურიელთა და მეგრელთა“ (Bachataheuk, de Couri & dela Mingrelie) ჯარები. გაზეთი მიუთითებს, რომ ქართლის გამგებელი Prince Heraclius (ერეკლე — ნახარალი-ხანი) სპარსეთის შაჰისგან „დაუყოვნებლივ დახმარებას“ ითხოვდა, ვინაიდან გიორგიმ და არჩილმა „საქართველოს ყველა დიდთავადი (tous les principaux Seigneurs de Georgie) თავის მხარეს გადაიბირა“. საინტერესოა გაზეთის შენიშვნა, რომ ასეთი საგანგებო ცნობების მიუხედავად, „სპარსეთის მეფე არ ისურვებს ომის გამოცხადებას დიდი ხონთქრისთვის“, რომელმაც ამ შეამბოხე პრინცებს საქართველოს ხელისუფლება ჩააბარა.

მანანა გაბრიშიძე

„გერმანიის“ იმპერია



გერმანიის კოლონიზაცია 1870-1914 წლებში

გერმანიის იმპერიის გამოცხადება ვერსალის სასახლეში, 1871 წლის 18 იანვარს. მარცხნივ, პოდიუმზე შვედეთის კრონპრინცი ფრედერიკი (მომავალში ფრედერიკ III), მისი მამა, იმპერატორი ვილჰელმ I და ბადენის დიდი პრინცი ფრედერიკ I, რომელიც ახალ იმპერატორს ადღვრძელებს. ცენტრში თეოდორ ფორმაში კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი და შტაბის უფროსი ჰელმუტ ფონ მოლტკე (ანტონ ფონ ვერნერი, 1877)

გერმანიის კოლონიური იმპერია XIX საუკუნის 80-იანი წლების წარმონაქმნია. იგი შინაარსითაც და ფორმითაც განსხვავდება დანარჩენი ევროპული იმპერიების — ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის კოლონიური სისტემებისგან. გერმანიას, რომელიც მხოლოდ 1871 წელს გაერთიანდა და როგორც გერმანელი ისტორიკოსები ხშირად წერენ, „დაგვიანებულ ერს“ წარმოადგენდა, საწყის ეტაპზე კოლონიზაცია სჭირდებოდა იმპერიის შიგნით არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და მენტალური მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად. მილიანობაში ეს იყო ბრძოლა „შვის ქვეშ ადგილის მოსაპოვებლად“, როგორც ოფიციალურად განაცხადა ვილჰელმ II-ის დროინდელმა კანცლერმა, ბერნჰარდ ფონ ბიულოვმა.

გერმანიაში კოლონიალიზმის იდეების ქადაგება უპირველესად სამი ავიატორის სახელს უკავშირდება. ესენი არიან: ფრედრიხ ფაბრი, ერნსტ ფონ ვებერი და ვილჰელმ ჰუბე-შლაიდენი, რომლებიც თავიანთ შრომებში ყურადღებას ამახვილებენ უმუშევრობაზე, დანაშაულის მატებაზე, სოციალ-დემოკრატიის საშიშროებასა და მოსახლეობის რაიხი-

დან გაღივებაზე. ჰუბე-შლაიდენმა 1881 წელს გამოთვალა, რომ იმდროინდელი ტემპით, 1980 წლისთვის ინგლისური ფესვების მქონე მოსახლეობის რიცხვი 927 მილიონამდე გაიზრდებოდა 146 მილიონი გერმანელის საწინააღმდეგოდ. ამ ყველაფრის შემეკავებელი ფაქტორი კი უნდა ყოფილიყო გერმანიის მიერ საკუთარი კოლონიების მოპოვება.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან გერმანიაში კოლონიების მხარდამჭერი წვრილი კავშირები წარმოიქმნა, რომლებიც 80-იან წლებში მსხვილ ორგანიზაციებად გადაიქცნენ. ასეთი იყო 1882 წელს შექმნილი „გერმანიის კოლონიური კავშირი“, რომლის ამოცანას მოსახლეობაში კოლონიალიზმის იდეის პროპაგანდა წარმოადგენდა. მას 1884 წელს დაემატა გერმანული კოლონიალიზმის ერთ-ერთი პიონერის, კარლ პეტერსის ჩამოყალიბებული „გერმანული კოლონიზაციის საზოგადოება“, რომელიც უფრო პრაქტიკული საკითხებით იყო დაკავებული. 1888 წლის 1-ელ იანვარს ამ ორი ჯგუფის შეერთებით დიდი კოლონიური მოძრაობა შეიქმნა, სახელწოდებით „გერმანიის კოლონიური საზოგადოება“.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი არასოდეს ყოფილა თავგამოდებული კოლონიალისტი და გერმანიის მიერ კოლონიების მოპოვებას უფრო შიდა-პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე განიხილავდა, ვიდრე აგრესიული ექსპანსიური მისწრაფებებიდან. მან ერთხელ აღნიშნა, რომ გერმანიისთვის კოლონიები იგივე იქნებოდა,

რაც „პოლონელი დიდებულებისთვის აბრეშუმიანი სიასამურის ტყავის მოსაცმელი, რომელთაც უბრალო პერანგიც კი არ გააჩნიათ“ — იგულისხმებოდა ახალგაზრდა იმპერიაში მოსაგვარებელი ბევრი სოციალური თუ საგარეო-პოლიტიკური საკითხი, რაც მას კოლონიებზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა. შესაბამისად, ბისმარკისეული კოლონიალიზმი დიდად განსხვავდებოდა ვილჰელმ II-ის კოლონიალიზმისგან და დაფუძნებული იყო, ერთი მხრივ, გერმანიის ეკონომიკურ ინტერესებზე, მეორე მხრივ კი პოლიტიკური აქცენტების გადატანაზე წითელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამას გერმანელი ავტორები სოციალურ იმპერიალიზმს უწოდებენ.

გერმანიის კოლონიური იმპერია 1884 წლის 27 აპრილს დაიბადა, როცა ბისმარკმა ბრემენელი ვაჭრის, ადოლფ ლუდერიცის სამფლობელოები სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში (დღევანდელი ნამიბია) რაიხის დაცვის ქვეშ მყოფად გამოაცხადა. იმავე წლის 6 და 14 ივლისს გუსტავ ნახტიგალმა გერმანული დროშა აღმართა ტოგოსა და კამერუნში, სადაც გერმანიის ინტერესებს ჰამბურგელი დიდვაჭარი ადოლფ ვოერმანი ლობირებდა.

*გერმანელი კოლონიზატორი
ნამიბიელ ტყვეებთან*





ოტო ფონ ბისმარკი

ბერნჰარდ ფონ ბიულოვი



1885 წლის 27 თებერვალს კაიზერმა ვილჰელმ I-მა გერმანიის პროტექტორატში მიიღო კოლონიალისტ კარლ პეტერსის მიერ მოპოვებული აღმოსავლეთ აფრიკული ტერიტორიები (ძირითადად, დღევანდელი ტანზანია და მიმდებარე ქვეყნების ნაწილები). ამით, შეიძლება ითქვას, გერმანიის „კოლონიური წელიწადი“ დასრულდა. თავისი კოლონიების უდიდესი ნაწილი გერმანიის იმპერიამ სწორედ ამ ერთ წელიწადში მოიპოვა.

გერმანიის იმპერიას პროტექტორატში მყოფმა მიწებმა იმედები არ გაუმართლა. ფინანსური მოგების ნაცვლად, ძალიან მალე გაკოტრდა ყველა ის საზოგადოება, რომელთაც კოლონიები რეალურად მოიპოვეს და იმპერია იძულებული გახდა, ადგილობრივთა გამოსვლების ჩასახშობად საკუთარი ჯარები გაეგზავნა. ამით ბისმარკის მისწრაფება, აფრიკა გერმანული საქონლის ბაზრად ქცეულიყო, ჩაყარდა. ცხადი გახდა, რომ „აფრიკაში გერმანიის ინდოეთის“ შესახებ საუბარი უსაფუძვლო იყო. პირიქით, 1885-1914 წლებში გერმანიამ 451 მილიონი მარკა გაგზავნა თავის აფრიკულ კოლონიებში დახმარების სახით. იმპერია იძულებული გახდა, პირდაპირი მართვა დაემყარებინა დაშლილი კოლონიური საზოგადოებების სანაცვლოდ და 1890 წლიდან ნიშნავდა გუბერნატორებს, რომელთაც უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება ჰქონდათ.

აფრიკის გარდა, გერმანიამ კოლონიები მოიპოვა წყნარ ოკეანეშიც. რეგიონის უდიდეს კუნძულ ახალ გვინეაზე აქტიურობდა ბანკირ ადოლფ ფონ ჰანზემანის კონსორციუმში. მისი ხელშეწყობით, 1884 წელს კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში რაიხის დროშა აღიმართა და კაიზერ ვილჰელმის მიწა ეწოდა. გარდა ამისა, გერმანიამ მიიღო მარშალის, პროვიდენსის, ბრაუნის, დასავლეთ სოლომონის, ახალი მეკლენბურგის, ახალი პომერანიის, ახალი ლაუენბურგისა და ახალი ბრიტანეთის პატარა კუნძულები. გერმანელებმა, ამ უკანასკნელს, 1885 წლის 19 მაისს, ბისმარკის არქიპელაგი უწოდეს. 1898 წლის ესპანეთ-ამერიკის ომის შემდეგ, 1899 წლის 30 ივნისს, გერმანიის იმპერიამ წყნარ ოკეანეში ესპანეთს წაართვა კაროლინის, მარიანიისა და პალაუს კუნძულები. ამავე წლის 14 ნოემბერს გერმანიამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამოა გაიყვეს, დასავლეთი

ერგო გერმანიას, აღმოსავლეთი — ამერიკას.

რაიხს მზარდი სავაჭრო ინტერესების დასაკმაყოფილებლად სჭირდებოდა კოლონია აზიის კონტინენტზე. ასეთად გერმანულ მმართველ წრეებში განიხილებოდა ჩინური ქალაქი კიაჩოუ, რომლის ოკუპაცია გერმანიამ 1897 წლის ნოემბერში მოახდინა — მას შემდეგ, რაც საიდუმლო ჩინურმა ორგანიზაციამ, გრძელი დანების საზოგადოებამ გერმანელი მისიონერები ნისი და ჰენლე მოკლა. გერმანიამ დაიკავა კიაჩოუს უბის 50-კილომეტრიანი მონაკვეთი საპორტო ქალაქ ცინდაოთი, 99 წლით. ეს ოლქი განიხილებოდა, როგორც გერმანული ჰონკონგი და მის დაკავებას იმპერიალიზმის ყველაზე დიდ მტერ მემარცხენე ძალებშიც კი პროტესტი არ გამოუწვევია.

ასე გამოიყურებოდა გერმანიის კოლონიური იმპერია 1914 წლამდე, თუმცა არსებითი სზვობა იყო რაიხის დამოკიდებულებაში კოლონიებისადმი 1890 წლამდე და მის შემდეგ. 1890 წელს ხელისუფლებას ჩამოსცილდა კანცლერი ბისმარკი, რომლისთვისაც კოლონიური პოლიტიკა გერმანიის შიდა სტაბილიზაციის საშუალებას წარმოადგენდა. მისი მემკვიდრე კანცლერები საკმაოდ სუსტი ფიგურები იყვნენ. სამაგიეროდ, ასპარეზზე გამოვიდა იმპერატორ ვილჰელმ II — ქარიზმატული ფიგურა, საგარეო პოლიტიკაზე ორიენტირებული პერსონა, ვისთვისაც კოლონიალიზმი თვითმიზანს წარმოადგენდა — გერმანიის ზესახელმწიფოდ გადაქცევის გზაზე. საკითხისადმი ასეთი მიდგომა პროოგნაციული იყო და უპირველესად, ინგლისთან კონფრონტაციას ემსახურებოდა. ამის ნათელი დასტურია 1898 და 1900 წლებში მიღებული ფლოტის კანონები, რომელთა განხორციელების შემდეგ, გერმანია ზღვებზე ინგლისის სწორი უნდა გამხდარიყო. იდეის სულისჩამდგმელი იყო ვილჰელმის ფლოტის მინისტრი, აღმირალი აღფრედ ფონ ტირპიცი. მაშინდელი გერმანული ელიტისთვის უცხო იყო კონკურენციის ცნება. შეხედულებები ყალიბდებოდა დარვინისეული თვითგადარჩენის პრინციპებზე დაყრდნობით, როცა მხოლოდ ძლიერებს აქვთ არსებობის გაგრძელების უფლება, სუსტები კი ან ნადგურდებიან, ან ძლიერთა მორჩილებაში ექცევიან. ახალი ვილჰელმისეული საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი იყო რუხ კარდინალად წოდებული ფრიდრიხ ფონ ჰოლშტაინი.



კაიზერი ვილჰელმ I

კაიზერი ვილჰელმ II





ბერლინ-ბალდადის რკინიგზის აგებული მონაკვეთი

ვილჰელმისეული „განსაკუთრებული გზის“ ნაწილი იყო მისი მოგზაურობა პალესტინაში 1898 წლის 11-26 ნოემბერს, როდესაც კაიზერმა ოსმალეთის იმპერიის ქალაქები — კონსტანტინოპოლი, ჰაიფა, იაფა, იერუსალიმი და ბერიუთი მოიარა. პრუსიულ, ქრისტიანულ საფუძვლებზე წარმოშობილი იდეის შესაბამისად, გერმანიის იმპერატორმა წმინდა მიწაზე სახეიმოდ გახსნა მაცხოვრის სახელობის ლუთერანული ეკლესია და საკუთარ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. ის იქვე შეხვდა სიონიზმის ლიდერს, თეოდორ ჰერცლს, თუმცა ამ შეხვედრას კონკრეტული შედეგი ებრაული სახელმწიფოს შექმნის საქმისთვის არ მოუტანია.

ახალი გერმანული პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა ბერლინ-ბალდადის რკინიგზის მშენებლობაც, დევიზით — „13 დღე ბერლინიდან ბალდადამდე“. რკინიგზა ფინანსურად წამგებიანი იყო რაიხისთვის, სამაგიეროდ, მისი აგება აამაღლებდა გერმანიის პრესტიჟს მაშინდელი მსოფლიოსა და საკუთარი მოსახლეობის თვალში. ამას ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

კოლონიალიზმის მიმართ დამოკიდებულებაში გერმანულ საზოგადოებაში ერთგვარი პოლარიზაცია შეინიშნებოდა. ერთი მხრივ, მას არ ენიჭებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა, მეორე

ბერლინ-ბალდადის რკინიგზის მშენებლობა ალეპოსთან ახლოს




მხრივ, ჟურნალ-გაზეთები და ქრონიკები საკმაოდ დიდ როლს უთმობდნენ გერმანული კოლონიების აღწერას. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან კოლონიები, თითქმის მუდმივად, აქტუალური თემა იყო რეკლამებში, მოგზაურთა ჩანაწერებსა და რომანებშიც კი. კოლონიალიზმის მზარდ პოპულარობაზე მეტყველებდა კოლონიური ბელეტრისტიკის ჩასახვა, რომლის პირველი მერცხალი ფრიდა ფონ ბიულოვი იყო, ხოლო ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი — გუსტავ ფრენსენი. ამ უკანასკნელის წიგნები „ჰილიგენლაი“ და „პეტერ მოორსი მოგზაურობს სამხრეთ-დასავლეთისკენ“ ასე ათასიანი ტირაჟებით გაიყიდა.

თუმცა გერმანიაში კოლონიები ისეთივე პოპულარული და არსებითი არასდროს ყოფილა, როგორც ინგლისსა და საფრანგეთში. არც ერთი გერმანელი კოლონისტი პიონერი სახელმწიფოს არ დაუკრძალავს. დაკრძალვის ცერემონიებს არ ესწრებოდნენ მაღალი სახელმწიფო მოხელეები და ზოგადად, კოლონისტი გემირის სიკვდილი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უცნობი რჩებოდა. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არ დადგმულა გერმანიაში კოლონისტებისთვის მიძღვნილი ძეგლები. გამონაკლის შემთხვევაში (მაგალითად, გუსტავ ნახტიგალის ძეგლი სტენდალში, საქსონიაში), ძეგლის გახსნაში არ მონაწი-

ლეობდნენ მაღალი თანამდებობის პირები. აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ გერმანიაში კოლონიალიზმს ყურადღება არ ექცეოდა, არამედ იმაზე, რომ მას ქვეყანაში საკმაოდ მოკრძალებული ადგილი ეჭირა, ინგლისისა და საფრანგეთისგან განსხვავებით. ამას ადასტურებს სტატისტიკაც. გერმანიის 30-წლიანი კოლონიური იმპერიის არსებობის პერიოდში, გერმანიიდან კოლონიებში გადასახლდა სულ რაღაც 24 ათასი გერმანელი. არადა ეს სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენდა — აშშ-ში ემიგრაციის ტალღის შესაჩერებლად. აფრიკული კოლონიებიდან გერმანიაში კი მხოლოდ 150 აფრიკელი ჩავიდა, ძირითადად თარჯიმნები, ლექტორები, მოსამსახურე პერსონალი.

გერმანელი კოლონისტები ძირითადად ახალგაზრდა მამაკაცები იყვნენ, ხშირად ისინი ადგილობრივ ქალებთან ამყარებდნენ სქესობრივ კავშირს, რამაც ადმინისტრაციაში წარმოშვა შიში — გერმანელთა რასობრივი უკუესელისა და კულტურის დონის დაცემის. ამის აღსაკვეთად, გუბერნატორი თეოდორ ლოითვანი, სამხრეთ დასავლეთ აფრიკაში ათასი ახალგაზრდა გერმანელი ქალის მიგრაციის მოთავე გახდა.

არსებობდა განსხვავებული მიდგომები შერეული წყვილებისადმი, რომელთაც უკ-



გერმანელი მისიონერების სკოლა ტოვოში



რაიხსტაგი 1890-იანი წლების მიწურულს

ვე ჰყავდათ შვილი. 1906 წელს კოლონიების უმრავლესობაში ოფიციალურად აიკრძალა შერეული ქორწინებები თეთრებსა და ადგილობრივებს შორის. 1912 წელს იგივე მოხდა სამოაშიც, სადაც უფრო მეტ ასეთ ქორწინებას ჰქონდა ადგილი, ვიდრე აფრიკულ კოლონიებში. გერმანული იმპერიალიზმი ამ თვალსაზრისითაც განსხვავდებოდა ინგლისური, ფრანგული და თუნდაც რუსული იმპერიალიზმისგან. მათ მიზანს დაპყრობილი ერების ასიმილაცია წარმოადგენდა, გერმანული კოლონიზმები კი ამ საკითხს უყურებდნენ, როგორც კულტურულად მათზე დაბლა მდგომ ხალხებთან შერევას, რასაც მათივე რასობრივი დეგრადაცია შეიძლებოდა გამოეწვია. გერმანიის პარლამენტში შემარცხენე ძალები აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას ადამიანის უფლებების დარღვევის გამო, თუმცა ეს პოლიტიკა ხელისუფლებას არ შეუცვლია. ამდენად, გერმანული კოლონიალიზმი პირობითად ორ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ — ბისმარკისეულ და ვილჰელმისეულ კოლონიალიზმებად, რომლებიც ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდებიან. ბისმარკისეული

კოლონიალიზმისთვის დამახასიათებელია რაციონალური აზროვნება და საკუთარი შესაძლებლობების გონივრული შეფასება, კოლონიალიზმის შიდა პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება, დაკავებული მიწების პროტექტორატებად და არა კოლონიებად გამოცხადება. ამის საპირისპიროდ, ვილჰელმისეული კოლონიალიზმი ირაციონალიზმს დაეფუძნა და მის უმაღლეს ინტერესს გერმანიის მსოფლიო პრესტიჟის ამაღლება წარმოადგენდა. თუმცა ორივე პერიოდს ბევრი რამ ჰქონდა საერთო — გერმანული კოლონიალიზმის იდეის ავტორი და შემსრულებელი იყო პრუსიული მილიტარისტული საზოგადოება და გერმანელი ერის ბიურგერული ნაწილი, რომელიც მაშინდელ იმპერიაში პოლიტიკურ კონიუნქტურას აყალიბებდა. ამ კონიუნქტურის პოლიტიკურ პროდუქციას წარმოადგენდა ყველა მაშინდელი გერმანელი სახელმწიფო მოხელე, რომელთა აგრესიულმა პოლიტიკამ 1914 წელს ევროპა დიდ ომამდე მიიყვანა.

გიორგი ასტაფაძე,
ისტორიის მაგისტრი

დიმიტრი ყიფიანი ხახბასობისთვის დასჯილი მოხა ღიმიში თავდაჯიბი



დიმიტრი ყიფიანი

2014 წელი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით წმინდა დიმიტრი ყიფიანის წლად არის გამოცხადებული. ამ გაზაფხულზე დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან 200 წლისთავი შესრულდა. საიუბილეო წლის ერთგვარი გამოძახილია ისიც, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვიშხეთში, გაისადღიწყება რეაბილიტაცია წმინდა დიმიტრი ყიფიანის დანგრევის პირას მისული სახლ-მუზეუმისა, რომელიც დიდხანს ელოდა მშველელს.

12 ნოემბერს, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა წმინდა დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი და კულტურათაშორისი დიპლომის ასოციაცია. საინფორმაციო მხარდაჭერები — ჟურნალები „ისტორიანი“ და „კარიბჭე“, ასევე ახალგაზრდული ჟურნალი „360 გრადუსი“. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსი, მეუფე სვიმეონი (ცაკაშვილი), დიმიტრი ყიფიანის შთამომავლები, ხაშურის მუზეუმის წარმომადგენლები და სტუდენტები. კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა სერგო ვარდოსანიძემ.

მეუფე სვიმეონი (სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსი): „წმინდა დიმიტრი ყიფიანისთვის უმთავრესი პრიორიტეტი იყო სწავლა, განათლება და მეცნიერება. იგი გახლდათ არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენის ორგანიზატორი, საქართველოს ბანკის, ქართული

თეატრისა და სხვა მრავალი საგანმანათლებლო კერის დამაარსებელი და წარმმართველი. დიდი მოღვაწის გახსენება, მისი ცხოვრების გზის გაცნობა გვარწმუნებს, რომ დიმიტრი ყიფიანი იყო ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, ღირსეული მოღვაწე არაერთ სფეროში. იმავედროულად, იყო თავდადებული ქვეყნისთვის, ხალხისთვის, ღირსეული მომავლისთვის.

მარცხნიდან: ქართული უნივერსიტეტის რექტორი სერგო ვარდოსანიძე; სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსი, მეუფე სვიმეონი (ცაკაშვილი); ხაშურის მუზეუმის დირექტორი თამაზ ლაცაბიძე; ეთნოლოგი, პროფესორი როზეტა გუჯავანიანი





კონფერენციის მონაწილენი და დიმიტრი ყიფიანის შთამომავლები მთაწმინდის პანთეონში

პირველი საუკუნის რომაელი ფილოსოფოსი სენეკა წერს, რომ ჩვენთვის, ადამიანებისთვის საჭიროა კაცი, ვისი მიბაძვითაც შევძლებთ საკუთარი ხასიათის გაწვრთნასა და განმტკიცებას. ბედნიერია იგი, ვინც არათუ ჩვენთან ყოფნით გეწვრთნის, არამედ თავისი სახელის გახსენებითაც“.

სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა დეკანოზმა მალხაზ ყიფიანმა, რომელიც თბილისში, სვანეთის უბნის ტერიტორიაზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით აშენებს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის ტაძარს.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ უნივერსიტეტის პროფესორები და ხაშურის მუზეუმის წარმომადგენლები. წმინდა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად ასპექტებზე ისაუბრა პროფესორმა თამაზ ჯოლოგუამ, პროფესორმა როზეტა გუჯეჯიანმა მიმოიხილა „ყიფიანთა განსახლების არეალი სვანეთში“, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის მოხსენების თემა იყო „დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენა“, ლიტერატურათმცოდნე მურად მთვარელიძემ „აკაკი წერეთლის თვალთ დანახული დიმიტრი ყიფიანი“ წარმოადგინა, გვი გელაშვილი კი ყიფიანთა საგვარეულოს შესახებ ესაუბრა დამსწრეთ. სტუდენტმა გიორგი ჩუბინიძემ კონფერენცი-

ას გააცნო ამ ზაფხულს გამართული ახალგაზრდული აქტივობები, რამაც საბოლოოდ წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის დაფინანსება განაპირობა.

როზეტა გუჯეჯიანი (პროფესორი, კონფერენციის ორგანიზატორი): „წლევანდელი წელი უწმინდესის კურთხევით წმინდა დიმიტრი ყიფიანის წლადაა გამოცხადებული. მისი დაბადებიდან 200 წელი გავიდა და ბუნებრივია, გაჩნდა წმინდანისა და დიდი ეროვნული მოღვაწის ხსოვნის საღამოსა და სამეცნიერო კონფერენციის გამართვის სურვილი. გარდა ამისა, კულტურათაშორისი დიალოგის ასოციაცია ამზადებს ცნობილი ეთნოლოგის, პროფესორ სერგი მაკალათიასადმი მიძღვნილ საღამოს. გეგმავს იმ თურქეთელი ქართველი ბუშეების ჩამოყვანას საქართველოში და მათთვის ჩვენი ქვეყნის კულტურის გაცნობას, ვინც იქაურ საჯარო სკოლაში ქართულ ენას სწავლობს“

კონფერენციის დასასრულს მისმა მონაწილეებმა მთაწმინდის პანთეონში გადაინაცვლეს და წმინდა დიმიტრი ყიფიანის საფლავთან პარაკლისს დაეცურნენ, რომელიც ალაგლინეს სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსმა, მეუფე სვიმეონმა და მამა მალხაზ ყიფიანმა.

გიორგი ჩუბინიძე

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ისტორიის მიმართულების სტუდენტი

**Auto
Bild**
საქართველო

№1


საავტომობილო
ჟურნალი
მსოფლიოსა
და საქართველოში



ყველაფერი ავტომობილების შესახებ

www.autobild.ge

თბილისის ამირას „არაბული ზაფხული“



ატენის სიონის წარწერა (ბუღა თურქის შემოსევის ქრონიკა, 853 წ.): „...თუესა აგუსტოსსა ე-სა დღესა შაბათსა, ქრონიკონსა ოგ-სა, ზედა წელსა სლთ-სა ქალაქი ტფილისი დაწუა ბუღა და შეიპყრა ამირაი საჰაკ და მოკლა. და მასვე თთუესა აგუსტოსსა კე-სა დღესა შაბათსავე ზირაქ შეიპყრა კახაი და ძეი მისი თარზუჯი“. გ.გაგომიძის ფოტო

როგორ მოხვდა ბუღა თურქის მიერ ამირა ისჰაკ იბნ ისმაილის სიკვდილით დასჯა ისლამურ „ათასწლეულის ისტორიაში“

853 წლის აგვისტოს დამდეგი იყო. თბილისის სანახებს მიუახლოვდა აბასიანთა სახალიფოს ლაშქარი ხალიფა მუთაჟაქილის (847-861) თურქული გვარდიის სარდლის, ბუღა უფროსის, იმავე ბუღა თურქის მეთაურობით. სამიზნე იყო თბილისის ამირა, ისჰაკ იბნ ისმაილი, რომელსაც ქართველები სააკ ისმაილის ძედ უწმობდნენ. X საუკუნის არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი ალ-მასუდი წერდა: „და იყო თბილისში კაცი, სახელად ისჰაკ იბნ ისმაილი, რომელიც მასთან მყოფი მუსლიმების დახმარებით ბატონობდა მეზობელ ხალხებზე. ისინი ემორჩილებოდნენ მას და უხდიდნენ სულად გადასახადს — ჯიზიას“.

35 წლით ადრე ისჰაკმა, ხალიფას ნებართვის გარეშე, მიიტაცა თბილისი და გახდა უზურპატორი, არაბულად — მუთალიბი. ნიჭიერი და ენერგიული იყო ამირა. კახეთში წანარები ერთგულ მოკავშირეებად ჰყავდა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, დაღესტანში ზურგს უმაგრებდა სარირთა სამეფოს მბრძანებელი, რომლის ქალიშვილიც ცოლად შეირთო. მისი ავტორიტეტი გაიზარდა მას შემდეგ, რაც ვანანდში — ყარსის რაიონში, სოფელ კანჭკაქართან დაამარცხა და უკუაგლო ბიზანტიელთა ლაშქარი.

ისლამურ სამყაროში ისჰაკი პოპულარული გახდა 842 წლიდან, როცა თბილისი

გაიარა და იქ შეჩერდა სალამ თარჯუმანი. ხალიფა ვასიკს (842-847) ესიზმრა, რომ სადღაც შორს, ჩრდილოეთში, ალექსანდრე მაკედონელის მიერ ამენებული მძლავრი ზღუდე გაანგრეის ზღაპრულმა არსებებმა გოგმა და მაგოგმა, რომელთაც შეეძლოთ დიდი უბედურება მოეტანათ ადამიანებისთვის. ეს ზღუდე, როგორც მკვლევრებმა გაარკვიეს, ჩინეთის დიდი კედელი უნდა ყოფილიყო. შეშფოთე-

ბუღა თურქის მიერ თბილისის აღება და ისჰაკ იბნ ისმაილის სიკვდილით დასჯა. ილუსტრაცია დიდ მოგოლთა სახელმწიფოს იმპერატორის, აქბარის ბრძანებით შედგენილი ისლამური სამყაროს „ათასწლეულის ისტორიიდან“




یوسف والی رمنیه یکی از بزرگان بطارقه آن دیار را که آثار
 نژد و عصیان از او ظاهر می شد گرفته بدار احطه فرستاد اتفاقاً بعد از پیستادن
 آن بطریق باندک روز برنی عظیم بر دیار رمنیه واقع شد چنانچه مردم آن دیار از ترس و باز
 ماندن و درین وقت اقوام و جوانان آن بطریق فرصت غنیمت داپسته جمع شده بر سر
 والی رمنیه آمدند و او را محاصره کردند یوسف از کمال خود بیرون که ایشان خبک کند اتفاقاً
 چون اجس رسیده اذ دست ایشان کشته شد و آنجا که بران دیار تسلط یافته و همه کس
 از مسلمانان قتل رسانیدند و خلقی پشماره بواسطه مراد برین هلاک شدند چون حقیقت حال آن
 دیار بمسئول رسید پشماره کبیر را با لشکری انبوه بدفع آنجا عت فرستاد و بغا با نخواست و در سده قرب
 بسی هزار کس از آنجا عت قتل رسانید و اسپه بسیار گرفت و از آنجا متوجه بلاد باق از کوه سکاغی
 گشت و ولایات بسیار گرفت و درین سال مسئول برای او و قاضی مختل غضب کرد و از وی
 ده هزار درم گرفت و منصب قضا را به یحیی بن البزازانی داشت و احمد بن جنبل اعزاز و کرام
 بسیار کرد و در ترویج اهل سنت و اومما نغمه می داد چنانچه برادرش و بدنش و عمنش مامون
 در تقویت مذهب اعتزال نهایت سعی می نمودند



بنا شهر نقیلس را محاصره نمود و نزدیک تری مقدمه لشکر بود و والی آن
 اسمعیل بن اسمعیل از شهر بیرون و جنگ عظیم کرد آخر الامر در دست بغا گرفتار شد و بغای آنجا
 کردنش بزود آن شهر را سوخت و از حمله و کربان این سال که پشیمه غراب پنجاه هزاره شهر و مایه
 بیاض را محاصره کردند و طایف پشماره از اهل محشر کشته شد و مساجد آن دیار را تازی بسوزاند و ششصد
 از مصر باسیری بردند که صد و بیست و پنج از آنها زان مسلمان بود باقی تقبیه و از مردم مصر صد و پانزده
 از دست فرنگ قتل رسانیدند و در همین کربان در جنتین غرق شدند اقصه آن حادثه را طوق
 مصیبت گشته





თბილისის ძველი გალავნის კედელში, კარიბჭისთან, 2012 წელს აღმოჩენილი არაბული წარწერა

ბულმა ვასიკმა ამ ამბის დასაზუსტებლად ზაფხულში წარგზავნა ექსპედიცია სალამ თარჯუმანის (თარჯიმნის, მთარგმნელის) ხელმძღვანელობით. ის პოლიგლოტი იყო და 30 ენა მანც იცოდა. ხალიფამ სალამს რამდენიმე თანამგზავრი გააყოლა და სამგზავროდ საკმარის ფულიც გადასცა. სალამი სამარადან — სახალიფოს იმდროინდელი დედაქალაქიდან — დაადგა გზას და როცა 410 კილომეტრი გაიარა, თბილისში შევიდა. მან ისპაკს გადასცა ვასიკის სარეკომენდაციო ბარათი, რომელშიც ხალიფა ამირასგან ითხოვდა, დახმარება აღმოეჩინა მისთვის. ისპაკმა, თავის მხრივ, ასეთივე ბარათებით მოამარაგა სალამი, რომელიც დადესტნიდან ხაზარეთში გადავიდა. 16 თვის შემდეგ მან მიაღწია ჩინეთის დიდ კედელს და როცა დარწმუნდა, რომ გოგისა და მაგოგის საშიშროება კაცობრიობას არ ემუქრებოდა, მშვიდობიანად დაბრუნდა სამარაში. ამის შესახებ, თავად სალამ თარჯუმანისგან მოგვითხრო ცნობილმა არაბმა გეოგრაფმა იბნ ხორდადბეჰმა. ამ ამბავს შემდეგ სხვა არაბი ავტორებიც იმეორებდნენ.

წარმატებებმა გაათამამეს ისპაკი. მან არაბთა დიდი პროვინციის, არმინიის მფლობელის (საკიბ) ტიტული მიიღო (ან მიითვისა). მეზობელ ხალხებზე მბრძანებლობა გაუტკბა, მათგან შემოსული გადასახადების მიტაცებაც დაიწყო და სახალიფო ხაზინაში აღარაფერს გზავნიდა. ეს იყო დანაშაული, რის პატიებაც არ შეიძლებოდა. ამიტომ ხალიფები მის წინააღმდეგ დამსჯელ ექსპედიციებს გზავნიდნენ, მაგრამ შეუპოვარი წინააღმდეგობითა და დიპლომატიით ისპაკი ახერხებდა ამირას ტახტის შენარჩუნებას.

ასე გაგრძელდა მანამდე, ვიდრე ხალიფა მუთაჟაქილმა მის წინააღმდეგ არ გაგზავნა ბულა თურქი. 80 წელს იყო მიტანებული სახალიფოს მთავარსარდალი. დიდი ცოდნითა და განათლებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ჰქონდა სამხედრო ნიჭი, ომებში თავი გამოეჩინა და სიმამაცით იყო განთქმული. მონაწილეობდა არაერთ სამხედრო ექსპედიციაში, ებრძოდა აჯანყებულ ხურამიტებს აზერბაიჯანში, ხალიფას დაუმორჩილა ჰიჯაზი და განმდგარი წმინდა ქალაქები — მექა და მედინა, ებრძოდა ბიზანტიელებს. ცნობილი არაბი ისტორიკოსი ას-საფადი წერდა, რომ „ბულა მონაწილეობდა მრავალ შეტაკებასა და ომში, თავდაცვით ხელმძღვანელობდა ბრძოლებს. მაგრამ ერთხელაც არ აუსხამს აბჯარი და ერთი ჭრილობაც კი არ მიუღია ბრძოლებში“. მანამდე, 852 წელს ბულამ სისასტიკით ჩაახშო ხალიფას წინააღმდეგ სომხების აჯანყება, მოაოხრა სასუნი, ხუთი, ვანის ტბის სანაპიროები, სომხეთის სხვა მხარეები და თბილისისკენ დაიძრა. მის ლაშქარში, თურქი გვარდიელების გარდა, იყვნენ სამხრეთ ევკვიპტეში მცხოვრები მალრიბელები, შთამომავლები არაბი ემიგრანტებისა. ბულას თან ახლდნენ ცნობილი სარდალი ზირაქ ათათურქი და სომეხი მთავარი სმბატ ბაგრატიუნი.

ბულა მიუახლოვდა თბილისს, რომელიც ისპაკს საგულდაგულოდ გაემაგრებინა, განსაკუთრებით სოდელები — მტკვრის მარცხენა ნაპირზე და აღმოსავლეთიდან მიადგა ქალაქს. მან ისპაკს შეუთვალა, დამნებდი და შეახლოვო. — მე ყოველთვის ხალიფას მორჩილი ვიყავი. თუ ფული და ხარკი გინდა, გამოგიგზავნი, მაგრამ პირადად არ მოვლო. ამირამ იცოდა, რას ნიშნავდა ბულასთან მისვლა. დაპატიმრე-

ბა და სამარაში გაგზავნა არ ასცდებოდა. იქ კი უეჭველად სიკვდილით დასჯიდნენ. ამიტომაც უარზე დადგა და ომისთვის მოემზადა. მან საგანგებოდ გაამაგრა თავისი რეზიდენცია სოლდებილში — დღევანდელი მეტეხის ადგილას, ჯარიც საკმარისად ჰყავდა და იმის იმედიც ჰქონდა, რომ ქართველი მოკავშირეები დაეხმარებოდნენ. ხანგრძლივი ალყა არ აშინებდა, რადგანაც სურსათ-სანოვაგე უხვად მოემარაგებინა. დარწმუნებული იყო, რომ ხიფათს თავიდან აიცილებდა. მაგრამ ამჯერად აღარ გაუმართლა.

853 წლის 5 აგვისტოს, ბუღას ბრძანებით, მისმა მეომრებმა ნავთობმტყორცნელთა საგანგებო ერთეულიდან (ნაფფატუნ) თიხის ქოთნები ნავთით გაავსეს, ცეცხლი წაუკიდეს და მანჯანიკებით თბილისს დაუშინეს. ფიჭვის ხით ნაგებ სახლებს ცეცხლი სწრაფად მოედო. ამოვარდნილმა ქარმა ხანძარი მთელი ძალით გააჩაღა. ამის შემხედვარე ისპაკმა ბუღას სარდალთან — თურქ ზირაქთან ბრძოლა შეწყვიტა და ქალაქს მიაშურა. საზარელი სურათი წარმოუდგა. მისი სასახლე და შემოგარენი ცეცხლის ალში გახვეულიყო. ხანძარმა დაზაფრა ქალაქის დამცველები და წინააღმდეგობის უნარი დაუკარგა მათ. შედრკა ამირაც. ერთი პირობა უნდოდა, სამშვილდეში გახიზნულიყო, მაგრამ მერე გადაიფიქრა. ზირაქს შეუთვალა, — მოდი და შემიპყარიო. ზირაქმა არ დაიჯერა და მხოლოდ მაშინ გაემშურა მისკენ, როცა მესამედ ეახლა ამირას მოციქული. ისპაკი და მისი ვაჟი ამრი გაბაყრული მიჰგვარს ბუღას. ახლა ბუღას გოცეების ჯერი დადგა. თომა არწრუნის ცნობით, მას ისპაკის აჯანყება ისე არ გაჰკვირვებია, როგორც მისი უაზრო დანებება. მან ბრძანა, სასწრაფოდ დაესაჯათ სიკვდილით დიდთავა, შავგრემანი, ბასმით შედებილი წვერ-ულვაშიანი, მელოტი და ელამი, ზონზროხა მოხუცი. სასჯელი აღასრულა ბუღას მოადგილე დამუშმა. ისპაკის უსულო სხეული ჯვარზე გააკრეს, ხოლო თავი მარგილზე ჩამოაცვეს და შემდეგ ხალიფა მუთავაქილს გაუგზავნეს, მის ქვრივთან და ორ ვაჟთან ერთად. როდესაც ამირას თავი ნადიმისას მიართვეს ხალიფას, წამოდგა ცნობილი პოეტი ალი იბნ ალ-ჯაჰმი და ექსპრომტად წარმოთქვა ვრცელი კასიდა (აქ მოტანილია პირველი ხუთი სტრიქონი):

*კეთილი იყოს შენი მოსვლა,
ვითარცა დესპანის,*

*ის მოიტანე, შურისგების რომ
მოკლავს წყურვილს,
და განმარტებას რომ არ ითხოვს
საერთოდ იგი,*

*თავი ისპაკის, ისმაილის ძის,
ძლევა თბილისის და სულდაბილის...*

ამ კასიდისთვის ხალიფა მუთავაქილმა პოეტს 30 ათასი დირჰემი უბოძა.

*** * ***

ამირა ისპაკ იბნ ისმაილის მმართველობა, ისევე როგორც ბუღა თურქის მიერ თბილისის აღება, ცნობილი და პოპულარული თემა იყო არა მხოლოდ არაბულ მწერლობაში. მის შესახებ წერდნენ არაბი გეოგრაფები და ისტორიკოსები, ბიოგრაფები და კოსმოლოგები, პოეტური და სხვა ტიპის ანთოლოგიების

ინდოეთის დიდ მოვლათა სახელმწიფოს იმპერატორი აქბარი (მზატვარი მანოსარი, მოვლათა სკოლის წარმომადგენელი)





აბულ-ლ ფაზლი ფადიშაჰ აქბარს გადასცემს წიგნს „აქბარნამე“ (ჩესტერ ბიტის ბიბლიოთეკა, ღუბლინი. 1596-1597 წწ.)

ავტორები. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ თემა ისლამურ მხატვრობაშიც გაგრძელდა. მაგრამ ეს მოხდა ისპაჰის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ.

1585 წლებში ინდოეთის დიდ მოგოლთა სახელმწიფოს იმპერატორმა აქბარმა (1542-1605) ბრძანა, შეედგინათ მთელი ისლამური სამყაროს ისტორია მოციქულ მუჰამადის სიკვდილიდან — ათასი წლის განმავლობაში, რის

გამოც მას ეწოდა „ათასწლეულის ისტორია“ (თა'რიხ-ი-ალფი). ამ თხზულებას, რომლის არასრული ნუსხები დაცულია ინდოეთისა და ევროპის არქივებში, ყველა სხვა ისტორია უნდა შეეცვალა.

იმპერატორი აქბარი გატაცებული იყო მხატვრობით. მის კარზე მუშაობდა ასობით ინდოელი და მუსლიმი მხატვარი, რომლებიც ამზადებდნენ განსაკუთრებული სილამაზისა და ხარისხის ხელნაწერებს. ილუსტრირებულია „ათასწლეულის ისტორიაც“. მის პირველ ტომებში, რომლებიც დაწერა მულა აჰმად ათ-თათავიმ, შევიდა ბულა თურქის მიერ თბილისის აღება და ისპაჰ იბნ ისმაილის სიკვდილით დასჯაც, როგორც გამორჩეული ამბავი ისლამის ისტორიაში, სათანადო ფერადი ილუსტრაციით. ეს მინიატურა, ბრიტანეთის მუზეუმიდან, 2008 წელს მოვიპოვეთ პროფესორ ზაზა სხირტლაძის შუამდგომლობით, იმ დროისთვის მუზეუმის ხელოვნებათმცოდნეების — ელენორა სიმისა და ვალენტინა ტალიანის თაყაზიანი დახმარებით. მათ გაითვალისწინეს რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და მინიატურა ყოველგვარი საფასურის გარეშე მოგვაწოდეს.

მინიატურა სამი ნაწილისგან შედგება. მეორე, შუა ნაწილში, ისპაჰის სიკვდილით დასჯას ასეთი კომენტარი ახლავს (პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილის თარგმანში):

„ბუღამ ალყა შემოარტყა ქალაქ თიფლისს. მისი ლაშქრის მეთაური იყო ზირაქ თარი (სიც. თურქი). იმ ქალაქის ვალი ისპაჰ იბნ ისმაილი ქალაქიდან გამოვიდა და დიდი ბრძოლა გამართა. ბოლოს იგი ბუღას ჩაუვარდა ხელთ, რომელმაც მცისვე მოჰკვეთა მას თავი და ქალაქი გადაწვა“.

მინიატურაზე ჩანს თბილისის ამირა, ფეხშიშველი, დაჩოქილი და ხელებშეკრული, იმ პოზაში, რომელიც დღემდეა მიღებული სიკვდილმისჯილთათვის ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში, კერძოდ, საუდის არაბეთში. ისპაჰის უკან დამუშა, გაშთვლელი ხმლით, მზადყოფნაში — თავი მოჰკვეთოს ამირას.

ასე შევიდა თბილისის ამირას ისპაჰ იბნ ისმაილის ტრაგიკული აღსასრული ისლამურ მხატვრობაში.


ბონა ჯაფაროძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

„თბილისის ისტორია“ გამოვიდა

საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის პირველ წიგნს, „მეფე თამარს“ მკითხველი საზოგადოება ინტერესით შეხვდა. მეორე წიგნი, „თბილისის ისტორია“ კი უკვე დაისტამბა და ის გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად გაიყიდება.

„თბილისის ისტორიის“ ტექსტი პროექტის ავტორმა, პროფესორმა ჯაბა სამუშიამ შეადგინა. საქართველოს უპირველესი ქალაქის ისტორიამ არაერთი ეპოქა მოიცვა და ამანაც განაპირობა ის ისტორიული თუ თემატური მრავალფეროვნება, რითაც ეს წიგნი გამოირჩევა. მასში მოთხრობილია იმ დიდი და ძნელი გზის შესახებ, რომელიც თბილისმა და თბილისელებმა, მთელმა საქართველომ გაიარეს უძველესი დასახლებიდან თანამედროვე ქალაქამდე. მკითხველი „დაინახავს“ ვახტანგ გორგასლისა და თბილისის აშენების ამბავს, მის ბრძოლას ბიზანტიელთა და ხაზართა წინააღმდეგ; არაბთა ბატონობასა და ისევ ბრძოლას თბილისისთვის; დავით აღმაშენებლის მიერ მტერთაგან დედაქალაქის გამოსხნას თუ ჯალალ აღ-დინისა და თემურლენგის სისასტიკეს; სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის დაპირისპირებას, ოსმალობას, ყიზილბაშობასა და ალა-მაჰმად-ხანის აოხრებულ ქალაქს, რუსულ და საბჭოთა იმპერიებს, 9 აპრილს,



დამოუკიდებლობის აღდგენას და ბოლოს, თანამედროვე თბილისს.

თბილისის ისტორიის თხრობა უამრავი ისტორიული არტეფაქტის, ფოტოსა თუ ილუსტრაციის ფონზე მიმდინარეობს. წიგნს ასევე ამდიდრებს ამა თუ იმ გმირის, მოვლენისა თუ ფაქტის ამსახველი ილუსტრაციები, რომელთა შექმნაზეც მუშაობდნენ მხატვრები ლევან სილაგაძე, მანანა ჯავახიშვილი და ანდრო ამბარცუმიანი. რუკები კარტოგრაფმა მანანა შეყილაძემ შეადგინა.

„საქართველოს ისტორიის ეს ვიზუალური რეკონსტრუქცია მთავარ მოვლენებს, მნიშვნელოვან ფაქტებს, ოდესღაც რეალურად მომხდარ ამბავს ცალკეულ წიგნებად ყოფს და ერთ დიდ, მთავარ სერიად აერთიანებს. ეს წიგნები განკუთვნილია ყველა ასაკის მკითხველისთვის, ოჯახის ყველა წევრისთვის — უმცროსიდან უფროს თაობამდე... გაცნობიდან — გახსენებამდე...“ — ვკითხულობთ წიგნის შესავალში და ისღა დაგვრჩენია, ჩვენს ერთგულ მკითხველს ილუსტრირებული ისტორიის მორიგი ტომის გამოცემა მივულოცოთ და ის სიტყვები გავიმეოროთ, რომელიც თითოეულ წიგნს რეფერენად გასდევს: „დაინახე შენი ისტორია“.

„ისტორიანი“




თბილისელი მეწაღე (მანანა ჯავახიშვილის ნახატი)

ქართული მხატვრის ტრაგედია

შესანიშნავი ხელოვნანის ბერანიაში უკატრონოდ მიტოვებული საფლავი შესაძლოა დაიკარბოს

მხატვრის დამფასებელი მხოლოდ დროა — ეს სიტყვები მხატვარ შალვა ქიქოძეს (1894-1921) ეკუთვნის, რომლის ცხოვრების გზა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. იგი 27 წლის ასაკში საქართველოდან შორს, ფრაიბურგში, გერმანიაში აღესრულა. შალვა ქიქოძეს მდიდარი შემკვიდრეობა დარჩა — ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებები, პირადი დღიურები და წერილები, შეხედულებანი ხელოვნებაზე. ეს განლაგთ ნიმუში ეროვნული თვითგამოსახვის ფორმათა ძიებებისა, რომელთაც XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული კულტურის განვითარება განსაზღვრეს.



ავტოპორტრეტი (შალვა ქიქოძე, 1920 წ.)

შალვა ქიქოძემ ადგილი დაიმკვიდრა ახალი ქართული მხატვრობის საუკეთესო წარმომადგენელთა გალერეაში — დიმიტრი შვეარდნაძის, დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილისა და სხვათა გვერდით.

მხატვრის ბიბაშვილის, მწერლისა და მთარგმნელის, გერონტი ქიქოძის თქმით, ხატვა შალვამ ლაპარაკთან ერთად დაიწყო. იგი ფანქრით ხატავდა ყველაფერს, რაც მოსწონდა და რაც მასზე შთაბეჭდილებას ახდენდა. სამი წლისა გადიას ხელიდან გაუვარდა და პატარას მარჯვენა ხელი დაუზიანდა. ამის გამო იტულებული გახდა, მარცხენა ხელით ხატა. თუმცა, როგორც ამბობენ, ამ ფიზიკურ ნაკლს მის შესანიშნავ გარეგნობაზე დიდად არ უმოქმედია. ლადო გუდიაშვილი ასე ახასიათებდა მას: „შალვა მკვირცხლი ბუნების, გამხდარი, მაღალი, ლამაზი, უადრესად განათლებული, იუმორის გრძობით დაჯილდოებული ახალგაზრდა იყო“.

შალვა ჯერ ისევ პატარა იყო, როცა მისი ოჯახი სოფელ ბახვიდან თბილისში, სათავადაზნაურო გიმნაზიის ახლოს დასახლდა. შალვას ნიჭიერება სულ მალე გახდა ცნობილი თბილისშიც. ერთხელ შალვას

მამას, გერასიმეს ქუჩაში შეხვედრია ბიძინა თავართქილაძე, იმ დროს საკმაოდ ცნობილი პიროვნება. მას გერასიმესთვის უთხოვია შვილთან შუამდგომლობა, რათა ახალგაზრდა მხატვარს მისი სამუშაო კაბინეტისთვის კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის პორტრეტები დაეხატა. შალვას ეს დაკვეთა მოკლე დროში შეუსრულებია და დამკვეთს ამჯერად ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პორტრეტებიც მოუსურვებია. ილიას პორტრეტი მხატვარს ტრაგიკულად დაღუპული მწერლის კუბოში ჩასვენებული ცხედრიდან შეუსრულებია. სამწუხაროდ, ყმაწვილობის პერიოდის ეს პორტრეტები არ შემორჩენილა. 1937 წელს ბიძინა თავართქილაძე რეპრესირებულთა შორის მოექცა და ეს ნამუშევრებიც დაიკარგა.

ჭაბუკობის წლებში შალვა ქიქოძემ რუსულიდან ქართულად თარგმნა არტურ კონან დოილის გახმაურებული ნაწარმოები „შერლოკ ჰოლმსი“ და დაასურათა კიდევაც.

თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დასრულების შემდეგ, 1912 წელს, შალვა ქიქოძემ მხატვრულად გააფორმა პეტრე მირიანაშვილის მიერ შეკრებილი ხალხური თქმულება „ამირანი“.

1914 წელს შალვა ქიქოძე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტიპენდიატად ჩაირიცხა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იმავედროულად, იგი ბედს ცდიდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების აკადემიაში, ფერწერის განყოფილებაზე ჩასარიცხად. გამოცდებზე ორჯერ ჩაიჭრა, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ მისცემია და მესამე ცდაზე აკადემიაში მოხვდა. როგორც მისი მეგობრები იგონებდნენ, „მუშაობდა შალვა ყოველდღე დაღამებამდის. ამ დრომდე არავის აძლევდა ნებას ხელი შეეშალათ მისთვის, სამაგიეროდ, სადამოდან ჩვენ ვიწყებდით ახალ ცხოვრებას. შალვას სახელოსნოში ჯერ ტვერსკაიაზე, ხოლო შემდეგ მალაია ბრონნაის ტერიტორიაზე... მას ბევრი წიგნი ჰქონდა, კედლებზე ნახატები და ფერწერული ნაწარმოებები იყო გამოფენილი. სახელოსნოში ახალგაზრდები იკრიბებოდნენ და შემოქმედებით დისკუსტებსა და საუბრებს შემოათენდებოდათ ხოლმე“.

უცხოეთში ყოფნისას საკუთარ ქვეყანასა და ოჯახზე ფიქრი სდევდა: „ჩემო ბებიკო, როგორ მენატრები, რომ იცოდე. ყველაფერს მირჩევნია ეხლა შენთან პატარა სასაბილო სტოლთან დამსვა, ერთი ბოთლი მაჭარი, პატარა წიწილა შემწვარი, ცხელი მჭადი, პატარა კვერი ყველით, ბავშვობაში რომ მიკეთებდი, იმ კვერს მერე დღეებზე გარეცხდი, გატეხდი შუაზე და ნახევარი ჩემი იყო და ნახევარი ტატულაის. ვერ წარმოიდგენ, ბებიკო, როგორი ძვირფასია ჩემთვის ბახვის ყოველი კუნჭული... შხათა ვარ, მთელი ვეროპა თავისი მაშინებით და სწავლით ვანაცვალო ჩემს პატარა ბახვს, ეზოს ჭიშკარს, ნალიას, ქათმებს, გოჭებს... ვინ მოსთვლის“.

სწავლისას თანამშრომლობდა მოსკოვის თეატრალურ უნივერსიტეტში „რამპა ი ჟიზნ“, სადაც ცნობილ რუს მხატვრებთან ერთად აქვეყნებდა გრაფიკულ პორტრეტულ ჩანახატებს, შარჟებს რუს თეატრალურ მოღვაწეებზე, Chaliko-ს ფსევდონიმით. იგი ასევე თანამშრომლობდა მოსკოვის თეატრ-კაბარესთან „დამურა“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი ნიკიტა ბალიევი ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვარს დიდად აფასებდა.


სწავლისთვის ფული ახალგაზრდა მხატვარს თითქმის არასოდეს ჰყოფნიდა არც რუსეთში, და მოგვიანებით, არც პარიზში. შალვა



„ახალგაზრდა წვეილი“ (შალვა ქიქოძე, 1921 წ.)

„ატარელი ჩადრიანი ქალები“ (1921 წ.)





„ახალგაზრდა მეგობრის მოვლენა“ (პარიზი, 1920 წ.)



„კონსტანტინე გამსახურდია“



„გურული ქალი“ (1921 წ.)

ქიქოძე თავის დას, ცნობილ მსახიობ ანეტას სწერდა: „მე, ჩემო ანეტა, ძველებურათ ვმუშაობ, შესაძლებელია უფრო ენერგიულათაც, მაგრამ მეშინია, რომ ენერგიის ამპლიტუდამ ფინანსებს არ წააცილოს და კარგი ნაყოფის მაგიერ უჩვეულო მდგომარეობაში არ ჩამაგდოს იმიტომ, რომ მოსკოვში ცხოვრება სამჯერ უფრო ძვირია. პალიტრა ხელში რომ გიჭირავს და ხატავ, გეშინია, ფერადის თამამად აღება იმიტომ, რომ იცი, ის ფერადი, რომელიც წინათ თერთმეტი შაური ღირდა, ეხლა მანეთ-ნახევარი ღირს ...სადაც მე ვსადილობ, იქ სადილს არა უშავს რა, მაგრამ მაინც საძაგელია. მერე, ვისაც კი ერთხელ უგემებია დედაჩემის დამზადებული სადილი, ის რუსეთში შიმშილით უნდა მოკვდეს უჭმელობისგან“.

არდადეგებზე შალვა ქიქოძე სამშობლოში ჩამოდიოდა და აქტიურად მონაწილეობდა 1916 წელს მხატვრის უფროსი მეგობრის, დიდი ქართველი მხატვრისა და ქართული კულტურის მოამაგე დიმიტრი შევარდნაძის ინიციატივით ჩამოყალიბებული საზოგადოების საქმიანობაში. პირველ პროფესიულ საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაცია „ქართველ ხელოვანთა საზოგადოებაში“ 1918 წელს ის მდივნად აირჩიეს. გარდა ამისა, შალვა ქიქოძე აფორმებდა თეატრალურ სპექტაკლებს, სხვა ცნობილ მამულიშვილებთან ერთად მონაწილეობდა ნაბახტვეის ექსპედიციაში, სადაც ისტორიული ფრესკების პირები შეასრულა.

შალვა ქიქოძე თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებთან, იუმორისტულ და თეატრალურ ჟურნალებთან: „ლახტი“, „ემშაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „თეატრი და მუსიკა“ და რუსულენოვან გამოცემასთან „ისკუსტო“. მხატვარი ამ ჟურნალების ფურცლებზე არა მარტო მხვილ კარიკატურებსა და მეგობრულ შარჟებს აქვეყნებდა, არამედ ბრწყინვალე რეცენზიებსაც წერდა თეატრალურ წარმოდგენებზე. ამ რეცენზიებში შალვა ქიქოძე, როგორც თეატრალური მიმომხილველი, საკმაოდ მკაცრი ტონით აფასებდა სპექტაკლების ავ-კარგს, ხშირად საკუთარი ხელმოწერის ნაცვლად აქარაგმებდა (მაგალითად, „სკამი 67“) ან მხოლოდ ინიციალებს აწერდა.

1920 წელს ქართველ ხელოვანთა საზოგადოების დახმარებით, როგორც ნიჭიერი მხატვარ-სტიპენდიანტი, ის სასწავლებლად

საფრანგეთში გაემგზავრა. „ფოთიდან ვიწყებ მისთვის, რომ იქ ვიგრძენ პირველად, თუ რა ძნელია თავისი მიწა-წყლის მოშორება. დიდი ბრძოლა დამჭირდა, რომ არ დამეყვირა. ვფიქრობდი, სამშობლოს მე მგლეჯენ-მეთქი და არა მე ვშორდები-მეთქი მას. შეიძლება წყალშიც გადავმხტარიყავი ნაპირამდე საცურად. ...ჭეშმარიტად დიდაა და მშვენიერი ის ქვეყანა, რომელსაც თავის შვილში ასეთი გრძნობების აღძვრა შეუძლია“ (ამონარიდი წერილიდან).

პარიზში ახალგაზრდა მხატვარი, ლადო გუდიაშვილსა და დავით კაკაბაძესთან ერთად, ესწრაფვოდა იმდროინდელ მხატვრულ მიმდინარეობათა ათვისებასაც და ეროვნული ტრადიციების განვითარებასაც. არც პარიზში ულხინდა მხატვარს, რაზეც მისი წერილები მოწმობენ. „...მე ძალიან კარგათა ვარ, ცოტა ფული რომ მყოფნიდეს. ფული კი არ მყოფნის, რადგან მე რომ ხარჯი მაქვს, იმდენი არც ერთს არა აქვს. ჩემს ოთახში ძალიან სიცივეა. ფეხები და ცხვირი გამეყინა. ჩემი ბუხარი გაჩუმებულია. აქ აზრიც უნდა იყინებოდეს. ყოველი გათბობა 4 ფრანკი ღირს, ჩვენი ფულით, 100 მანეთით ვერ ვუძლებ. აი, ცხოვრების დიმილი და სინამდვილე!“

მხატვარი პარიზშიც მისთვის ჩვეული აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა. არც სამშობლოს ამბები ავიწყდებოდა და პარიზში იმხანად ემიგრირებულ მდიდარ მეწარმესა და მეცენატს, აკაკი ხოშტარიას, თბილისში ევროპული მხატვრობის გალერეის შექმნას მოუწოდებდა.

შალვა ქიქოძე აფასებდა პარიზის წარსულს, კულტურულ მეგობიდრობას, მაგრამ მისი აწმყო არ მოსწონდა. ამონარიდი დისადმი მიწერილი წერილიდან: „წინათაც ვიწერებოდი, რომ ძველი სიძლიერე საფრანგეთისა ცხადია. ეს სიძლიერე მართლაც სჩანს ხელოვნების შემოქმედებაში. აქ ისეთი საყდრებია, რომ მხოლოდ დიდ, უშუალო რელიგიას შეეძლო მისი შექმნა. აქ ისეთი მუზეუმებია, რომ მხოლოდ ნამდვილ სიყვარულს და კარგ გემოს შეეძლო მათი შექმნა. მხოლოდ ახლანდელი საფრანგეთი არაფერს წარმოადგენს. ...დღევანდელი პარიზი სასოწარკვეთილი რამ არის. უგემურობა და ფუქსავატობა მეფობს ყველგან. არ არის აზრი და გრძნობა. ყველაფერი დაპირდაპირებულია ჯიბესთან და ბაზართან“.



დავით კაკაბაძე და შალვა ქიქოძე პარიზში



ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძისა და შალვა ქიქოძის ნამუშევრების გამოფენის მოსაწვევი, პარიზის პრესტიჟულ დარბაზ „ლა ლიკორნში“

„პარიზი, ლუქსემბურგის ბაღი“





შალვა ქიქოძის დაკრძალვის ცერემონია



როგორც სამართლიანი, პატიოსანი და ნიჭიერი ახალგაზრდა, შალვა ქიქოძე ერთხმად აირჩიეს საფრანგეთში ქართველ სტუდენტ სტიპენდიანტთა ბიუროს ხაზინადრად. დაავალეს არა მხოლოდ ფინანსური დახმარების სამართლიანად განაწილება, არამედ დოკუმენტების შედგენა, სადაც სტუდენტთა სასიცოცხლოდ აუცილებელი საკითხების გადაჭრის გზები იქნებოდა დასახული.

შალვა ქიქოძის, ლადო გუდიაშვილისა და დავით კაკაბაძის ნამუშევრები ორჯერ გამოიფინა პარიზის ცნობილ და პრესტიჟულ დარბაზებში „ლა ლიკორნსა“ და „დამოუკიდებელთა სალონში“. შალვა ქიქოძე ასე აფასებდა ქართველ მხატვართა გამოფენას უცხოეთში: „ჩვენი სურათების აქ გამოფენა უნდა იყვეს განსხვავებული იმით, რომ იქნება ქართული... ყოველ მაყურებელს უნდა ეჯდეს თავში, როდესაც ის ჩვენი სურათების სანახავად მოვა, უნდა იცოდეს იმ მაყურებელმა, რომ ის საქართველოა, რასაც ის ხედავს; ის საქართველო, რომელსაც ამდენ ხანს არ იცნობდა და არც უნდოდა ეცნო; რომ ეს საქართველო და მისი ნაწარმოებნი ყოფილან გაცნობის ღირსი“.

შალვა ქიქოძე საქართველოს თავისუფლების შესახებ: „ეხლა თავი მაღლა გვაქვს აწეული და აღარავის გაუურბით. არც საქართველოზედ საუბარის გვეშინია. წინათ, მაგალითად, რუსებს გაუურბოდი, რადგან ყოველი მათი შეხვედრა საკებნათ და საჩხუბრათ მამზადებდა. ეხლა კი პირიქით, დავექებ მათ, რომ მათთან ლაპარაკის დროს სიმშვიდე გამოვიჩინო... ჩვენი მოსპობა ეხლა, მე მგონია, თითქმის შეუძლებელია მისთვის, რომ ხალხი ბრძოლით მოპოვებულ უფლებას უბრძოლველათ არასდროს ჰკარგავს. ჩვენი უფლება კი ნამდვილი, შეუდარებელი, წმინდა ბრძოლით არის მოპოვებული. ეს უფლება საქართველოს შვილია, ნამდვილი სიმწრით გადარჩენილი შვილი, და, აბა, რომელი დედა დასთმობს თავის პირმშო შვილს?“

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია მხატვარმა მძიმედ განიცადა: „...რისთვის, რომელი ცოდვებისთვის, რა დანაშაულისთვის საცოდავი, ღატაკი, ნიჭიერი ხალხი შიმშილით და სენით უკანასკნელ სულსა ღვეს. მზად ვარ, ძალიან ხშირად საქართველოს გზისკენ გამოვწიო... ევროპაში ყოფნა და იქ მუშაობა მხოლოდ მაშინ არის კარგი

და ნაყოფიერი, როდესაც სახლი არ გეწვის, როდესაც იცი, რომ გაქვს პატარა, ძვირფასი მიწა-წყალი, სადაც ხალხი შენზე ნაკლებ კი არა, შენზედ ბევრად ბედნიერი არის მისთვის, რომ თავის მიწის მშვენიერებას ყოველდღე ჰხედავს და არც ხედვა მოსწყინდება. აბა, რა შემოდლია მე გავაკეთო ეხლა აქ, როდესაც საქართველოს ამბებით ზნეობრივით სრულიად განადგურებული ვარ“.

1921 წლის აგვისტოს დასაწყისში ჭლექით დაავადებული შალვა ქიქოძე სამკურნალოდ პარიზიდან გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგში გაემგზავრა. თავისი ავადმყოფობის შესახებ არავის ეუბნება. საიდუმლოს მხოლოდ დავით კაკაბაძეს ანდობს: „...ჩემი თავი ჭლექიანი ვერ წარმომედგინა. შენთან თუ ხანდახან ვლაპარაკობდი პარიზში, ამას მხოლოდ სერიოზული ზუმრობის ხასიათი ჰქონდა, თორემ, თუ მე ფილტვები დამიზიანდებოდა, ეს თავში არასოდეს მომსვლია და თავს ბედნიერათ ვთვლიდი“.

სამედიცინო ჩარევამ შედეგი ვერ გამოიღო და იმავე წლის 7 ოქტომბერს შალვა ქიქოძე გარდაიცვალა. ფრაიბურგის ქართველობამ, სამშობლოდან შორს, გერმანიის მიწა-წყალს მიაბარა შესანიშნავი ახალგაზრდა მხატვარი შალვა ქიქოძე.


ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში შალვა ქიქოძე წერდა: „უბედური ხალხის ჩარხი ბრუნდეთ ტრიალებს. ჯერ მის ჭრიჭინს ვერ მოუვლი, ვერც საპონი, ვერც ქონი ვერ შველის, შემდეგ კი ისეთ ალაგას გიდალატებს, როცა გგონია, — აჰა, მისწვდი კიდეც მისაწვდომელს. და ამ ცალკე პიროვნულ ტრაგედიებიდან შესდგება ის დიდი ტრაგედია, რომელსაც საქართველოს ტრაგედია ეწოდება. ამ ტრაგედიის ავტორები ბევრნი არიან, იმდენი, რომ მგონი საქართველოში ლექსის ავტორებიც არ იყვნენ იმდენი. ეს ავტორები სხვა და სხვა ალაგას იმყოფებიან და მხოლოდ ისტორიას შეეძლება მათზე თითის დადება და დასახელება“.

ჩვენს საზოგადოებას უყვარს ლაპარაკი თანამემამულეებზე, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდეს ქართული კულტურის განვითარების საქმეს, მაგრამ როცა ჯერი რეალურ საქმეზე მიდგება, მჭვერმეტყველებაც იკლებს. მხატვარ შალვა ქიქოძის უპატრონოდ მიტოვებული საფლავი ფრაიბურგში შეიძლება დაიკარგოს კიდეც და მერე გვიან იქნება თავში ხელის



შალვა ქიქოძის საფლავის ქვა

ავტობიოგრაფი (შალვა ქიქოძე, 1920 წ.)



ცემა. ალბათ დადგა დრო, ქართველმა საზოგადოებამ შალვა ქიქოძის ნეშტის საქართველოში გადმოსვენებაზე იფიქროს და ფიქრთან ერთად, იმოქმედოს კიდეცა.

*ირინე აბესაძისა და ქეთევან
ბაგრატიშვილის წიგნის „შალვა ქიქოძე,
კულტურული მემკვიდრეობა“
მასალების მიხედვით
მოამზადა ირაკლი მახარაძემ*

პოლონური ველომოგზაურის აფრიკული თავგადასაცემი

კაზიმეჟ ნოვაკის
მსოფლიურმა ქალაქმაც
მშრომის სამი ქვეყანა
„მოიარა“(!)

პოლონელმა კაზიმეჟ ნოვაკმა მთელ აფრიკას ველოსიპედით შემოუარა, რისთვისაც 5 წლის განმავლობაში 40 ათასი კილომეტრზე მეტის გავლა დასჭირდა. მისი მოგონებები რეპორტიორული ლიტერატურის კლასიკადაა მიჩნეული. მოგზაურობისას ნოვაკმა 10 ათასზე მეტი ფოტო გადაიღო. მათი ნაწილის ნახვა ინტერნეტითაც შესაძლებელია.

კაზიმეჟ ნოვაკი



კაზიმეჟ ნოვაკის მოგზაურობა მართლაც საკვირველია — მან ველოსიპედით, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, მთელი აფრიკის კონტინენტი გაიარა. როცა ძველი ველოსიპედი დაიშალა, გზას განაგრძობდა ფეხით, ცხენით, აქლემით, ტანკით, მატარებლით, შემდეგ — კვლავ ველოსიპედით. ასეთი რამ დღესაც კი ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ ნოვაკმა, მოწოდებით მოგზაურმა და ფოტოგრაფმა, ორი შვილის მამამ, რომელიც იმ კრიზისულ დროს ამაოდ ეძებდა სამუშაოს, ეს შეძლო.

ნოვაკმა სხვადასხვა ქვეყნისგან დაპყრობილსა და ცივილიზაციისგან თითქმის ხელშეუხებელ აფრიკას გასული საუკუნის 30-იან წლებში მიაშურა. წავიდა ყოველგვარი ხმაურიანი რეკლამისა და ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. ერთადერთი დახმარება, რაც მან მიიღო, ველოსიპედის რამდენიმე საბურავი იყო, რომელიც პოზნანის ფაბრიკა „სტომილმა“ გაუგზავნა. ფული თითქმის არ ჰქონდა, რის გამოც დიდი გაჭირვებით მიიწვედა წინ.

მის შემოსავალს მხოლოდ წვრილ-წვრილი თანხები შეადგენდა, რომლებსაც გაზეთებისთვის გაგზავნილი წერილებისა და ფოტოების სანაცვლოდ პოლონეთიდან იღებდა. ამ ჰონორარს საყვარელი მეუღლე უგზავნიდა. როცა აფრიკიდან დაბრუნდა და საფრანგეთში ჩავიდა, მატარებლის ბილეთის ფული პოლონეთის საკონსულომ ასესხა (მანამდე უშედეგოდ სცადა აფრიკული ფოტოების გაყიდვა).

მაშინ მთელი მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს მოეცვა, ხოლო გერმანიის ხელისუფლების სათავეში ფაშისტები მოვიდნენ. მოგზაურისთვის არავის ეცალა. ამ დაუღალავი ფანატოსით ხანდახან ადგილობრივი აფრიკელები და იქ მომუშავე ვეროპელი ბიუროკრატები, სამხედროები და ოქროს მაძიებელნი თუ ინტერესდებოდნენ. მათთვის მზისგან გარუჯული, წვერმოშვებული, დანჯღრეულ ველოსიპედზე ამხედრებული მამაკაცი, დიდი თვალებითა და მუზარადით თავზე, ფატა-მორგანასავით ირეალური უნდა

ყოფილიყო. ძნელია მოძებნო არა მხოლოდ პოლონელ, არამედ მსოფლიო მოგზაურთა შორისაც კი თავის საქმეზე მასზე მეტად შეყვარებული მოგზაური, რომელსაც, ამასთან, თავისი გატაცება ასე ძვირი დასჯდომოდეს.

კახიმეჟ ნოვაკი 1897 წელს დაიბადა, ქალაქ სტრიიში. მოგზაურობით ბავშვობიდანვე დააუადლა. პირველ საზღვარგარეთულ მოგზაურობაში (ვატიკანში) ჯერ კიდევ 15 წლისა წავიდა. უკვე ამ დროს გახდა ველოსიპედი მისი ყველაზე საყვარელი ტრანსპორტი. ვატიკანში გამგზავრებამდე მთელი პოლონეთი სწორედ ველოსიპედით შემოიარა. მოგზაურობა მაშინაც არ შეუწყვეტია, როცა 1922 წელს მარია გორციკზე დაქორწინდა და ორი შვილიც ეყოლა. როგორც კორესპონდენტმა, მან მოიარა უნგრეთი, რუმინეთი, თურქეთი. მოგზაურობისას იმ დროს ომის ხანძარში გახვეულ ჩრდილოეთ აფრიკამდეც ჩააღწია. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, მთელი აფრიკა შემოეარა ველოსიპედით. თუმცა ამ გადაწყვეტილების შესრულება წლების შემდეგ, 1931 წლის 4 ნოემბერს დაიწყო.


მოგზაურობის მარშრუტი ნოვაკმა თავად შეადგინა, თუმცა ხშირად უხდებოდა მასში კორექტირების შეტანა: მღელვარე ჩრდილოეთ აფრიკაში კირენაიკის (დღევანდელი ლიბიის ნაწილი) იტალიელმა მმართველებმა მოგზაურობის გაგრძელების ნება არ მისცეს და უკან, ეგვიპტეში დაბრუნება უბრძანეს. აფრიკაში ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ თითქმის სწორი ხაზით წავიდა და ნილოსის გაყოლებითა და აფრიკის დიდი ტბების გავლით, რამდენიმე ათასი კილომეტრით დაშორებულ კეთილი იმედის კონცხს მიაღწია. აქ 1934 წლის აპრილში ჩააღწია 2,5-წლიანი მოგზაურობის შემდეგ. მაგრამ ეს მისი გზის ნახევარიც არ ყოფილა.

მთელ გზაზე სიღარიბე სდევნიდა. იქნებ ამიტომ ესმოდა ასე კარგად ადგილობრივი ტომების ბრძოლისა გადარჩენისა და არსებობისთვის. ცდილობდა, რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო მათთან. ჩავიდა ტუარეგებთან, ეგვიპტელ ფელაჰებთან, პიგმეებთან, ტრანსილვანიის ბურებთან, ბუშმენებთან და ბევრ სხვა ხალხთან. სწავლობდა მათ წეს-ჩვეულებებს, დიალექტს, ცხოვრების წესს და ცდილობდა, ნანახი თავისი ფოტოაპარატით, Contax-ით

გადაეღო. გადაღებისთვის მასალებს ცოლი უგზავნიდა. როგორც შეეძლო ერიდებოდა ევროპელებს, მეტად გაბედული, კრიტიკული იყო მათდამი. არ მოსწონდა მათი ქედმაღლობა, იმპერიული განწყობა, რაც კარგად შეისწავლა აფრიკაში ყოფნისას. კოლონიალიზმის მოწინააღმდეგე იყო. სხვათა შორის, მაშინ კოლონიური ამბიციები პოლონეთსაც ჰქონდა, მაშინ ქვეყანაში ზღვისა და კოლონიების სამინისტროც კი მოქმედებდა. იქნებ სწორედ ამ მიზეზითაც, სამშობლოდან თუნდაც მცირე ფინანსურ დახმარებასაც არ უგზავნიდნენ. ის ზომ თავისი გამოსვლებით ამ ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

ალპინისტები ამბობენ, რომ მთაზე ასვლა მხოლოდ საქმის ნახევარია, თანაც, შედარებით ადვილი. ნოვაკისთვისაც მოგზაურობის დასრულება და პოზნანში (პოლონეთი) ჩასვლა გაცილებით ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე მოგზაურობისას აფრიკის კონტინენტის სამხრეთი კიდის მიღწევა. ჯერ იყო და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში საბოლოოდ გამოვიდა მწყობრიდან მისი ველოსიპედი. მდგომარეობიდან სხვა პოლონელმა გამოიყვანა, რომელმაც თავისი ცხენი დაუთმო. შემდგომ გზას ხან ნათხოვარი ველოსიპედით განაგრძობდა, ხან ფეხით, ასობით კილომეტრზე, ხან

კახიმეჟ ნოვაკი ლიბიის უდაბნოში





მარშრუტის
ნაწილი
ნოვაკმა
ნავით
გაიარა,
რომელსაც
მეუღლის
სახელი
„მარია“
უწოდა

ნავით, რომელსაც ცოლის სახელი „მარია“ უწოდა და რომელიც აღიდგებულმა მდინარემ მოსტაცა, ხანაც ერთკუზიანი აქლემით (ხუთი თვის განმავლობაში, საჭარის გადასასერად). ბოლო 1000 კილომეტრი კვლავ ველოსიპედით დაფარა.

40-ათასკილომეტრიანი მარშრუტი კახიმეჟ ნოვაკმა, როგორც იქნა, 1936 წლის ნოემბერში დაასრულა, ბოლო ფულით სამოსი შეიძინა და მარსელამდე ბილეთი აიღო. აქედან სამშობლომდე შორი აღარ იყო, თუმცა, როგორც ჩანს, თავგადასავლები ჯერაც არ დასრულებულიყო. ოჯახი და ახლობლები პოზნანში ელოდნენ. მას შეეძლო, მარსელში

ბრიტანული გემის პირველი კლასის კაიუტით ჩასულიყო და ქრისტეშობას უკვე შინ შეხვედროდა, მაგრამ არ მოინდომა. მოგვიანებით გამოტყდა, რომ შეშინდა და ცარიელი ჯიბისა და შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, ველოსიპედზე დაჯდა და გაიქცა. ელვანტურ მგზავრებსა და ჯაზბენდთან ერთად მოგზაურობის სურვილი არ ჰქონდა. ის უკეთესად გრძნობდა თავს კარავში, ბუნებასა და უცხო ადამიანებთან ერთად.

წერილებითა და ფოტოებით, რომლებსაც ნოვაკი აფრიკიდან აგზავნიდა, ინტერესდებოდა როგორც პოლონური, ისე სხვა ქვეყნების პრესა. მეუღლის მცდელობითა და ძალისხმე-

მიღუკების ტომთან. სამხრეთი სუდან



ვით, ისინი არაერთ ჟურნალ-გაზეთში იბეჭდებოდა. ნოვაკი თავის წერილებში აღწერდა ბუნებას, პირად განცდებსა და შთაბეჭდილებებს, კონტინენტის მკვიდრთა მატერიალურ არსებობასა და სულიერ ცხოვრებას, ამასთან ერთად, კოლონიალიზსა და გლობალიზმზე პირად მოსაზრებებსაც გამოთქვამდა. მას არც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დავიწყებია აფრიკა და აფრიკელები — ხალხს ხვდებოდა და მოგზაურობის შესახებ მოუთხრობდა. ახალი მოგზაურობის მარშრუტსაც გვემავდა, ამჯერად ინდოეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

მაგრამ თავი იჩინა აფრიკაში შექენილმა მალარიამ, რომელიც პოლონეთის საავადმყოფოში კიდევ უფრო გაურთულდა და ფილტვების ანთებაში გადაეზარდა. ეს დასუსტებული ორგანიზმისთვის მეტისმეტი აღმოჩნდა. აფრიკიდან დაბრუნების შემდეგ ერთი წელიწადიც არ იყო გასული, რომ 1937 წლის 13 ოქტომბერს კაზიმეჟ ნოვაკი 40 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის პოზნანის სასაფლაოზე მოგზაურობისას ნაცვამ ტანსაცმელში დაკრძალეს, მკერდზე კი მუზარადი დაადეს.

დღეს კაზიმეჟ ნოვაკი კარგადაა ცნობილი თავის სამშობლოშიც და მსოფლიოშიც. აფრიკიდან გამოგზავნილი მისი წერილები ლუკაშ ვერბიციკიმ შეკრიბა და სათაურიით: „ფეხითა და



მთებში, გამცილებელთან ერთად

ველოსიპედით აფრიკის გარშემო“ — წიგნად დასტამბა, რომელიც მრავალგზის გამოიცა.

ქალაქი სტრიი ნოვაკის დაბადებისას ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შედიოდა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პოლონეთს გადაეცა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკრაინის შემადგენლობაში (ლვოვის ოლქში) აღმოჩნდა. 2014 წლის 15 ივნისს სტრიიში გაიმართა კაზიმეჟ ნოვაკის სახელობის უკრაინულ-პოლონური ველოგარბენი, რომლის მონაწილეებმაც მოგზაურის ხსოვნას პატივი მიაგეს.

ამგროსი გრიშიაკაშვილი

ნოვაკი ბავშვებში. ბელგის კონგო



ვლად III ცაქეუის გატყეხილი სახელი

რატომ იცნობს
რუმინეთის
ეროვნულ ბმირს
დღეს მსოფლიო
დრეკულად

მსოფლიო ისტორიაში ალბათ მწელად მოიძებნება მეორე მმართველი, რომლის ხასიათშიც ასე იქნება თავმოყრილი ბოროტმოქმედის, დესპოტის, გაუწონასწორებელი და სასტიკი ადამიანის თვისებები, როგორც, თანამედროვეთა თუ მომდევნო თაობის ისტორიკოსთა შეფასებით, ვლახეთის (რუმინეთის) გოსპოდარი, ვლად III ცეპეში გამოირჩეოდა. საზოგადოებაში ვლად ცეპეში დღეს ზღვარგადასულ სიმკაცრესა და სისხლისმოყვარეობასთან ასოცირდება. თუმცა ამჯერად გვსურს, წარმოაჩინოთ გარემოებები, რომელთაც თანადროულ ეპოქაშივე და მოგვიანებითაც განაპირობეს ვალბი ცნობების გავრცელება ვლახეთის გოსპოდარის შესახებ. ჩვენი მიზანია ვლად ცეპეშის სახელის ერთგვარი რეაბილიტაცია და მისი განსხვავებული, ნაკლებად ცნობილი პორტრეტის წარმოჩენა. მკითხველის წინაშე გამოვყავს ვლადი — როგორც რუმინეთის ერთგული გმირი, ოსმალთა წინააღმდეგ სარწმუნოებისა და სამშობლოს დასაცავად მებრძოლი, როგორც თანამედროვე რუმინეთის ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი ისტორიული ფიგურა...



ვლად III ცეპეშის ყველაზე ცნობილი პორტრეტი

ვლახეთის გოსპოდარი ვლად III ცეპეში (ტეპეს — რუმინული სიტყვიდან ტეპეა — ძელზე გამსმელი), მიზეზთა გამო, ისტორიულ-ფანტასტიკურ ფიგურად გადაიქცა. უკვე თანადროულ ეპოქაშივე შეიქმნა მის გარშემო არაჯანსაღი ატმოსფერო და გაყალბებული ცნობებიც გავრცელდა. გოსპოდარის დესპოტიზმისა და სისასტიკის ამბავი XV საუკუნის ვეროპულ ლიტერატურაში აქტიურად მკვიდრდებოდა. უკლებლივ ყველა თხზულებასა თუ პამფლეტში ხაზგასმული იყო ვლად III-ის არაადამიანური სისასტიკე, ლტოლვა სისხლისა და წამებისადმი. განსაკუთრებით შთაბეჭდავი იყო გერმანულ წიგნებში შექმნილი გრაფიურები, სადაც ვლადი ტირანად გამოიყვანდა. გოსპოდარის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული წიგნების უკიდურესი

ტენდენციურობა დღეს რუმინელ ისტორიკოსთა ეჭვს აღარ იწვევს. თხზულებათა უმრავლესობის ავტორებს (ან მათ დამკვეთებს) საკმარისზე მეტი მიზეზი ჰქონდათ გოსპოდარის სახელის დასაკინებლად.

ვლად ცეპეშზე შექმნილი ყველა ლეგენდისა თუ ფსევდოფოლკლორული თქმულების საფუძველი ანონიმი ავტორის მიერ 1462 წელს გამოცემული დოკუმენტი გახდა. ამ წყაროში წარმოჩინდა პირველად ვლახეთის გოსპოდარი სისხლისმოყვარე და უსასტიკეს მმართველად. დოკუმენტში აღწერილია ვლად ცეპეშის ბრძანებით აღსრულებული საზარელი წამებები.

რუმინელ მეცნიერთათვის ამკარად გამოიკვეთა ერთი გარემოება: არსებობს საკმარისზე მეტი ფაქტი, რომელთა გათვალის-

წინებითაც შესაძლებელია ეკვი შევიტანოთ 1462 წლის დოკუმენტში გადმოცემული ინფორმაციის სისწორეში. უფრო სიღრმისეული კვლევებით კი გაირკვა, რომ ეს წყარო მთლიანად ნაყალბეა და იქ არარეალური ამბებია მოთხრობილი. მეტი ნათელის მოსაფენად აუცილებელია მცირე ისტორიული წილსვლა იმის გასარკვევად, ვისი დაკვეთით და რა ვითარებაში შეიქმნა იგი.

XIV საუკუნეში, მცირე აზიაში, ოსმალეთის სახელმწიფოს ძლიერებას ეყრებოდა საფუძველი. ოსმალთა პირველმა სულთნებმა აქტიური ექსპანსიონისტური პოლიტიკა დაიწყეს. ვეგოსის ზღვის სანაპიროებზე გამაგრებულ ოსმალეთს გზა ბალკანეთის ნახევარკუნძულისკენ გაეხსნა. ოსმალეები სოლოვიტ შეიჭრნენ ბულგარეთის, სერბეთის, ვლახეთისა და უნგრეთის ტერიტორიებზე.

XIV-XV საუკუნეები ბალკანეთის ქვეყნების ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდია. შინააშლილობას, ფეოდალთა და ასევე სახელმწიფოთა შორის ომებს დასასრული არ უჩანდა. ფეოდალები თავიანთი ამბიციებისა და ვიწრო ინტერესების გამო ოსმალებს სთხოვდნენ მოკავშირეობას. ასეთმა პოლიტიკამ, საბოლოო ჯამში, რეგიონს დამღუპველი შედეგები მოუტანა. 1439-1444 წლებში რომის პაპის მოწოდებით დაწყებულმა ვეროის ქვეყნების ანტიოსმალურმა კოალიციამ, ე.წ. ახალმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ, მხოლოდ ეფემერულად შეძლო ბალკანეთში ოსმალთა პოზიციების შესუსტება. თუმცა 1444 წელს ვარნასთან ბრძოლაში ვეროის კოალიციური ძალები დამარცხდნენ. ბალკანეთში ოსმალთა ექსპანსიას ვეღარავინ შეაჩერებდა. საფრთხე შეექმნა ასევე ვლახეთსაც, რომლის თავადებმაც იძულებული გახდნენ, 1415 წელს სულთნის სიუზერენიტეტი ედიარებინათ.

ამ რთულ დროს მოუწია ვლად III ცეპეუს ვლახეთის გოსპოდარობამ. მისი სიყმაწვილის წლებში, ვლახეთის ისტორიის ურთულეს პერიოდში, შინააშლილობით დასუსტებული ქვეყანა ოსმალებთან ომის წინა ხაზზე აღმოჩნდა. სტაბილური ხელისუფლება ვლახეთში არ არსებობდა, გოსპოდარები სწრაფად იცვლებოდნენ. შიდა ქაოსსა და არეულობას ხელს ვლახეთის გოსპოდართა არჩევის სპეციფიკური სისტემაც უწყობდა. ყოველი ახალი გოსპოდარის არჩევა თავადების ინტრიგებსა და დაპირისპირებებს უკავშირდებოდა. ხშირი

იყო კანდიდატთა შორის მტრობა, შუღლი და ტერორი. ასეთ არაჯანსაღ ატმოსფეროში დაიკავა 25 წლის ვლადმა გოსპოდარის ტახტი. მოსალოდნელი იყო, ისიც მალე შეერთებოდა უსახელო ყოფილ გოსპოდართა სიას. მაგრამ ვლად III ცეპეუს ვლახეთის ყველაზე ცნობილი მმართველი გახდა.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ვლად ცეპეუსი ურჩი თავადების დამორჩილებასა და ქვეყნის ცენტრალიზებას შეუდგა. აგრეთვე, მან თავისუფალი გლეხები და მოქალაქეები შეაიარაღა შიდა და გარე საფრთხეებთან საბრძოლველად.

ცეპეუსის გოსპოდარობისას ვლახეთის საგარეო-პოლიტიკური სიტუაცია უკიდურესად მძიმე იყო. სულთან მეჰმედ II-ის, დამპყრობლად წოდებულის პერიოდში, ოსმალებმა ბალკანეთში პოზიციები კიდევ უფრო განიმტკიცეს. 1453 წელს დაეცა კონსტანტინეპოლი. ბულგარეთის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთის სიუზერენიტეტი ცნო მოლდავეთმაც (1456 წელს). 1459 წელს სულთნის ჯარებმა დაიპყრეს მთელი სერბეთი, 1458-1463 წლებში კი ხელთ იგდეს ბიზანტიისა და ვენეციის ბალკანური სამფლობელოები. 1460 წელს ოსმალებმა დაიკავეს პელოპონესის ნახევარკუნძული, 1463 წელს კი ბოსნია. 1467 წელს გარდაიცვალა ალბანელი გიორგი კასტრიოტი (სკანდერბეგი), რომელიც 24 წლის განმავლობაში წარმატებით აკავებდა ოსმალების შემოტევას. ალბანელებმა კი ოსმალთა ზეწოლას 1479 წლამდე გაუძლეს.

მართლმადიდებლური ვლახეთი ნელ-ნელა ემსგავსებოდა ოსმალური ტერიტორიებით

ქალაქი სიგიშოარა, ვლად III-ის დაბადების ადგილი





ბრანის ციხესიმაგრე, რომელშიც ხშირად იმყოფებოდა ვლად III. ციხესიმაგრე, ძალიან მიუდგომელი და სტრატეგიული თვალსაზრისით საკმაოდ გამაგრებული იყო

გარშემორტყმულ კუნძულს. ოსმალთა გაბატონება ბალკანეთში დიდ საფრთხეს უქმნიდა იქაური ქვეყნების ეთნიკურ სურათს, რელიგიასა და კულტურას. მაგალითად, სერბეთის სამეფო რიგით პროვინცია-საფაშოდ გადაიქცა, 200 ათასი სერბი მონად გაყიდეს, მათ ნაცვლად კი სერბეთში თურქების ჩამოსახლება დაიწყო.

ასეთ ვითარებაში, ბალკანეთში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორი გახდა მცირე ტერიტორიების მქონე ვლახეთი და მისი გოსპოდარი — ვლად III ცეპეში. მისი ამოცანა იყო, შეეჩერებინა ოსმალთა მოძალეობა ბალკანეთში და კონკრეტულად, ვლახეთში. ამ მიზნით ვლად III-მ 1458 წელს ლაშქრობაც კი წამოიწყო ოსმალთა წინააღმდეგ. მისი ერთ-ერთი მიზანი იყო მეზობელი მართლმადიდებელი ბულგარელი გლეხების გათავისუფლება და ვლახეთში გადმოსახლება. ასეთი პოლიტიკა დიდ გაბედულებას მოითხოვდა, ოსმალებთან დიდი ომი გარდაუვალი გახდა. სულთანი მეჰმედ II უკან დახევას არ აპირებდა, თუმცა არც ვლად III ფიქრობდა დამორჩილებას. მეტიც, 1461 წელს მან ხარკის გადახდა შეუწყვიტა ოსმალეთს.

სულთანმა გადაწყვიტა, ურჩი გოსპოდარი ტახტისთვის ჩამოეშორებინა და მის მაგიერ ვლად III-ის უმცროსი ძმა, გამუსლიმებული რადუ ლამაზი აეყვანა. აშკარა ხდებოდა, რომ ვლად III მარტო ვერ აღუდგებოდა ოსმალეთის დიდ არმიას, რომელიც რადუ ლამაზის გოსპოდარად დანიშვნის შემთხვევაში მალევე შეიჭრებოდა ვლახეთში. დახმარებისთვის ვლად III-მ მოკავშირეებს მიმართა. მათ შორის იყო რომის პაპი პიუს II, რომელიც ომისთვის საჭირო თანხის გამოყოფას დაჰპირდა გოსპოდარს, აგრეთვე კათოლიკური უნგრეთის ახალგაზრდა მეფე მათეაშ კორვინი და კათოლიკური ვეროპის სხვა ლიდერები. კორვინი ვლადს თავის უსაყვარლეს და უერთგულეს მეგობარსაც კი უწოდებდა.

თუმცა ძნელბედობისას დასავლეთ საქრისტიანოს მმართველებმა ვლახეთის გოსპოდარს ზურგი აქციეს. მეჰმედ II-ის წინამძღოლობით ვლახეთში შემოჭრილი 100-120-ათასიანი არმიის წინაშე იგი მარტო აღმოჩნდა. კრიტიკულ ვითარებაში ვლად III-მ ძალების სრული მობილიზაცია მოახდინა. ჯარში გამოიძახა ყველა მამაკაცი 12 წლის ასაკიდან, ვისაც

ხელში იარაღის დაჭერა შეეძლო. ცეპემმა პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკას მიმართა. სადაც უნდა გაეფლოთ ოსმალებს, ანადგურებდა და წავადა სასოფლო-სამეურნეო მიწებს, სურსათს. გოსპოდარი ასევე პანიკურ შიშს თესდა მოწინააღმდეგეთა რიგებში, მტერს დაუნდობლად ანადგურებდა და ფსიქოლოგიური უპირატესობის მოსაპოვებლად, ძელზე გასმით სჯიდა ოსმალ ჯარისკაცებს. სხვათა შორის, წამების ეს მეთოდი იმდროინდელ ოსმალეთში გავრცელებული იყო.

1462 წლის ვლახეთ-ოსმალეთის ომში გამაწყვეტი აღმოჩნდა 17 ივნისის ე.წ. ღამის შეტევა. სულთანი ლაშქართან ერთად ვლახეთის დედაქალაქ ტიგროვიშტესთან იდგა. ვლად III-მ მოახერხა და თავის 7 ათას მეთმართან ერთად მტრის ბანაკში შეიჭრა. მისი მთავარი მიზანი სულთნის მოკვლა იყო. ვლახების უეცარმა და მოულოდნელმა ღამის თავდასხმამ დიდი არეულობა გამოიწვია ოსმალთა ბანაკში. სულთანმა უდიდესი დანაკარგებით დაიხია უკან და ვლახეთი დატოვა, ჯარის ნაწილი კი შემდგომი ბრძოლისთვის ვლადის ძმას, რადუ ლამაზს დაუტოვა.

ბრწყინვალე გამარჯვების მიუხედავად, ვლად III-ის წარმატება უშედეგო აღმოჩნდა. მოღალატეებმა არ დააყოვნეს და რადუს შეუერთდა გოსპოდარის ბიძაშვილი, მოლდავეთის თავადი შტეფანი. მოწინააღმდეგეთა ძალების შემჭიდროება დამღუპველი აღმოჩნდა ვლად III-ისთვის. მის ხელთ არსებული რესურსებით იგი ვერ შეძლებდა ორ ფრონტზე ბრძოლას — ოსმალებისა და საკუთარი ნათესავების წინააღმდეგ. ცეპეში იძულებული გახდა, უნგრეთის გამგებლობაში მყოფ მეზობელ ტრანსილვანიაში დაეხია. ვლახეთის გოსპოდარი იმედს არ კარგავდა, რომ მის დასახმარებლად უნგრეთის მეფის, მატიაშ კორვინის ლაშქარი გამოვიდოდა.

ტრანსილვანიაში ვლადს მორიგი დალატი ელოდა, ამჯერად მატიაშ კორვინის მხრიდან. ოსმალებთან ფარული მიმოწერის ბრალდებით, უნგრეთის მეფემ 1462 წლის ნოემბერში გოსპოდარი დაატყვევა და ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, 12 წლით ჩასვა დედაქალაქ ბუდას ციხეში.

...თანდათან ვუახლოვდებით 1462 წლის ნაყალბევი დოკუმენტის შექმნის საკითხს. თუმცა ჯერ საინტერესოა, რატომ მოექცა ასე უნგრეთის მეფე ოსმალთა წინააღმდეგ თავის მოკავშირეს, მით უმეტეს, რომ თავის დროზე



სულთან მეჰმედ II დამპყრობლის ჯარი ვლად III-მ ღამის შეტევით გაანადგურა

გოსპოდარი მატიაშ კორვინს უნგრეთის ტახტის დაკავებაში დაეხმარა. პასუხსა და უტყუარ ცნობებს „უნგრული ქრონიკის“ ავტორი, ანტონიო ბონფინი გვაწვდის. საქმე ის არის, რომ მატიაშ კორვინმა რომის პაპისგან მიიღო ვლად ცეპემისთვის შეპირებული ფინანსური დახმარება ანტიოსმალური ჯვაროსნული ლაშქრობისთვის — 40 ათასი გულდენი. უნგ-

ვლახეთი ვლად III-ის ეპოქაში





სნაგოვის მონასტერში, რუმინული გადმოცემის თანახმად, ბერებმა გოსპოდარის თავმოკეთილი სხეული დაკრძალეს



ვლად III-ის საგარაულო საფლავი მონასტერში ყოველთვის მოვლილია

რეთის მეფე კი ფუფუნების მოყვარული გახლდათ, მოსწონდა, როცა პორტრეტებზე რომის იმპერატორის მსგავსად, დაფნის გვირგვინით გამოსახავდნენ. იგი მფარველობდა მეცნიერებასა და ხელოვნებასაც. მისი მეფობის დროს ძალიან გაიზარდა სამეფო კარის ხარჯები, ამის გამო მათი კორვინი მუდმივად სახსრების დეფიციტს განიცდიდა. მის დროს უნგრეთში გაიზარდა გადასახადები, ხაზინის შესავსებად. კორვინმა ვატიკანის მიერ ჯვა-

როსნული ლაშქრობისთვის გამოყოფილი 40 ათასი გულდენიც მიითვისა.

საკუთარი დანაშაულის გადასაფარად, ჩამოლილ ჯვაროსნულ ანტიოსმალურ ლაშქრობაში მან ვლად III ცეპეში დაადანაშაულა. თუმცა ეს ბრალდება აბსურდულად ჩანდა. მთელ დასავლეთ ევროპაში ვლად ცეპემს იცნობდნენ, როგორც ოსმალთა წინააღმდეგ ყველაზე შეუპოვარ მებრძოლს. ცეპეში და ვლახეთი იყო ერთგვარი ბოლო ზღუდე, რომლის გადალახვის შემდეგ ოსმალეთს გზა უნგრეთისა და ცენტრალური ევროპისკენ ეხსნებოდა. კარგად იყო ცნობილი გოსპოდარის ანტიოსმალური 1462 წლის კამპანიაც, სადაც იგი მტრის დიდ სამხედრო ძალებს არ შეუშინდა და კონსტანტინეპოლის დამპყრობელი სულთანი მეჰმედ II უკუაქცია. აქედან გამომდინარე, ევროპაში და მათ შორის ვატიკანში, მათი კორვინის ბრალდება ძნელად დასაჯერებელი აღმოჩნდა. რომის პაპმა პიუს II-მ საკუთარი წარმომადგენელი — ნიკოლას მორდუსეს გაგზავნა ბუდაში, საქმის ვითარებაში გასარკვევად.

უნგრეთის მეფემ უკან არ დაიხია და სიცრუეს სიცრუე დაუმატა. მან უამბო პაპის წარმომადგენელს თითქოსდა გოსპოდარის მიერ ჩადენილ სისასტიკეთა შესახებ, ტრანსილვანიის კათოლიკური საქსონიური მოსახლეობის წინააღმდეგ. ამის დასამტკიცებლად ნიკოლას მორდუსეს მან გოსპოდარის ბრალეულობის დამამტკიცებელი დოკუმენტი წარუდგინა, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი ვლად III ცეპემის სისასტიკე, წამებები, სისხლისმოყვარეობა, დესპოტიზმი და ტერორი ტრანსილვანიის მოსახლეობისადმი. ეს კი სწორედ 1462 წლის ნაყალბევი დოკუმენტი გახლდათ, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით. ის გახდა წყარო ყველა სხვა მოგვიანებით შექმნილი ბიოგრაფიისა ვლახეთის გოსპოდარის შესახებ. სწორედ ამ დოკუმენტში იყო მოთხრობილი ცეპემის არაადამიანურ სისასტიკეზე მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, ცოცხლად დამწვარ ღარიბებზე, ძელზე გასმულ ბერებზე და უამრავ სხვა ბოროტმოქმედებაზე. ნაყალბევი დოკუმენტის ანონიმი ავტორი ცდილობდა, პარალელი გაველო ვლახეთის გოსპოდარსა და ანტიკური ეპოქის ტირანებს შორის. მთავარი აქცენტი მთხრობელს გადაჰქონდა გოსპოდარის ლტოლვაზე, ძელზე გაესვა ადამიანები. ამ „პირველწყაროში“ უამრავი შეუსაბამობაა. მაგალითად,

გოსპოდარის მიერ ჩადენილი სისასტიკის ადგილად ხშირად სახელდება არარსებული გეოგრაფიული ადგილები.

რა შეიძლება გამხდარიყო ამ დოკუმენტში გადმოცემული ცნობების საფუძველი? ცნობილია, რომ გოსპოდარი მართლაც აწყოდა სადამსჯელო რეიდებს ტრანსილვანიაში, თუმცა არა მშვიდობიანი მოსახლეობის დასაწიოკებლად, არამედ მოღალატე თავადების დასასჯელად. ეს უკანასკნელნი ტრანსილვანიის ტყიან მთებში — კარპატებში აფარებდნენ თავს და მუდმივ ხიფათს უქმნიდნენ ცენტრალური ხელისუფლების სიმყარეს. ამ ბრძოლებმა გვერდი აუარა ვლახეთისა და ტრანსილვანიის საქსონიურ ქალაქებს. შემონახულია იმდროინდელი ვლად III-ის საქმიანი მიმოწერა, საიდანაც ჩანს, რომ გოსპოდარს კომერციული კონტაქტები ჰქონდა ტრანსილვანიის საქსონიურ დასახლებებთან — სიბიუსა და ბრაშოვთან.

არ არსებობს 1462 წლის ნაყალბევ დოკუმენტზე ადრინდელი არც ერთი წყარო, სადაც შემონახულია ცნობები გოსპოდარის მიერ ტრანსილვანიაში 1450-იან წლებში დახოცილი მშვიდობიანი მოსახლეობის შესახებ.

ამიტომაც იყო, რომ ვლახეთის გოსპოდარის სადამსჯელო რეიდები გამცემი რენეგატის თავლების წინააღმდეგ საეხსიანო ბუნებრივ მოვლენად აღიქმებოდა ვეროპულ სახელმწიფოებში და არაფიციური საზოგადოებრივი რეზონანსი ამას არ გამოუწვევია. ისიც ყურადსაღებია, რომ გოსპოდარი ისტორიულად ვლახეთის კუთვნილ, თუმცა იმჟამად უკვე ტრანსილვანიის საზღვრებში მოქცეულ რეგიონებში აწყოდა რეიდებს. ამდენად, ეს იყო შიდა პოლიტიკური პროცესი, მიმართული ვლახეთის კონსოლიდაციისა და ცენტრალიზაციისკენ. სხვაგვარად ოსმალეთისთვის ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოხერხდებოდა და როგორც გამოჩნდა, ვერც მოხერხდა ვლახურ-მოლდავეური სეპარატისტული ძალების გამო.

მატიამ კორვინის გეგმამ ყოველმხრივ მიაღწია მიზანს. მისი წარდგენილი დოკუმენტი და ახსნა-განმარტება რომის პაპისთვის საკმარისი აღმოჩნდა. დამატებითი ინტრიგა ის იყო, რომ პიუს II დახლოებული იყო გერმანიის იმპერატორ ფრიდრიჰ III-სთან. თანაუგრძობდა რა თითქოსდა ვლად III-ის მიერ გაწამებულ ტრანსილვანიის გერმანულ მოსახლეობას, პიუს II აღარ ჩაერია დატყვევებ-



40 ათასი გულდენის „მოსატყუბად“ უნგრეთის მეფე მათიამ კორვინმა სამუდამოდ გაუტყუა სახელი „უსაყვარლეს და უერთოულეს მეგობარ“ ვლადს, რომელიც ტახტის დაკავებაშიც კი დაეხმარა

ბული გოსპოდარის საქმეში, მიუხედავად მისი დამსახურებებისა ანტიოსმალურ კამპანიაში.

წარმატების გასამყარებლად, უნგრეთის მეფემ გადაწყვიტა, დაემძიმებინა გოსპოდარის რეპუტაცია, მოეხდინა მისი ყოველმხრივი დისკრედიტაცია. მეფემ ჩვეულ ხერხს მიმართა და ფაბრიკაციის გზით ნაყალბევი წყაროების გაგრცელებას შეუწყო ხელი. მიხედავად ბეჰაიმის პოემა გოსპოდარის შესახებ, გერმანული გრაფიურები, დიდი ტირაჟით, ბროშურის ტიპის გამოცემებში დაბეჭდილი თხზულებები — თითოეული მათგანი სხვადასხვა ლიტერატურულ ჟანრში იმეორებდა 1462 წლის ნაყალბევ დოკუმენტში დაცულ ინფორმაციასა და სულისკვეთებას.

ვლად III-ის ტყვეობის პერიოდში ვლახეთში გოსპოდარის ტახტი მის ძმას, რადუ ლამაზს ეკავა. ადვილი მისახვედრია, რომ ამ დროს ვლახეთი ოსმალეთს მთლიანად დაემორჩილა. ამან საკმაოდ განამტკიცა ოსმალეთის პოზიციები კათოლიკური ვეროპის მისადგომებთან. ახალი რომის პაპის, სიქსტ IV-ის ჩრუვად დიდწილად განაპირობა ტყვეობაში მყოფი ვლად III-ის შემდგომი ბედი.

დასავლეთში ყველას კარგად ახსოვდა, რომ ვლახეთის ყოფილ გოსპოდარს რეალუ-



1462 წლის ანონიმური დოკუმენტის თანახმად, ვლად III-ეს სიკვდილით დასჯის ადგილას საუზმობა უყვარდა (XV დასასრულის გერმანული გრაფიურა)

რად და საქმით შეეძლო ოსმალური საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა. გადაწყდა, ახალ ჯვაროსნული ლაშქრობას ვლად III ჩასდგომოდა სათავეში. ციხიდან გათავისუფლების პირობების თანახმად, ვლად III ვალდებული იყო, ფორმალურად მიეღო კათოლიციზმი და ცოლად მეფე მათეაშის ბიძაშვილი შეერთო.

გათავისუფლებიდან ორი წლის შემდეგ, 1476 წლის ზაფხულში, ვლად III სათავეში ჩაუდგა უნგრეთის არმიას, რომელსაც ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ვლახეთი უნდა გაეთავისუფლებინა. დაცულია ძალიან საინტერესო დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ გზად ვლახეთისკენ ვლად III-მ გაიარა ტრანსილვანია, სადაც მას დიდი სიხარულით შეხვდა საქსონიური ქალაქ ბრამშოვის მოსახლეობა და ეს მაშინ, როცა ნაყალბევი დოკუმენტის მიხედვით, რამდენიმე წლის წინ გოსპოდარი აქ და ქალაქ სიბიუში „სისხლის გუბეებს აყენებდა...“

ვლახეთში შეჭრილმა ვლად III-მ შეძლო ოსმალების განდევნა ქვეყნიდან და გოსპოდარობაც დაბრუნდა. თუმცა მისი არყოფნისას მოძლიერებულმა სეპარატისტებმა მის წინააღმდეგ ახალი ინტრიგების ხლართვა

დაიწყეს. იმავე 1476 წლის დეკემბერში ვლად III გარდაიცვალა. ეს ამბავი საიდუმლოებით არის მოცული. ვერსია რამდენიმეა, თუმცა ყველა მათგანიდან ერთი და იგივე დასკვნა გამომდინარეობს — გოსპოდარი მოღალატეთა შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ადვილი მისახვედრია, რომ ამ ყველაფერში დიდი იყო ოსმალეთის დანტერესებაც. არც ის არის შემთხვევითი, რომ ვლად III-ის თავი საჩუქრად სულთანს გადასცეს, რომელმაც იგი სტამბულის ერთ-ერთ მოედანზე გამოატანინა. რუმინულ ფოლკლორში დაცულია ცნობები, რომ თავმოკვეთილი გოსპოდარის ცხედარი მართლმადიდებელმა ბერებმა მოიპოვეს და ბუქარესტის სიახლოვეს მდებარე სნაგოვის მონასტერში დაკრძალეს.

გოსპოდარის ბიოგრაფიების ანალიზი ცხადყოფს, რომ ყოველი მათგანი შედგენილია 1462 წლის ნაყალბევი დოკუმენტის მიხედვით, უნგრეთის მეფის მათეაშ კორვინის მმართველობის პერიოდში. ეს პირველწყარო გამოიყენა რუსეთის ელჩმა უნგრეთში, დიაკონმა ფიოდორ კურიცინმა, როდესაც 1484 წელს დაწერა ნაწარმოები ვლად III-ის სისასტიკეების შესახებ. შემდეგ რუსეთში ამავე სულისკვეთების არაერთი პამფლეტი შეიქმნა.

უნგრეთიდან ნაყალბევი ლიტერატურა ვლად III-ის შესახებ ვლახეთში გაერცვლდა და დროთა განმავლობაში, ფსევდოფოლკლორული თქმულებების სახეც მიიღო. თუმცა რუმინეთის სხვადასხვა რაიონებში ფოლკლორისტთა მიერ მოძიებულ სახალხო გადმოცემებს არავითარი საერთო არ აქვთ ამ თქმულებებთან. რუმინელი ხალხის შემონახული გადმოცემები სრულიად საპირისპირო სურათს გვაძლევს. ისინი მოწმობენ, რომ გოსპოდარი იყო ვლახეთის ერთგული შვილი, სარწმუნოების, ეკლესიისა და გლეხობის დამცველი, სამშობლოს მოღალატეთა წინააღმდეგ მებრძოლი, სამართლიანი და მამაცი პიროვნება.

ოსმალურ წყაროებში საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი, როგორი სისასტიკით უსწორდებოდა გოსპოდარი ვლახეთში შეჭრილ ოსმალ ჯარისკაცებს. აქ გასაკვირი არაფერია. დაპირისპირებული მხარეები ყოველთვის მუქ ფერებში აღწერენ მოწინააღმდეგეთა ქმედებებს ომში, მით უმეტეს, გოსპოდარი მართლაც არ ინდობდა სამშობლოში შეჭრილ მტრებს.

შემორჩენილია ვლად III-ის ხელმოწერი-

ლი დოკუმენტები, საიდანაც ირკვევა, რომ იგი უხვად აჯილდოვდა გლეხებს მიწით, მფარველობდა მონასტრებს, ყურადღებას უთმობდა სიკვდილით დასჯილ დამნაშავეთა ქრისტიანული წესით დაკრძალვას. ცნობილია, რომ გოსპოდარი მფარველობდა ეკლესიას, ხელს უწყობდა ტაძრებისა და მონასტრების მშენებლობას. მანვე დააფუძნა ბუქარესტი — რუმინეთის თანამედროვე დედაქალაქი. ოსმალეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც ჩანს, რამდენად ზრუნავდა იგი საკუთარი ქვეყნის მცხოვრებლების ინტერესთა დაცვაზე.

ამგვარად წარმოგვიდგება ვლად III-ის ახლებური, საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებებისგან სრულიად განსხვავებული სურათი. ის რუმინეთის მოწამეობრივად აღსრულებული ეროვნული გმირია, ბრძენი და მამაცი მმართველი. მშობლიურ ქვეყანაში გოსპოდარი ოსმალ დამპყრობელთა წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სიმბოლოა, ისტორიული უსამართლობის მსხვერპლი, რომელსაც ცილი დასწამეს და სახელიც გაუტყუეს.

ორიოდე სიტყვით ირლანდიელი მწერლის, ბრემ სტოკერის ნაწარმოებზე „დრაკულა“ (1897). ნოველის მთავარი პერსონაჟი-ვაშპირის, გრაფ დრაკულას პროტოტიპად სტოკერმა ვლახეთის გოსპოდარი ვლად III აიღო. ითქვა, რომ მწერალი ისტორიულ რეალობას ძალიან დაშორდა. თანაც სტოკერის დრაკულა არა ვლახეთიდან, არამედ ტრანსილვანიიდან იყო. თხზულებაში ვლად III-ის რეალური ისტორიული ფიგურა გადაქცეულია მითურ, ფანტასტიკურ მონსტრად, ვამპირად და სისხლისმსმელად. ვლად III-ის პიროვნებით ბრემ სტოკერი ებრაული წარმოშობის უნგრელი ადმოსავლეთმცოდნის, პროფესორ არმინიუს ვამბერის მეშვეობით დაინტერესდა. საყურადღებოა, რომ ვამბერი ცნობილი იყო არა მხოლოდ როგორც მეცნიერი, არამედ როგორც უნგრეთის ნაციონალისტური მოძრაობის აქტიური წევრი. ბრემ სტოკერის გამოგონილი ლიტერატურული პერსონაჟი — გრაფი დრაკულა, XX საუკუნეში მასკულტურის პროდუქტად გადაიქცა. დრაკულა საზოგადოების წარმოდგენაში გაიგოდა ვლად III ცეკემთან, რაც, ცხადია, ისტორიულ რეალობას არ შეესაბამებოდა.

მიხაილ ბარნოვი,

ოსუ ისტორიის დოქტორანტი



რუმინეთის ქალაქებში ვლად III-ის მრავალი ძეგლი დგას (ზემოთ: ტიგროვიშტე, ქვემოთ: ბუქარესტი და სივიშოარა)



სნობილი ქაჩთვეიების ფოტოთემატიკა ფოტოკორესპონდენტ ბონდო დაღვაკის მოგონებებიდან



კონსტანტინე გამსახურდია და მსახიობი ლალი ბაღურაშვილი „დიდოსტატის მარჯვენის“ გადაღებისას ბონდო დაღვაკის ფოტო

ფოტოჟურნალისტ ბონდო დაღვაკეს ქართული ხელოვნების მემკვიდრე უწოდა ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. მეტყველი, ადამიანთა სულიერი სამყაროს ამსახველი ფოტოებით, პორტრეტებითა თუ პეიზაჟებით, თავადაც ერის ცოცხალი ისტორიის შემოქმედად იქცა და ამიტომაც არავის გაპკვირვებია, როცა მისი ნაღვაწი ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბმა მთელ ეპოქად შეაფასა.

ბონდო დაღვაკე, სანამ „კომუნისტის“, „საქინფორმისა“ და „რია ნოვოსტის“ ფოტოკორიკის მთავარ რედაქტორად და საქართველოს ახალი ამბების სააგენტოს ფოტოკორესპონდენტად მუშაობდა, პერსონალური გამოფენებით აცნობდა საბჭოეთის რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებს საქართველოს ისტორიასა და ყოფას. ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა მისი სამაგიდო წიგნი-ალბომი „ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები ავტოგრაფებით“.

არაერთი საინტერესო, გამორჩეული და გამორჩენილი ადამიანის ახლობლობა და მეგობრობა არგუნა ბედმა. ამიტომ იყო, რომ

დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით გადაწყვიტა, გამოეცა ფოტომემუარების წიგნი-ალბომი „ისინი, მე და ფოტოგრაფია“. წიგნის რედაქტორობა მე მომანდო. მიაბობდა ქვეყნის ღირსეულ შვილებზე, ქართული ხელოვნების, მეცნიერების, მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლებზე. მის მონათხრობს ნარკვევებად და ჩანახატებად ვაქცევდი და ვუკითხავდი. თანდათან ვრწმუნდები, რომ ტყუილად არ მიცხოვრიაო, ამბობდა და მოუთმენლად ელოდა პორტრეტებად, ფოტოებად აკინძული წიგნის გამოცემას. სამწუხაროდ, ვერ მოესწრო იმ წიგნის დაბადებას, რომელშიც უამრავ საინტერესო

ამბავსა და ფოტოს იხილავს მკითხველი. თუ ამ წიგნს გულშემატკივარი გამოუჩნდება, მკითხველი იხილავს უახლესი საქართველოს ღირსეულ ადამიანთა ცხოვრების შთამბეჭდავ მომენტებს, რომელთაც საკუთარ თავზე იწვნიეს ქართული კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მსახურის ტვირთი.

ამჯერად ბონდო დადვადის მოგონებათა ერთ ნაწილს გთავაზობთ.

კონსტანტინე ბატონი

ჩვენი დიდი კლასიკოსი, ბატონი კონსტანტინე გამსახურდია, როგორც ყველა ნიჭიერი ადამიანი, ცხოვრებაში ცოტა უცნაური, თავისებური კაცი გახლდათ. ბუნებრივია, ვერც მასთან მეგობრობით დავიტრაბახებ. არც სხვა ჟურნალისტებს სწყალობდა, არც მათი სტუმრობა უყვარდა და ხიბლადა დიდად, მაგრამ ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, მაინც ხშირად მიხდებოდა მასთან ურთიერთობა. რად ღირს, თუნდაც „დიდოსტატის მარჯვენის“ გადაღების პერიოდის გახსენება, როცა მწერალი თავადვე გამხდარიყო უშუალო მონაწილე ფილმის შექმნისა. არაერთი კადრი დააფიქსირა მაშინ ჩემმა ფოტოობიექტივმა. ერთ მათგანში დიდი მწერალი კოლხური კოშკის შესასვლელთან დგას მაშინ ძალზე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე შესანიშნავ მსახიობებთან — ოთარ მეღვინეთუხუცესთან, თენგიზ არჩვაძესა და ლალი ბადურაშვილთან ერთად.

გასაოცარი მეუღლე ჰყავდა ბატონ კონსტანტინეს. ულამაზესი, უკეთილშობილესი მირანდა ფალავანდიშვილი, სტუმართმოყვარე ქალბატონი, ყოველთვის წუხდა, როდესაც ბატონ კონსტანტინეს ვერაფრით ვითანხმებდი უცხოელ თუ რუს ჟურნალისტებთან შეხვედრაზე. მწერლის უცნაურობანი და უარის მიზეზები ძირითადად ამოუცნობი გვრჩებოდა, თუმცა, ზოგჯერ ამ ყველაფერს სრულიად საპირისპირო სახე მიუღია.

ამჟამად, ორი შემთხვევის შესახებ გიამბობთ და დასკვნა თავად გააკეთეთ.

პირველი ამბავი იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც საკავშირო „ახალი ამბების სააგენტოს“, დღევანდელი „რია ნოვოსტის“ ფოტოკორესპონდენტად ვმუშაობდი და საქართველოში სტუმრად ჩამოსულ უცხოელ ჟურნალისტებს მათთვის საინტერესო ადამიანებთან შეხვედრაშიც ვეხმარებოდი, გიდობასაც ვუწევდი და ქვეყნის ღირსშე-

სანიშნაობებსაც ვაცნობდი. საამისოდ მოსკოვმა სპეციალურად მანქანაც კი გამომიყო. ამასთანავე, თვეში ორჯერ მაინც ჩავდიოდი საბჭოეთის დედაქალაქში. ერთ-ერთი ასეთი საქმიანი ვიზიტის დროს, ორი ახალგაზრდა რუსი ჟურნალისტი ქალი გავიცანი, რომლებიც დასასვენებლად ბევრჯერ ყოფილან შავ ზღვაზე, მაგრამ სურვილი ჰქონდათ, უფრო ახლოს გავცნოთ საქართველო. შევთანხმდით თბილისში ჩამოსვლის თარიღზე და იმაზეც, რომ სამი დღის განმავლობაში, მათთვის საინტერესო ადამიანებთანაც შევახვედრებდი და მნიშვნელოვან ობიექტებსაც დავათვალიერებინებდი თბილისსა და მის შემოგარენში.

დათქმულ დროს, ჩამობრძანებულ სტუმრებს ყვავილებით დავხვდი ვაგზალზე და იმ დროისთვის პრესტიჟულ სასტუმრო „საქართველოში“ განვათავსე. რესტორანში გამართული სადილის შემდეგ, გადავწყვიტეთ, მეორე დილიდან შევედგომოდით „მოგზაურობას“. სრულიად გაუთვალისწინებელი მიზეზით კი ყველანაირი გეგმა შეიცვალა:

დილით, ჩემ მისვლამდე, სასტუმრო „საქართველოს“ პირველ სართულზე განთავსებულ სილამაზის სალონში ჩასულან გოგონები. ცოტა ხნის შემდეგ ჩვეული მედიდურობით, მისთვის დამახასიათებელი სიარულის მანერით სალონში შემობრძანებულა ჩოხაში გამოწყობილი კონსტანტინე გამსახურდია. ახალუხზე, ვეროპულ ყაიდაზე დამაგრებული ბაფთაც ეუცნაურათ თურმე რუს ჟურნალისტებს, ქართული ჩოხაც და ძალუღალად, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ფრჩხილე-

ბონდო დადვადეს პატრიარქმა ქართული ხელოვნების მემკვიდრე უწოდა





კონსტანტინე გამსახურდია და ბენდო დაღვაძე

ბის მოწესრიგებით გართულ დიდ მწერალს, ფოტოების მეშვეობით უცნაობა.

როდესაც მემანიაკიურეს საქმე დაუსრულებია, თითები კმაყოფილებით შეუთვალეობა მწერალს, მერე თვალი სალონში მოუტარებია და შარველებში გამოწყობილი გოგონებიც შეუმჩნევა — მაშინ შარვალს იშვიათად იცვამდნენ ქალები საქართველოში. გალანტუერად მიახლოებია ლამაზმანებს, თავი წარუდგენია და, როდესაც შეუტყვია, რომ მოსკოვიდან სპეციალურად იყვნენ ჩამოსული ჩვენი მხარის გასაცნობად, სურვილი გასჩენია, გიღობა თავად გაეწია. გოგონებს ჩემზე კი უდარდიათ, მაგრამ სად იყო მაშინ მობილური ტელეფონები, რომ შეეტყობინებინათ, ვერც უარი უკადრებიათ დიდი მწერლისთვის, სასტუმროს წინ მის შავ „ვოლგაში“ ჩამსხდარან და მოგზაურობა მეორე იერუსალიმად წოდებული მცხეთიდან დაუწყიათ.

ახლა ფანტაზიას მოუხმე, მკითხველო, და წარმოიდგინე, როგორი გიდი იქნებოდა ჩოხაში გამოწყობილი, ქართულ-ვეროპულ განათლებამიღებული, წინა საუკუნეებიდან გადმოსული ისტორიული პერსონაჟის მსგავ-

სი, „დიდოსტატის მარჯვენისა“ და „დავით აღმაშენებლის“ ავტორი, რამდენ საინტერესო რამეს უამბობდა სტუმრებს ჩვენი წარსულიდან, როგორ მოხიბლავდა მათ ჯვრის, სამთავროსა და სვეტიცხოვლის ისტორიებით, არსაკიძისა და უმშვენიერესი შორენას უიღბლო სიყვარულით, საქართველოს გაერთიანებისთვის მებრძოლი, სიყვარულში დამარცხებული მეფე გიორგის ან მეფე დავით აღმაშენებლის ძლევა მოსილებით, კავკასიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული და თამარის მეფობის დროს ოქროს ხანად წოდებული საქართველოს წარმოსახვით, შორეული კაპადოკიიდან ჩამოსული 15 წლის წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა-გაქრისტიანებისა და ბომონთა ნგრევის, ზადენის, ქოშიგორისა და ბაგინეთის ამბებით. მერე შიომღვიმე, სარკინეთის მთები, გორი, უფლისციხე და ბაკურიანიც მოუნახულებიათ და სინამდვილის, მითებისა და ლეგენდების ქვეყანაში ნანახ-განცდილით აღტაცებული და ერთიანად დამუნჯებული რუსი გოგონები უკან ღამის პირველ საათზე დაუბრუნებია სასტუმროში.

მართალია, ბევრი ღელვა გადავიტანე, წინ და უკან დავბრდი და „დაკარგულ“ სტუმრებს ამაოდ დავეძებდი, ვიდრე ბოლოს და ბოლოს, ქანცაწვეტილი სალონში შევიხედავდი და მათი გაუჩინარების ნამდვილ მიზეზს შევიტყობდი, მაგრამ როდესაც უკარება, „ჟურნალისტობა“ კონსტანტინე ბატონის საქციელის შესახებ შევიტყვე, მართალია, ჯერ ძალიან გაგიკვირვე, მერე მიფხვდი, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ და ისტორიულ უპირატესობებში საკუთარი თვალით და ყურით დაარწმუნა რუსი გოგონები მწერალმა.

ახლა მეორე ამბავი:

ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა, ბატონმა რევაზ ჯაფარიძემ თავის მშობლიურ ონში დაგვაპატიჟა. ძალიან უნდოდა რაჭის სილამაზით მოეხიბლა კონსტანტინე ბატონი. ზვიადი და მისი პირველი მეუღლე, კოკო გამსახურდას დედა, დალი ლოლუაც გვახლდნენ. დაგვხვდა მთელი ონი ფეხზე პარტიულ მუშაკებთან ერთად. გაიშალა უზარმაზარი სუფრა, გაიმართა ლხინი, გაჩაღდა სიმღერა და ცეკვა-თამაში, საღღერძელო საღღერძელოს ცვლიდა. მოილხინა კონსტანტინე ბატონმაც.

მეორე დღესაც დაგვაპატიჟეს რაჭველებმა მოსალხენად, მაგრამ ვერაფრით დაითანხმეს დიდი კონსტანტინე. ღამის ყველა ცალ-ცალ-

კე უჩოქებდა. დალიც ეხვეწა, უხერხულია, ხათრს ნუ გაუტუტებთ მასპინძლებსო. მან კი განაცხადა, — არა, ბატონო, ზომიერებააო საჭირო!.. და მორჩა, აღარაფრით გადათქვა. გულდაწყვეტილი დატოვა მწერალმა ონელები, გულდაწყვეტილები დავრჩით ჩვენც, საყვედურობდა რძალიც. თბილისამდე ხმა არ ამოუღია, გაბუტული ბავშვივით იჯდა მანქანაში კონსტანტინე ბატონი და ვერაფრით გაეგო, რა გვინდოდა, რატომ გვიკვირდა მისი უარი.

ჯარისკაცის მამა სტუმრად ბრძანებითა

50 წელიწადი გასრულდა კინოკლასიკად ქცეული რეზო ჩხეიძისა და სულიკო ჟღენტის „ჯარისკაცის მამის“ გადაღებიდან. უამრავი სინარული და სიყვარული აჩუქა ამ ფილმმა დამდგმელ ჯგუფსა და მთავარი როლის შემსრულებელს, განუმეორებელ სერგო ზაქარიამძეს.

აი, რა მიაძმო ბატონმა ბონდომ:

— „ახალი ამბების სააგენტო“, ცნობილ ქართულ საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრებისა და ყოფის ამსახველ კადრებთან ერთად, ხშირად თემატურ ფოტორეპორტაჟებსაც ითხოვდა. ასე მივიღე ერთხელ შეკვეთა, მომეზადებინა ფოტონარკვევი ჩვენი დროის ბუმბერაზ მსახიობ სერგო ზაქარიამძეზე. ბატონი სერგო ბევრ ფილმსა თუ სპექტაკლში მენახა. აღტაცებული ვიყავი მისი ოიდიპოს მეფით, ფიროსმანით, მეფე ლირით თუ დავით აღმაშენებლით, ბეკინათი, აგაბოთი... შადიმან ბარათაშვილითა და ფოსტალიონი გიორგით. პირადად არ ვიცნობდი, თუმცა ძალიან კი მუამაყებოდა, რომ მასავით მეც ზესტაფონელი ვიყავი.

დავალემა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ბატონი სერგოს როლმა ფილმში „ჯარისკაცის მამა“ (რეჟისორი რევაზ ჩხეიძე, სცენარის ავტორი სულიკო ჟღენტი) მსოფლიო აღიარება მოიპოვა, ხოლო მოსკოვის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალზე მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის სპეციალური პრიზიც დაიმსახურა. მსოფლიო პრესა და კინოკრიტიკა ამ ფილმსა და განსაკვირვებულ ზაქარიამძეზე ალაპარაკდა.

მოკრძალებით დავურეკე ბატონ სერგოს რუსთაველის თეატრში, რომლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელიც იმხანად



მარცხნიდან: თენგიზ არჩვაძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლალი ბაღურაშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი. აონდო დაღვაძის ფოტო

ნად ბრძანდებოდა, და ვუთხარი, რომ მასზე ფოტომოთხრობის მომზადებას ვაპირებდი, რომელშიც აისახებოდა მისი როგორც შემოქმედებითი, ისე ოჯახური ცხოვრება, გარემო და საახლობლო.


ბატონი სერგო დამთანხმდა და მეორე დღიდანვე შეეუდევით საქმეს.

ძალიან თავმდაბალი ადამიანი აღმოჩნდა. გადაღებები გვქონდა სახლში, ქუჩაში, თეატრში. ხშირმა გადაღებებმა, მისმა უშუალობამ და ერთად გატარებულმა დრომ ძალიან დაგვაახლოვა. უხაროდა ისიც, რომ ერთი მიწის შვილები ვიყავით.

ჩემი ნამუშევარიც კარგად შეფასდა, ფოტოები ბევრმა ჟურნალ-გაზეთმა დაბეჭდა. ამის შემდეგ, სადაც უნდა შემხვედროდა, სიყვარულით მომიკითხავდა.

მოსკოვში ერთი შეხვედრის ამბავს კი გამოჩვენებულად ვიხსენებ.

ინგლისიდან მივლინების დასრულების შემდეგ, მოსკოვში, ჩვენს წარმომადგენლობაში (ასე ერქვა მაშინ საელჩოებს) გამოვ-



სერგო
ზაქარაიძე.
ბონდო
დადვადის
ფოტო

ცხადლი. სწორედ იქ შეეხვედი ბატონ სერგოს, აშკარად ძალიან კმაყოფილი და გახარებული ჩანდა.

ერთმანეთი მოვიკითხეთ. მე ჩემი ამბები ვუთხარი, მისი ვიზიტის მიზეზიც ვიკითხე. თურმე ერთი სული აქვს, ვინმეს გაუზიაროს სიხარული. როგორც რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს, „ჯარისკაცის მამის“ პოპულარობა გამოუყენებია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევთან შეხვედრა მოუხერხებია და თეატრთან დაკავშირებული საკითხიც მოუგვარებია.

როგორც დიდ მსახიობს ეკადრებოდა, ისე მხატვრულად მიაბბო ბრეჟნევთან შეხვედრის ამბავი, იფიქრებდი, მორიგ სცენას თამაშობსო. აი, ბატონი სერგოს სიტყვებიც: „შვედი თუ არა კაბინეტში, ერთი კარგად ამხედ-დამხედა უზარმაზარი საბჭოეთის ერთი შეხედვით ცივმა და მკაცრმა ხელმძღვანელმა, ხელი მაგრად ჩამომართვა, სკამზე მიმითითა და გრეჩკოს დაურეკა, ჩემთან შემოდი, ატეც სალდატა მყავს სტუმრადო. ისიც დაუყოვნებლივ გაჩნდა გენერალურ მდივანთან. ერთადვე მოისმინეს ჩემი თხოვნა, მიენიჭებინათ რუსთაველის თეატრისთვის უმაღლესი კატეგორია. ეს ბუნებრივია, ნიშნავდა ყველაფერს, თეატრის რეკონსტრუქციიდან დაწყებული, მსახიობების ხელფასების გაზრდით დამთავრებული...

ბრეჟნევს ეშმაკურად ჩაეღიმა და ლამის მიბრძანა, — აბა, გაიმეორე ჩემს კაბინეტში, ფრონტის ხაზზე წასვლის წინ, რუს ჯარისკაცთან კამათისა და ვაგონზე შეხტომის

სცენა და თხოვნასაც ახლავე შეეისრულებო! დავიძაბე, მოულოდნელად სადღაც გაქრა ჩემი გამოცდილება. კადრები თვალწინ მიტრიალებდნენ, მაგრამ გამბედაობა მღალატობდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა, ან სად და როგორ შევმხტარიყავი ამხელა ქვეყნის პირველი პირის კაბინეტში? არადა, სად იყო ამდენი ყოყმანის დრო, ამაზე ხომ თეატრის ბედი და მსახიობების ხელფასები იყო დამოკიდებული?

„სხვა რა გზაა, უნდა გავრისკო, — გავიფიქრე უცებ. გავიხადე პიჯაკი, მკლავზე გადავიკიდე და, როგორც ფილმშია, ზუსტად ისე გავიარ-გამოვიარე ბრეჟნევის გრძელ კაბინეტში, თან იმავე სიტყვებს წარმოვთქვამ: Я здесь гуляю!.. Вот еще... А потом отсюда погуляю туда! მერე ირგვლივ მიმოვიხედე და წინასწარ შევულებულ, კაბინეტის ბოლოში, კუთხეში მდგარ, მომცრო ზომის მაგიდაზე მკვირცხლად შემოვჯექი.

ბრეჟნევმა და გრეჩკომ ტაში შემოსცხეს. მე სიმწრის ოფლი მოვიწმინდე, არცთუ ისე კორექტული იყო ჩემი მაგიდაზე შესტომა და ვინ იცის, რამდენად მომიწონებდნენ „თავხედობას“, მაგრამ უხედავ, აშკარად გადაურჩი. ბრეჟნევი მხიარულ ხასიათზე დადგა, ღილაკს თითი დააჭირა და შემოსულ თანამშემწეს საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის, ელენა ფურცევას გამოძახება უბრძანა.

რამდენიმე წუთში ფურცევაც გაჩნდა გენერალური მდივნის კაბინეტში და დაიწერა კიდეც იქვე ბრძანება თუ განკარგულება შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრისათვის უმაღლესი კატეგორიის მინიჭების შესახებ.

აი, ასეთი ერთგული, თავდადებული ადამიანი გახლდათ ბატონი სერგო ზაქარაიძე. სახელი აკლდა, თუ რეგალიები ბატონ სერგოს, როგორ გგონიათ, რა უნდოდა, რას ეძიებდა იგი? პირადი ინტერესებისთვის, საკუთარი თავისთვის გარისკა და გაისარჯა? — არა, ბატონებო, თეატრისთვის და იმ მსახიობებისთვის იზრუნა, თავიანთი შემოქმედებით ამ თავგანწირვის ღირსად რომ მიაჩნდა!

მაღლობელი ვარ უფლისა, რომ ჩემი საქმიანობით, ასეთი დიდებული ადამიანების ნაცნობობა, ახლობლობა მომიტანა და ცხოვრება მართლა გამილაპაჯა...

**ფოტოჟურნალისტ ბონდო დადვადის მო-
კონებების მიხედვით მოამზადა
თამარ კაპანაძემ**

week



მატალოლოგიკრაფიული, სპორტული შურნალი, ყოველ შაბათს
შეფენილია ბაზეთ „ლალოს“ ბაზაზა

უინსტონ ჩეჩილი

ურჩხულთან ბრძოლის ქრონიკები

— მუდამ მახსოვდა, რომ ჰერცოგ მალბოროს შთამომავალი ვარ. ამიტომ არ მაპატიებენ იმას, რაც ჩვეულებრივ ადამიანს მიეძევება, — წერდა დიდი ინგლისელი პოლიტიკოსი, სერ უინსტონ ჩეჩილი (1874-1965). მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა არა მარტო ინგლისის, არამედ მსოფლიო ისტორიაშიც.

სერ უინსტონ ჩეჩილი



„დედაჩემი მაღალი საზოგადოების ქალბატონი იყო, მამა პოლიტიკით იყო გატაცებული. ჩემთვის არც ერთს არ ეცალა“, — წერდა ჩეჩილი.

პატარა უინსტონს ძიძა ზრდიდა. ის მისი გულის მესაიდუმლე და უახლოესი მეგობარი გახდა. მეგობრობა გაგრძელდა უინსტონის სენ-ჯორჯის მოსამზადებელ სკოლაში გაგზავნის შემდეგაც.

„სკოლაში ცუდად ვსწავლობდი, დისციპლინასაც ხშირად ვარღვევდი, ჰოდა, მწკეპლავდნენ“, — წერდა ჩეჩილი.

ფვარეველი ძიძა

ძიძა აღზრდილს ხშირად აკითხავდა. როცა ერთხელ უინსტონმა დალილაკებული სხეული უჩვენა, ქალმა განგაში ატეხა. ჯერ სკოლის დირექტორს მიეჭრა და შავი დღე დააყენა, შემდეგ ჩეჩილის დედას ყველაფერი მოახსენა. მშობლებმა უინსტონი სკოლიდან გამოიყვანეს და ბრაიტონის სასწავლებელში მიაბარეს. უინსტონი აქაც მხოლოდ იმ საგნებს სწავლობდა, რომელიც აინტერესებდა. არც კარგი დისციპლინით გამოირჩეოდა.

მალე ჩეჩილი ფილტვების ანთებით გახდა ავად. ძიძა თავს დასტრიალებდა. იმხანად ფილტვების ანთებას ასიდან ერთი თუ გა-

დაურჩებოდა. ძიძამ შვილობილის სიცოცხლე იხსნა. მამა აპირებდა ვაჟის გაგზავნას სახელგანთქმულ იტონის სკოლაში, თუმცა ძიძა კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მან დაარწმუნა, რომ სუსტი ჯანმრთელობის გამო პატარა ჩეჩილის იტონში გაგზავნა არ შეიძლებოდა.

საბოლოოდ ჩეჩილი ჰეროუს ნაკლებპრესტიჟულ სასწავლებელში გაგზავნეს. ძიძა იქაც ხშირად აკითხავდა, ინტერესდებოდა უინსტონის ჯანმრთელობით, სწავლით და ა.შ. ჰეროუშიც მხოლოდ საყვარელ საგნებს სწავლობდა. ისტორიაში უმაღლესი შეფასება ჰქონდა, კარგად დაეუფლა ფარიკაობასაც.

როცა ფარიკაობაში სკოლის ჩემპიონატი გაიმართა, მშობლებმა ჰეროუში ჩასასვლელად ვერ მოიცალეს. შეჯიბრებას მხოლოდ ჩეჩილის ძიძა დაესწრო და ტრიბუნებიდან თავგამოდებითაც ქომაგობდა. როცა ჩეჩილმა ფინალური ბრძოლა მოიგო და ჩემპიონი გახდა, მის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა.

„ძიძამ დამარწმუნა, რომ შემეძლო ყველა საგანში უმაღლესი შეფასება მიმეღო. მეც მეცადინეობას შევუდექი. ის კვლავ ხშირად ჩამოდიოდა, მამოწმებდა, როგორ ვსწავლობდი“, — წერს ჩეჩილი.

უინსტონი იმ 12 მოსწავლეს შორის მოხ-

ვდა, ვინც ჰეროუს სასწავლებლის ყველა გამოსაშვები გამოცდა ჩააბარა. ეს ძალიან ძნელი იყო, რადგანაც სასწავლებელში ასწავლიდნენ: სამხედრო საქმეს, ლათინურს, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ ენებს. აღსაზრდელი უნდა დაუფლებოდა ერთ-ერთ აღმოსავლურ ენას (სპარსულს ან არაბულს); მაღალ დონეზე ასწავლიდნენ საბუნებისმეტყველო საგნებს (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია), აგრეთვე ისტორიას და როგორც ინგლისის, ასევე მსოფლიო ლიტერატურას. უდიდესი ყურადღება ეთმობოდა სპორტს (ფარეკაობა, კრივი). ასეთ ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას უმრავლესობამ ვერ გაუძლო. უინსტონ ჩერჩილმა ეს შეძლო.

„ძიძა მხარში მედგა. ის რომ არა, ალბათ სასწავლებელს ვერ დავამთავრებდი“, — იხსენებდა ჩერჩილი.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უინსტონის მამამ შეიღის სანდჰერსტის პრესტიჟულ სამხედრო სკოლაში გაგზავნა გადაწყვიტა. ჩერჩილი მისაღებ გამოცდებზე ჩაიჭრა. მეორე მცდელობაც მარცხით დამთავრდა. მამამ უინსტონი დატუქსა, უნიჭო ხარო. ძიძა თავის აღსაზრდელს გამოექიშა: „უინსტონი აუცილებლად ჩააბარებს, აი, ნახაეთ!“

მესამე მცდელობა წარმატებული გამოდგა. ჩერჩილი სკოლაში ჩაირიცხა, თუმცა აქაც ცუდად სწავლობდა, რამდენჯერმე გარიცხვის პირასაც იყო. ძიძა ხშირად ნახულობდა. ამან სიმხნევე შემატა და გამოცდები ჩააბარა, დამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო და სკოლაში დატოვეს.

უკანასკნელ კურსზე ჩერჩილს დიდი ტრაგედია დაატყდა — მამა გულის შეტევით გარდაეცვალა. მოულოდნელობისგან ჩერჩილს თავზარი დაეცა. დედა დებრესიაში ჩავარდა, ლოგინიდან არ დგებოდა, თითქმის არაფერს ჭამდა. უინსტონს მხსნელად კვლავ ძიძა მოეკლინა. „მან იმდენს მიაღწია, რომ დედაჩემი წამოდგა, ნელ-ნელა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა, მე კი სწავლა განვაგრძე“, — წერს ჩერჩილი.

გამოსაშვები გამოცდების წინ ძიძას სისხლი ჩაექცა და ლოგინად ჩავარდა. უინსტონი თავს ევლებოდა, არ შორდებოდა. ძიძამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ქაღალდზე დაუწერა: „მე არაფერი მიჭირს! გამოცდებს მიხედე!“

ჩერჩილმა გამოსაშვები გამოცდები ჩააბარა და ძიძასთან გაიქცა, რათა ეხარებინა.

„ვეუთხარი, რომ სანჰერსტის სკოლა დავამთავრე. ძიძას ბედნიერებისგან სახე გაუნათდა და ასე ღიმილით გარდაიცვალა“, — წერს ჩერჩილი.


სამხედრო ჟურნალისტი

სანდჰერსტის სკოლის დამთავრების შემდეგ ჩერჩილს ლეიტენანტის წოდება მიენიჭა. ის დრაგუნთა პოლკში ჩარიცხეს. უინსტონს სამხედრო კარიერა არ ხიბლავდა. აპირებდა, სამხედრო ჟურნალისტი გამხდარიყო, ეს კი ადვილი არ გახლდათ. უინსტონმაც დედას მიმართა. მისის ჩერჩილმა მიუღი გავლენიანი ნაცნობობა გამოიყენა. მალე უინსტონი კუბაში გაგზავნეს სამხედრო ჟურნალისტად, სადაც იმხანად ბრძოლები მიმდინარეობდა. კუბის მოსახლეობა ესპანელ დამპყრობთა წინააღმდეგ აჯანყდა.

„სიგარის მოწვევას კუბაში მივიჩვიე“, — წერდა შემდგომში ჩერჩილი.

უინსტონის სტატიები ბრიტანულ პრესაში ქვეყნდებოდა. ჟურნალისტ ჩერჩილზე

19 წლის უინსტონ ჩერჩილი მისი უდიდებულესობა დედოფლის მე-4 პუსართა პოლკის ფორმით





სამხედრო კორესპონდენტი ინგლის-ბურების ომში

26 წლის მომავალი პრემიერ-მინისტრი ბურების ტყვეთა ბანაკიდან თავის დახსნის შემდეგ (1898 წ.)



ყველა ალაპარაკდა. ზოგი მის მოსაზრებებს ეთანხმებოდა, ზოგი — არა, თუმცა ყველა ერთსულოვანი იყო: ჩერჩილი ნიჭიერია. წარმატება უდავო გახლდათ, თუმცა უინსტონს ეს არ აკმაყოფილებდა. მისი მიზანი წიგნის დაწერა იყო.

ჩერჩილი მონაწილეობდა ინგლისის სამხედრო ექსპედიციებში ინდოეთში, ავღანეთში. მისი სტატიები ლონდონის წამყვან გაზეთებში კვლავ იბეჭდებოდა. რამდენჯერმე წიგნსაც ჩაუჯდა, მაგრამ იგრძნო, რომ საამისოდ ჯერ მზად არ იყო.

ამ დროს სულანში დიდი ამბები დატრიალდა. ერთ-ერთმა ადგილობრივმა შეიხმა თავი მაჰდად (ალაპის მოციქულად) გამოაცხადა და ინგლისელთა წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ეს მოვლენა ისტორიაში მაჰდისტების აჯანყების სახელით შევიდა. ჩერჩილი, როგორც სამხედრო კორესპონდენტი, მას იდეალურად აშუქებდა. ინგლისში დაბრუნების შემდეგ ამ მოვლენას მიუძღვნა პირველი წიგნი „ომი მდინარეზე“, რომელსაც გრანდიოზული წარმატება ხვდა წილად, მრავალ ენაზე ითარგმნა და ბესტსელერად იქცა. რედიარდ კიპლინგმა ჩერჩილს მისწერა: „გულწრფელად გილოცავთ წარმატებას, გირჩევთ რომანის დაწერა სცადოთ. მწერლობის ნიჭი ნამდვილად გაქვთ, თანაც ცხოვრებისეული გამოცდილება არ გაკლიათ! მიხარია, რომ ინგლისურ ლიტერატურას ნიჭიერი მწერალი შეემატა“.

„რამკლავა“ პოლიტიკოსთვის

ლიტერატურული ტრიუმფის შემდეგ ყველა მოელოდა, რომ ჩერჩილი ახალ წიგნს ჩაუჯდებოდა. ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობები ერთიმეორის მიყოლებით სთავაზობდნენ ხელსაყრელ წინადადებებს. უინსტონმა ყველას უარით უპასუხა.

„მადა ჭამაში მოდიხო ნათქვამია. მეც პოლიტიკოსობა და პარლამენტის დეპუტატობა გადავწყვიტე“, — წერს ჩერჩილი.

პარლამენტში უინსტონი კენჭს კონსერვატორთა პარტიის სიით იყრიდა. პირველი მცდელობა მარცხით დამთავრდა. მალე აფრიკაში ახალი ომი გაჩაღდა. ინგლისმა ბურების რესპუბლიკებს, ტრანსვაალსა და ორანჟს შეუტია. ჩერჩილიც, როგორც სამხედრო კორესპონდენტი, აფრიკაში გაემგზავრა:

„მას, როგორც მომავალ პოლიტიკოსს, რეკლამა სჭირდებოდა. ომი კი ამის საშუა-



ჩერჩილი
სიტყვით
გამოდის
სამხედრო
ქარზანაში
პონდერზ
ენდში,
ლონდონის
გარეუბანში
(1916 წ.)

ლებას აძლევდა“, — წერს ამერიკელი ჟურნალისტი და ისტორიკოსი უილიამ შირერი.

აფრიკაში ჩერჩილს უამრავი თავგადასავალი გადახდა. რამდენჯერმე კინადამ ტყვიის წერა გახდა. ერთხელ ბქწვზე გადარჩა, ტყვიამ მხოლოდ ქუდი გადახადა, თუმცა ხიფათი ამით არ დასრულებულა. ჩერჩილი ბურებმა დაატყვევეს. უინსტონმა გაქცევა შეძლო. ბურებმა ის კვლავ შეიპყრეს და ტყვეთა ბანაკში უკრეს თავი. ჩერჩილმა ამჯერადაც შეძლო გაქცევა, მდევარს თავი დააღწია და თავისიანებამდე მივიდა.

„ჩერჩილს როგორც გმირს, ისე შევხვდნენ“, — წერს შირერი.

მალე უინსტონი პარლამენტის დეპუტატად აირჩიეს. იმავე წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნი „სავროლა, ანუ რევოლუცია საურანიაში“. წიგნს კრიტიკა დადებითად შევხდა, თუმცა თავად უინსტონი უკმაყოფილო იყო.

ამის შემდეგ ჩერჩილი მთლიანად პოლიტიკურ მოღვაწეობაზე გადაერთო.

მონსტრის ამოცნობი

უინსტონის პოლიტიკური კარიერა აღმავალი გზით მიდიოდა. ჩერჩილი გახდა შინაგან საქმეთა მინისტრი, კოლონიების საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი.

პირველი მსოფლიო ომის დროს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ანტვერპენის დაცვას, მონაწილეობდა პირველი ტანკების შექმნაში. რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ბოლშევიზმის საფრთხეც ერთ-ერთმა პირველმა დაინახა.

„ეს ჯერ კიდევ 1918 წლის იანვარში მოხდა! მაშინ ბოლშევიკების საფრთხეს ვერაფერ აცნობიერებდა“, — წერს შირერი. ჩერჩილი კი ხმამაღლა აცხადებდა: „რუსეთში გაჩნდა მონსტრი, რომელიც მთელ კაცობრიობას საფრთხეს უქადის“. მან მიაღწია იმას, რომ ანტანტამ ბოლშევიკთა წინააღმდეგ სპეცოპერაცია დაიწყო. ეს იყო ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ის დაზვერვათა ერთობლივი ოპერაცია. მიზანი ბოლშევიკების დამხობა, ბრესტის ზავის გაუქმება და გერმანიასთან ფრონტის აღდგენა იყო.

მცდელობა მარცხით დასრულდა, ბოლშევიკებმა შეთქმულება ამხილეს. ჩერჩილის აქტიურ ანტიბოლშევიკურ საქმიანობას ინგლისის იმჟამინდელი პრემიერი დევიდ ლოიდ-ჯორჯი აღუდგა წინ. მას მიაჩნდა, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისს მშვიდობა სჭირდებოდა. ჩერჩილი კი ამბობდა, ბოლშევიზმის სახით რუსეთში მონსტრი წარმოიქმნა, მომეცით საშუალება, მხეცი აკვანშივე ჩავაზრხო!

ჩერჩილის მეცადინეობით, ინგლისმა აღჭურვა დენიკინის, კოლჩაკისა და ვრანგელის არმიები. თეთრი გენერლების მარცხის შემდეგ ჩერჩილმა მხარი დაუჭირა სიდნეი რეილის, რომელიც დახმარებას მოითხოვდა რუსული სახალხო არმიისთვის.

„რუსული სახალხო არმია ბორის სავინკოვმა შექმნა!“ — წერს შირერი.

1920 წლის მაისში დაიწყო ომი საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის. რუსული სახალხო არმია პოლონელთა მხარეს იბრძოდა. რიგის ზავის დადების შემდეგ სავინკოველები პარტიზანულ ბრძოლებზე გადავიდნენ. მათ გარდა, ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდნენ უკრაინის ეროვნული გმირი სიმონ პეტლიურა, ლეგენდარული ბელორუსი ატამანი სტანისლავ ბულაკ-ბალაზოვიჩი, შუაზიელი ბასმაჩები. ამიერკავკასიის დაპყრობის შემდეგ ანტიბოლშევიკური პარტიზანული ბრძოლები გაჩაღდა აზერბაიჯანში, საქართველოში, სომხეთში.

ჩერჩილი მოითხოვდა, პარტიზანებისთვის მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე ბაზები გამოეყოთ და მათ იარაღით დახმარებოდნენ. „თუკი პარტიზანული ომი გაგრძელდება, ბოლშევიკები დიდხანს ვერ გაძლებენ“, — ამტკიცებდა იგი. არც დევიდ ლოიდ-ჯორჯმა, არც პარლამენტმა მისი მოსაზრება არ გაიზიარეს. ინგლისმა პარტიზანებს მხარი არ დაუჭირა.


— ჩერჩილის ოცნება, ბოლშევიკური მონსტრი აკვანშივე ჩაქრჩო, განუხორციელებელი დარჩა, — წერს შირერი.

წითელი ურჩხულის მოკავშირე

ბოლშევიკური რეჟიმი გადარჩა, რასაც ჩერჩილი პირად მარცხად მიიჩნევდა. მალე უინსტონი თავდაცვის მინისტრობას ჩამოაშორეს და კოლონიების საქმეთა მინისტრობა ჩააბარეს. 1924 წელს ჩერჩილი ბრიტანეთის სამეფოს მთავარი ხაზინადარი გახდა, მაგრამ ფინანსური საქმეები მას არ აინტერესებდა და მალე თანამდებობა დატოვა. 1929 წლიდან უთანხმოება დაიწყო ჩერჩილსა და ინგლისის კონსერვატორული პარტიის ხელმძღვანელობას შორის. ნევილ ჩემბერლენმა, რომელიც ბრიტანეთის პრემიერი გახდა, უინსტონი მთავრობის შემადგენლობაში არ შეიყვანა.

ჩერჩილი მეორე პლანზე გადავიდა, კონსერვატორების ხელმძღვანელობა მას არ აღიარებდა, ლეიბორისტებს თავისიანად არ მიაჩ-

ჩერჩილი ავიადაბოშებით დანგრეულ კონტრის საკათედრო ტაძარში (1941 წ.)



ნდათ. ის პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცა.

უინსტონი მარცხს არ შეეუბნა. პარლამენტში შეიქმა ჩერჩილის ჯგუფი, რომელიც ჩემბერლენის კაბინეტს ოპოზიციაში ჩაუდგა. ჩერჩილი მოითხოვდა, რომ ბრიტანეთს უფრო მკაცრი კურსი გაეტარებინა როგორც პიტლერის, ისე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გერმანიის დაშოშმინების პოლიტიკას მან უზნეო უწოდა, 1938 წლის მიუნხენის შეთანხმებებს კი ასეთი კომენტარი გაუკეთა: — ეს ინგლისელი ჯენტლმენისთვის უკადრისი საქციელია!

იმავდროულად ჩერჩილი ლიტერატურულ მოღვაწეობასაც განაგრძობდა. ამ დროს გამოვიდა მისი წიგნები ჰერცოგ მალბოროს შესახებ, რომელიც დღემდე ბესტსელერთა სიაში რჩება. პოლიტიკაში ჩერჩილი მხოლოდ 1940 წელს დაბრუნდა, როცა მეორე მსოფლიო ომი უკვე მძვინვარებდა. გერმანია საფრანგეთის დასალაშქრავად ემზადებოდა. გერმანიისგან საფრთხე ინგლისსაც დაემუქრა. ამ დროს ჩერჩილი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გახდა. ინგლისელთა უმრავლესობა ამას ტა-



შით შეხვდა. ჩერჩილი ბევრს ერის მხსნელად მიაჩნდა.

1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. გამოიკვეთა წარმოუდგენელი, ფანტასტიკური ალიანსი: მტკიცე ანტიკომუნისტი ჩერჩილი საბჭოთა ქვეყანასთან კავშირზე წავიდა. შეიქმნა ანტიპიტლერული კოალიცია, სადაც გაერთიანდნენ ინგლისი, აშშ და საბჭოთა კავშირი.

თუმცა ჩერჩილს ეიფორია არ დამართნია.

„ის კარგად ხელავდა, რომ სტალინი არანაკლები მხეცი იყო, ვიდრე ჰიტლერი. ამიტომ ყველაფერს აკეთებდა, რათა გერმანიის დამარცხების შემდეგ რუსეთი ვეროპის ახალ თავის ტკივილად არ გადაქცეულიყო“, — წერს შირერი.

ბულგარელი უფლისწული

ჩერჩილზე, როგორც აღამიანსა და პოლიტიკოსზე, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მისი ურთიერთობები ბულგარეთის მეფე ბორის მესამესთან. ბულგარეთი 1940 წელს იძულებული

გახდა, ღერძის ქვეყნების ბლოკს (გერმანია, იტალია, იაპონია და სხვ.) შეერთებოდა. თუმცა ბულგარეთის მეფემ ინგლისთან კონტაქტი შეინარჩუნა. ინგლისის დაზვერვისთვის მუშაობდა მეფის მრჩეველი ლიუბომირ ლულჩევი. 1942 წელს ბორის მესამესა და ჩერჩილს შორის საიდუმლო მიმოწერა დაიწყო.

ჩერჩილი მიიჩნევდა, რომ მეორე ფრონტი არა ნორმანდიაში, არამედ ბალკანეთზე უნდა გახსნილიყო. ბულგარეთი მას თავის მძლავრ ფორპოსტად მიაჩნდა.

ჩერჩილი ბულგარეთის მეფეს ინიციატივის ხელში აღებაში დაეხმარა. 1943 წელს კაიროში ინგლის-ბულგარეთის საიდუმლო მოლაპარაკებები დაიწყო. 1943 წლის აგვისტოში მეფე ბორისი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. არსებობს ვერსია, რომ იგი გერმანელებმა მოწამლეს. ჩერჩილის ოცნებას, მეორე ფრონტი ბალკანეთზე გახსნილიყო, აღსრულება არ ეწერა.

აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტს ბოლშევიზმის საფრთხე არ ესმოდა. მისი მთავარი მიზანი მხოლოდ ის იყო, ამერიკას ომი მაქსიმალურად ნაკლები მსხვერპლით მოეგო. რუზველტმა მხარი არ დაუჭირა ჩერჩილს. სტალინმაც მიადღწია იმას, რომ მეორე ფრონტი არა ბალკანეთში, არამედ ნორმანდიაში გახსნილიყო. ჩერჩილი უკან დახევას მაინც არ აპირებდა.

„აღმოსავლეთ ვეროპის საქმე როგორ იქნება?“ — არ ეშვებოდა სტალინს უინსტონი.

სტალინი იძულებული გახდა ჩერჩილისთვის პირობა მიეცა, რომ აღმოსავლეთ ვეროპაში თავისუფალი არჩევნები გაიმართებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, დიქტატორმა პირობა არ შეასრულა. მეფე ბორისის სიკვდილის შემდეგ ბულგარეთში ქაოსი დაიწყო. 1944 წლის 2 სექტემბერს საბჭოთა არმია ბულგარეთში შევიდა. 9 სექტემბერს კი რუსეთის დაზვერვამ გადატრიალება მოაწყო. პრემიერ კონსტანტინ მურავიევის მთავრობა დაამხეს. ხელისუფლებაში მოვიდა ე.წ. სამამულო ფრონტი, პრემიერ-მინისტრი კი გახდა საბჭოთა აგენტი კიმონ გეორგიევი. ბულგარეთის არმია და პოლიცია დიშალა, ახალი შსს მთლიანად კომუნისტებით ან საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული უშიშროების ოფიცრებით დაკომპლექტდა.

„ფაქტობრივად, ბულგარეთი რუსების მიერ იყო ოკუპირებული. მთელი რეალური ძალაუფ-



განუყრელი სივარით

ლება საბჭოთა არმიის ხელში მოექცა“, — წერს ბულგარელი ისტორიკოსი ცვეტანა კიოსევა.

ჩერჩილს ესმოდა, რომ ბულგარეთის გადარჩენის შანსი მინიმალური იყო, თუმცა ამ ქვეყნის გადარჩენის მცდელობებზე ხელი არ აუღია. განსაკუთრებით აღარდებდა პატარა უფლისწულ სიმეონის ბედი, რომელიც მაშინ ხუთი წლის იყო. სტალინთან შეხვედრისას ჩერჩილმა სიმეონის საკითხი კატეგორიულად დასვა.

„პირობას გაძლევთ, რომ მას არაფერი დაემართება“, — უთხრა სტალინმა.

ე.წ. დემოკრატიული არჩევნები ბულგარეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოქცეო. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს კომუნისტებმა. ჩერჩილს სულ უფრო იპყრობდა შიში. ბორის მესამის ძმა, პრინცი კირილი კომუნისტებმა ფაშისტად გამოაცხადეს და დახვრიტეს. როგორი იქნება სიმეონის ბედი? ჩერჩილი უკვე პრემიერი აღარ იყო, მიუხედავად ამისა, მაინც მისწერა სტალინს წერილი და მიცემული პირობა შეახსენა.

ჩერჩილის წვლილი უდიდესია იმაში, რომ სიმეონმა ნიკოლოზ მეორის მემკვიდრის, უფლისწულ ალექსის ბედი არ გაიზიარა, — წერს ცვეტანა კიოსევა.

სიმეონის დედას, დედოფალ იოანას უფლება მისცეს, ქონება წაეღო და შვილთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო. ჩერჩილმა დევნილი მეფის ოჯახისადმი დიდი მზრუნველობა გამოიჩინა. „ჩერჩილი რომ არა, ბულგარეთის მეფის ოჯახს ძალიან გაუჭირდებოდა“, — წერს კიოსევა.

ჩერჩილი პირადად გამგზავრა ესპანეთში, სადაც იმხანად ხელისუფლებაში გენერალი ფრანკო იყო. საუბარი ბულგარეთის ტახტის მემკვიდრის ბედს შეეხო. ფრანკო დათანხმდა, ბულგარელი უფლისწულისთვის დახმარება აღმოეჩინა. ამის შემდეგ სიმეონი დედასთან ერთად ესპანეთში ჩავიდა. ფრანკომ მათ თავიანთ განკარგულებაში ფეშენებელური ვილა გადასცა.

ბულგარეთის მთავრობამ 1944 წლის აგვისტოში თავისი ოქროს მარაგი ესპანეთში გაიტანა. ასევე ესპანეთის ბანკებში გადაირიცხა მეფის ოჯახის ანგარიშებიც. კომუნისტური ხელისუფლება ამ მარაგის დაბრუნებას მოითხოვდა. ფრანკომ უარი განაცხადა. მთელი ამ უზარმაზარი თანხის განმკარგულებელი მეფის ოჯახი გახდა. ფრანკოს ბრძანებით, მათ გამოუყვეს დაცვა, შეუქმნეს ყველა პირობა, რათა უფლისწულს თავი მაქსიმალურად კომფორტულად ეგრძნო და ელიტარული ევროპული განათლება მიეღო. „თავად ჩერჩილმა მთხოვა, მეფე ბორისის ოჯახზე მეზრუნა“, — განაცხადა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ფრანკომ.

სიმეონი ცნობილი ბიზნესმენი და ბულგარული ანტიკომუნისტური ემიგრაციის ლიდერი გახდა. 1992 წელს ის ბულგარეთში დაბრუნდა და ამ ქვეყნის მოქალაქეობა ოფიციალურად მიიღო. ერთხანს სიმეონს პრემიერის პოსტიც ეკავა. მან ბევრი გააკეთა, რათა ევროინტეგრაცია ბულგარეთში შეუქცევადი გამხდარიყო.

ფულტონის სიტყვა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩერჩილი დიდების ზენიტში იმყოფებოდა. ახლობლები ურჩევდნენ, პოლიტიკური კარიერა ამ ნოტაზე დაესრულებინა. უინსტონი ჩაფიქრდა: „ახლა ჩემი წასვლა არ შეიძლება, ვეროპას საფრთხე ემუქრება“. მართლაც, სტალინმა აღმოსავლეთ

ვეროპის ოკუპაცია მოახდინა და იქ მარიონეტული პრორუსული რეჟიმები დამყარდა.

თუმცა ჩერჩილს ვეროპაზე ზრუნვა არ დასცალდა, ის არჩევნებში დამარცხდა. დიდი ბრიტანეთის პრემიერი კლემენტ ეტლი გახდა. ჩერჩილი ოპოზიციაში გადავიდა, თუმცა განაგრძობდა აქტიურ მოღვაწეობას. ფულტონში გამოსვლისას მან ისტორიული სიტყვა წარმოთქვა. მან თქვა, რომ ვეროპა რკინის ფარდამ გაჰყო, და რომ თავისუფალ სამყაროსა და კომუნისტურ ბლოკს შორის გაუვალი უფსკრულია.

ჩერჩილის სიტყვებს ცივი ომის დაწყების სიმბოლოდ მიიჩნევენ.

ნობელის პრემიის ლაურეატი

ოპოზიციაში მყოფი უკვე მოხუცი ჩერჩილის მიზანი არა იმდენად ზელისუფლებაში დაბრუნება, არამედ ვეროპის ერთობის მიღწევა იყო. მან მოწოდებით მიმართა გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერებს, ძველი მტრობა დაევიწყებინათ. კონსერვატორთა ადიარებული ლიდერი აქტიურად ემზადებოდა ახალი არჩევნებისთვისაც. თუმცა ასაკი თავისას შერება. 1949 წელს ჩერჩილს ინსულტი დაემართა. ექიმების ზრუნვით, უინსტონი ფეხზე წამოდგა, თუმცა ექიმები დაბეჯითებით მოითხოვდნენ, პოლიტიკური მოღვაწეობისთვის თავი დაენებებინა. „არავითარ შემთხვევაში!“ — მტკიცედ აცხადებდა ჩერჩილი.

კონსერვატორებმა ჩერჩილის ხელმძღვანელობით 1950 წლის არჩევნებში გაიმარჯვეს. უინსტონი კვლავ პრემიერი გახდა. „ბებერი ლომი დაბრუნდა“ — წერდა ფრანგული „ლიბერასიონი“. ამერიკული პრესა ჩერჩილის დაბრუნებას ასე აფასებდა: „სერ უინსტონის სახით დიდი პოლიტიკოსი, ჯენტლმენი და რაინდი დაბრუნდა!“

1953 წელს ინგლისის დელოფალმა ჩერჩილს რაინდობა მიანიჭა. იმავე წელს სერ უინსტონს მიანიჭეს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში. რეალურად ორი კანდიდატურა იყო: ჩერჩილი და ერნესტ ჰემინგუეი. ნობელის კომიტეტმა უპირატესობა ჩერჩილს მისცა. ჰემინგუეის ნობელის პრემია მოგვიანებით მიენიჭა.

ასაკი თავისას შერებოდა. ჩერჩილს უჭირდა ლაპარაკი, გადაადგილება. 1955 წელს სერ უინსტონი ჯანმრთელობის გაუარესების გამო გადადგა.



უინსტონ ჩერჩილი 1950 წელს

უინსტონ ჩერჩილი 1965 წელს გარდაიცვალა. ამით დასრულდა ეპოქა როგორც ინგლისის, ისე მთელი ვეროპის პოლიტიკაში.

„ის იყო დიდი პოლიტიკოსი, ნიჭიერი მწერალი და პუბლიცისტი, მაგრამ მარტოოდენ ამის თქმა არ კმარა. ჩერჩილი ჯენტლმენი და რაინდი იყო“, — იტყვის მოგვიანებით დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ თეტჩერი.

უინსტონ ჩერჩილზე არაერთი ფილმი გადაიდგეს, ამ გასაოცარ ადამიანს უამრავი მონოგრაფია თუ რომანი მიეძღვნა. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა მის მიმართ ბოლშევიკური ურჩხულის მიმდევრებს შორის, რომლის სულიერი მემკვიდრეები დღესაც მილიონობით არიან და უინსტონ ჩერჩილზე წარმოუდგენელ ზღაპრებს საკვირველი სიჯიუტით თხზავენ.

ნობა თევზაძე

ისტორიის დოქტორი



ბათუმის გოტიკური ტაძარი

ძივება ზუზალაშვილებმა, გადმოცემის თანახმად, ტაძარი დედის სულის მოსახსენიებლად ააგეს

თანამედროვე ბათუმის კულტურის ძეგლთა შორის ერთ-ერთ გამორჩეულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს ფსევდოგოტიკურ არქიტექტურულ სტილში აგებული ბათუმის კათოლიკური კათედრალი, რომელშიც ამჟამად მართლმადიდებლური ღვთისმსახურება აღევლინება. იგი ქალაქის ცენტრში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე მდებარეობს და ქართული ხუროთმოძღვრებისგან გამორჩეულობის გამო, ბევრ დამთვალიერებელსა და მომლოცველს იზიდავს, ქართველსაც და უცხოელსაც.

XIX საუკუნის ბოლოს ბათუმში საქმიანი ცხოვრების სწრაფმა აღმავლობამ საგრძნობლად გაზარდა პატარა ქალაქის მოსახლეობის რიცხვი. გარე სამყაროსთან გაცხოველებულმა ურთიერთობამ კი იგი ნამდვილ ევროპულ ქალაქად აქცია. აქ თავი მოიყარა სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ხალხმა, მათ შორის ქართველმა და უცხოელმა კათოლიკეებმაც. იმ დროისთვის ბათუმში მოქმედებდა მხოლოდ მართლმადიდებლური ტაძრები,

მუსლიმური მეჩეთები და ერთი სომხური კათოლიკური ეკლესიაც, რომელშიც კათოლიციზმის ყველა სხვა აღმსარებელსაც უწევდა ლოცვა. ეს საკმაოდ მოუხერხებელი იყო და ამიტომ ქართველმა და ევროპელმა კათოლიკეებმა ქალაქის ხელისუფლებას თხოვნით მიმართეს, მათთვის ახალი სალოცავის აშენების უფლება მიეცათ. რუსეთის იმპერატორისაგან ეკლესიის მშენებლობის ნებართვა, საკონსულტოთა დახმარებით, ბათუმის ლათინ

კათოლიკეთა მოძღვარმა, პატრი ანსელმო მღებრიშვილმა მიიღო.

ისტორიული წყაროების მიხედვით, მათ თანხმობა 1896 წელს მიიღეს. მალე ცნობილმა რუსმა არქიტექტორმა მიხაილ ზაგორსკიმ პროექტი შექმნა. მიწის ნაწილი ქალაქის მმართველობამ გამოყო, ნაწილი კი თავად მორწმუნეებმა შეიძინეს მშენებლობისთვის შეგროვებული ფულით. ამ თანხას ცნობილ მეცენატ ძმათაგან ერთ-ერთმა, სტეფანე ზუბალაშვილმა თავისი შესაწირი დაუმატა და მშენებლობის ხელმძღვანელობაც იკისრა. ცნობილია, რომ სტეფანეს მხარში ედგნენ მისი ძმებიც. ამის გამო, ტაძრის სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა ძმებ ზუბალაშვილებსა და მათ საქველმოქმედო საქმიანობას. გადმოცემის თანახმად, ბათუმში კათოლიკური ეკლესიის აშენება მათი დედის დიდი ხნის სურვილი ყოფილა და ძმებმაც ეს ტაძარი მისი სულის მოსახსენიებლად ააგეს. ამაზე მეტყველებს მთავარი შესასვლელის ორივე მხარეს ჩასმული მარმარილოს ქვები ქართული და ფრანგული სამშენებლო წარწერით, რომელიც იუწყება, რომ ტაძარი აგებულია სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის მიერ. მისი სულის, „მშობელთა და ძმათა და დათა სულის საცხონებლად“.

ტაძარს საფუძველი 1897 წლის 12 აპ-



ვიტრაჟი სარკმელში. აპტონის ფორტომაი

კარბჭის გვერდითი შესასვლელი





მონატულობა საკურთხეველის თავზე

რილს, პატრი ანსელმო მდებრიშვილის ხელმძღვანელობით ჩაეყარა. ასაგებად გამოიყენეს ქუთაისის წითელი და ყვითელი ქვა, ულამაზესი მხატვრული ეფექტის შესაქმნელად. შენობის სიგრძეა 34 მეტრი, სიგანე —

23 მეტრი, სიმაღლე კი 44 მეტრს შეადგენს. ტაძარი გეგმაში ლათინური ჯვარია, აქვს სამნაწილიანი საკურთხეველი, რომელსაც სამნაწიანი სალოცავი სფერცისგან ტრანსეპტი გამოყოფს. ეს არის განივი ფრთა, რომელიც

გადახურვის ელემენტები



კვეთს ეკლესიას და ჯვრის ფორმას აძლევს მას. დასავლეთიდან მიშენებულია კარიბჭე, შესასვლელებით სამი მხრიდან. ცენტრალური — დასავლეთ ფასადის დომინანტია და გაფორმებულია საპარადო კიბით, ხოლო ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს შესასვლელები სამყურა ჭვირული ორნამენტებით შემკული, ორმხრივი კიბეებითაა შემკული. ინტერიერში კარიბჭის ზემოთ ორღანისთვის განკუთვნილი ქვის აივანია (პატრონიკე).

ტაძარი, გოტიკური სტილის შესატყვისად, მდიდრულადაა მორთული, მათ შორის ქართული ტრადიციისთვის სრულიად უცხო მრგვალი ქანდაკებებითა და ფერადი ვიტრაჟებით, აგრეთვე კოშკურებითა და ზესწრაფული შპილებით. დასავლეთ ფასადზე, შესასვლელის ზემოთ — მარჯვნივ და მარცხნივ საგანგებო ნიშებში ჩადგმულია წმინდა ნინოსა და წმინდა ანდრია მოციქულის ქანდაკებები, რითაც მშენებლებმა ერთგვარად ხაზი გაუსვეს ქართული ქრისტიანობის უძველეს ტრადიციას. ანდრია მოციქული, როგორც პირველქადაგებელი, ხოლო წმინდა ნინო, როგორც ქართველთა პირველი განმანათლებელი. ამ ქანდაკებებს ჰქონდა ვეროპაში დამზადებული ქართული წარწერებიც.



შპით განათებული ვიტრაჟი ინტერიერში

მართლმადიდებლური კანკლი, რომელიც საკურთხეველს მლოცველთა დარბაზისგან გამოყოფს





დეკორატიული გუმბათი

წმინდა ანდრია პირველწოდებული და წმინდა ნინო.
დასავლეთის ფასადი



ტაძრის მთავარ მხატვრულ დეტალს როგორც ექსტერიერში, აგრეთვე ინტერიერში წარმოადგენს უზარმაზარი სარკმლები ფერადი ვიტრაჟებით, რომლებზეც წმინდანთა ფიგურებია გამოსახული. ამ სარკმლებიდან შემოსული განათება მლოცველისთვის ამაღლებულ და მისტიკურ განცდას ქმნის, რასაც აძლიერებს ბრინჯაოთი და ბროლით შემკობილი ჭადების, კედლის ოცი შანდლისა და საკურთხეველის ტრაპეზზე დანთებული წმინდა სანთლების ნათება.


ვეროპიდან საგანგებოდ ჩამოიყვანეს ხელოსნები ინტერიერის შესამკობად. მათ შიდა სივრცე მარმარილოს მოზაიკით მორთეს. ფრესკებზე გამოსახულია სცენები ძველი და ახალი აღთქმიდან. მაცხოვრის ჯვარცმა, გარდამოხსნა, მახარებლები, ღვთისმშობლის დაწინდვა, წმინდა პეტრე, აგრეთვე რამდენიმე კათოლიკე წმინდანი და წმინდა რომის პაპები.

ტაძარი 1903 წლის 5 მაისს ეკურთხა, ბათუმში საგანგებოდ ჩამოსული ეპისკოპოსის, ედუარდ ბარონ როპის მიერ. სამწუხაროდ, 1930-იან წლებში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, სხვა ტაძრების მსგავსად, კათოლიკურ კათედრალსაც დაუკარგა ფუნქცია. იგი დანგრევას გადაურჩა, მასში ჯერ არქივი, შემდეგ კი მაღალი ელექტროძაბვის ლაბორატორია განათავსეს, რამაც ტაძრის ინტერიერი ძალიან დააზიანა. ამიტომ 1980-იან წლებში, როცა დადგა შენობაში კულტურული ცენტრის გახსნის საკითხი, საფუძვლიანი რესტავრაცია გახდა საჭირო. წვიმის წყლით ჩამორეცხილი კედლის მხატვრობის აღდგენაზე მუშაობდნენ მხატვრები ამირან გოგლიძის ხელმძღვანელობით.

რესტავრაციის შემდეგ, შენობა აჭარის კულტურის სამინისტროს გადაეცა და მასში ხელოვნების ცენტრი გაიხსნა, ხოლო 1989 წელს ბათუმში ჩავიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და წმინდა სინოდის წევრები, რომლებმაც ტაძარი მართლმადიდებლურად აკურთხეს და გაიმართა საზეიმო, მასშტაბური ნათლობა.

ახალი ფუნქციიდან გამომდინარე, შენობას დაემატა ახალი ქვის კანკელი და შეიმკო მართლმადიდებლური ხატებით, დღეისთვის აქ ეკლექტურად თანაარსებობს მართლმადიდებლური და კათოლიკური გამოსახულებანი.

მარიტა სახლიუსცივილი




ზედი ჩრდილო-დასავლეთიდან
(1900 წ.)

ჯანსუღ ჩახვიანი: სამ დროში ვისხროვრა...

ჯანსუღ ჩარკვიანი 80-ს გადასცდა და უკვე თავისი სიცოცხლის მეცხრე ათეულში ცხოვრობს. ძველებურად ომანია პოეტი, სათქმელსაც პირდაპირ ამბობს და არავის და არაფერს უშინდება. ასე აღზარდეს, სხვანაირად არ შეუძლია. მთავარი კი მანც ის არის, რომ ზოგიერთი სუსტი კაცისგან განსხვავებით, წარსული არ ავიწყდება და თამამად მოაქვს მხრებით, რაც გადაუტანია და რაშიც გაუვლია... ცხოვრება — ყველაზე მძიმე ტვირთი ადამიანთა მოდემისთვის, შეიძლება მსუბუქადაც იტვირთო, თუკი იმას არ გაექცევი, ვინც იყავი, ვინც ხარ... ამიტომაც ვისაუბრეთ ლაღად წარსულზე...

ჯანსუღ ჩარკვიანი



— 1931 წლის 30 სექტემბერს დავიბადე მე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თუმცა ეს ბევრს არ ნიშნავს. საოცრებაა, რომ ორი წლის შემდეგ ისევ 30 სექტემბერს დაიბადა ჩემი და — ლუიზა და კიდევ, მესამე საოცრება: ხუთი წლის შემდეგ, 30 სექტემბერს დაიბადა ჩემი ძმა — ჯიმშერი. ამ გენიალურ დამთხვევას იმასაც დაემატებ, რომ ამ ოცი წლის წინ მე და ჩემი ქალიშვილი თამარი ვესტუმრეთ უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. მე გაუუძხილე ჩვენი დედამამიშვილობის ეს საოცრება. პატრიარქი ჩაფიქრდა და გასძახა შორენას: მომიტანე საეკლესიო კალენდარი, აბა, ჩავხედოთ, რა ხდება 30 სექტემბერსო. მოუტანეს, ჩავხედეთ და აი, კიდევ ერთი დიდი საოცრება: 30 სექტემბერი წმინდა სოფიოსა და მოწამეთა — პისტიის, ალათიონის ხსენების დღეა. ცრემლი წამსკდა, დედაჩემი ხომ პისტია — პისტი გელოვანი, ალათიონი, ანუ ალათი ბე-ბიაქალია. სამივე შვილზე პისტო გელოვანმა იმშობიარა თავისივე დღეს, 30 სექტემბერს.

უწმინდესი და უნეტარესი ჩაფიქრდა: ღვთის შვილები ვართ და ასეც ხდებაო, — ბრძანა.

მაშინ მივხვდი და ჩემს თავს შევუძახე: ჯანსუღ, არ შეშინდე-მეთქი...

ბორჩალოში ვცხოვრობდით. 5 წლის ვიყავი, მამა ცხენზე გამიშვებდა, მომიყვანეო. ერთ კილომეტრზე მივდიოდი, შემსვამდნენ ცხენზე და მომიყავდა. ერთხელაც ხიდზე გადმოვდიოდი და გზად უხსენებელი დაგვხვდა, ცხენმა ფლოქვები დასცა, მე კი მდინარე ხრამში გადამაგდო... კიდევ კარგი, ახლოს ჭიჭიკო ახვლედიანი იყო, იმან გადაპარჩინა... ამომიყვანა წყლიდან. ახლა ვფიქრობ, იმ დღეებს გაუმარჯოს, როგორც მამა მზრდიდა. ვაუკაცად მზრდიდა.

მასსოვს, რვა წლისამ ორი გართიმული სტრიქონი ვუთხარი ექვსი წლის ნატოს, რომელიც მომწონდა: მიყვარს ნატო, მაგრამ — მარტო! ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ, რატომ მინდოდა მარტო რვა წლის ჯანსუღს ნატო? სულ დედა დაჰყვებოდა და მარტო მინდოდა მენახა...

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

არსენალი

ინფორმაცია

ნამდვილი მამაკაცებისთვის!



ყოველთვიური ჟურნალი!

იკითხეთ კრემის გამავრცელებლებთან!





პირველ კლასში

ახლა რომ 51-ე სკოლაა, იქ შემიყვანეს. დამრიგებელი ქალბატონი ნინო სუხიაშვილი იყო. დამიძახებდა ხოლმე: გამოდი, ჯანსუღ, ქამარს ხელი მაგრა მოუჭი, ვითომ ხანჯალი გაქვს და ის ლექსი მოყევი, ვაჟაზე რომ იციო. მეც დავიწყებდი:

დაჟანგებულხარ, გორდაო,
დაგობებია ქარქაში,
სადა გყავს ძმაო, პატრონი,
დაგაწყებინოს კაშკაში...

ჩავიდოდი ხოლმე ბოლომდე...

ქამარს ხელი მოუჭიო! პატრიოტებად გვზრდიდნენ... ამიტომაც იყო, 12 წლისები მე და ჩემი მეგობრები ომში გავიპარეთ. დავიყოლიეთ ვიღაც ჭკუასუსტი რუსის კაპიტანი, წაგვიყვანა, როგორც პოლკის შვილები... 12 წლის ბავშვების ომში წაყვანა შეიძლებოდა! ერთმა ამხანაგმა მშობლებთან გაგვყიდა. მატარებელი უნდა გაჩერებულიყო აჭკალაში, შეიძლებოდა მშობლები დაგვწეოდნენ... მართლაც დაგვედევნენ მანქანით და მცხეთაში ჩამოგვსვეს მატარებლიდან. თან მცხეთის ღვეზლებს გვაჭმევდნენ, თან გვცემდნენ... მთავარი ამ ამბავში ის არის, რომ პატარა ბიჭები საბჭოთა კავშირისთვის კი არ მივდიოდით ომში, საქართველოსთვის ვიბრძოდით. ასე

ფიქრობდა მაშინ ყველა, ვინც ომში მიდიოდა. ხანდახან ზედმეტი მოსდის ხალხს, რომ ამბობენ, რუსის ომში იბრძოდნენო...

მამა აგრონომი იყო, ტაშკენტის აკადემია ჰქონდა დამთავრებული. ყოველთვის მუშაობდა... ხან მთავარი აგრონომი იყო, ხან ფაქტობრივად მინისტრის პოზიცია ეკავა... არ გაგვჭირვებია, ყველი, პური, ჩაი და კომბოსტო ყოველთვის გვქონდა... ნორმალურად ვიყავით.

ზემელზე ვცხოვრობდით. ჩვენ წინ მოსკოვის ქუჩა იყო. იქ დგებოდა ნავთის რიგი. დილით 6 საათზე მივდიოდი, სანამ დედა მამას სამსახურში გაისტუმრებდა. მერე დედა შემეცვლებოდა... ერთხელ დედას ვუთხარი, რა მაგარი ბიჭი ვიყავი, 10 წლისა რომ ნავთის რიგში ვიდექი-მეთქი... მაგარი იყავი, მაგრამ იცი რატომ გაგზავნიდით, უბანში თითხ ვინ დაგაკარებდაო...

იყო ჩხუბიც, ტრამვიდან ვხტებოდით, მაგრამ ადამიანები არ იყვნენ დაუნდობელი... უბანში ისე გახვიდოდი, როგორც საკუთარ ეზოში.

მახსოვს, როგორ ვკითხულობდით წიგნებს გოგოების ჯიბრზე. ჩემს კლასში იყო ჩემი მეგობარი — დოლო როინიშვილი. ის ბევრს კითხულობდა და მისი ინტერესით მეც ვკითხულობდი... მერე სულელურად გაგვყვეს ქალთა და ვაჟთა სკოლებში და ჩვენც, ბიჭებმა შევწყვიტეთ გოგოების თავმოსაწონებლად სწავლა და კითხვა... ჩამოვედით სამიანებზე.

გოგონებს რომ შევემჩნიეთ, ტრამვიდან ვხტებოდით. გამომცემლობის შენობასთან — ადრე „კომუნისტის“ რედაქცია იყო, მაგრამ „გაზავა“ 5 ნომერი ტრამვაი. ჩამოკიდებული ვიყავი, დავინახე, ჩვენი გოგონები მოდიან. უნდა გადმოვხტე უკუღმა! ამას „ზადნის“ ეძახდნენ და დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა. მინდოდა, დავენახე, როგორ გავაკეთებდი „ზადნის“. გადავხტი და ისე დავარტყი თავი ასფალტს, შუაზე გამეპო. დამესია ხალხი, წამიყვანეს ვერის აღმართზე, აფთიაქში, იქ დოლო და რუზო ჭიჭინაძეების დედა მუშაობდა. გადამიხვია თავი და წავედი შინ... ჩემ წინ ცხოვრობდა ერთი ძალიან კარგი ბიჭი, ნათელი მომავლის კაცი, რომელსაც შურდა ჩემი, რადგან მას გარეთ არ უშვებდნენ... რომ გამოვედი და დამინახა თავშეხვეული, შევიდა შინ, შეიხვია თავი და ისიც ასე გამოვიდა აივანზე... ჩემს სახვევში სისხლმა გამოჟონა... დაუმახე: ჩვენ შორის ის განსხვავებაა,

რომ მაქედან არ ჟონავს-მეთქი... ასე ვრაინდობდით. თბილისი ნარკომანების ქალაქი კი არ იყო, რაინდების ქალაქი იყო. ისეთების, როგორც იყვნენ ბიძინა ავალიშვილი, დოდო აბაშიძე, ჩემი და ოთარ ჭილაძის ნათლია — თუ გიბ კეკელიძე.

სხვანაირად გვზრდიდნენ... ლუკმის გაცოფას გვასწავლიდნენ. მოგახსენეთ, ჩვენ საჭმელი არ გვიჭირდა. დედას ბორში როცა ჰქონდა, აუცილებლად მიუკითხავდა ჩვენს მეზობელს — დოდოლას. ერთხელ ვკითხე: სხვა მეზობლებს არ აწოდებ ბორშის და დოდოლა დეიდას რატომ აწოდებ-მეთქი. სხვებს ქმრები ჰყავთ შინ, არ უჭირთ, დოდოლას ქმარი კი ომშიაო. ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ამიტომაც იყო, ჩვენს ქალაქში ქართველი მათხოვარი არ არსებობდა. იყვნენ რუსეთიდან გამოქცეული საწყალი მათხოვრები. იყვნენ ქართველებიც ცუდ დღეში, მაგრამ მეზობლები პურს უყოფდნენ და არასოდეს დასჭირდებოდათ ხელის გაწვდენა...

გოგოების გამო ვჩხუბობდით ხოლმე ვერის ბაღში. მერე ვრიგდებოდით. ყოჩობაც იყო... აი, პირველი ყოჩი, მეორე ყოჩი... მე პირველი ყოჩიც ვყოფილვარ და მეორეც... ასე იყო მეოთხე კლასამდე.

იშვიათად, სურვილი არ ამსრულებოდა, ბავშვობიდანვე გამიმართლა...

ოთარ გვინჩიძემ პირველად მიმიყვანა გიორგი ლეონიძესთან, მისი ქალიშვილის მეუღლე იყო. წაიკითხა ჩემი ლექსები და მიაწერა: „კარგი ხარ, ჯანსუღ, ჩემი ჯილა ხარ! ვოგლა“. ასეთი რამის დავიწყება შეიძლება? მას მერე წავიდა და წავიდა ჩემი ცხოვრება წინ. პირველი ლექსები ირაკლი აბაშიძემ დამიბეჭდა. როგორი სიყვარულით მექცეოდნენ გრიგოლ აბაშიძე და რეზო მარგიანი... ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. არასოდეს გამივლია გულში შური.

ერთი რამ მინდა გავიხსენო: ილიას დღეები იმართებოდა საგურამოში. ნიკო კეცხოველი გახსნიდა ხოლმე ამ საღამოებს. ერთხელაც მე გამოვდიოდი პიონერთა სასახლიდან, როგორც ახალგაზრდა პოეტი, გამომაცხადა: ახლა გამოვა და ლექსს წაიკითხავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტი, ახალგაზრდა პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანიო. მივედი მორიდებით: ძია ნიკო, მე მეთურთმეტე კლასში ვარ, ჯერ სტუდენტი არ ვარ-მეთქი... მერე რა, ბიჭო, ხომ უნდა გახდე, არა? ასე საოცრად მიმანიშნა, ამ გზას უნდა დაადგეო.

ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და ანზორ სალუქვაძე ბარისაზოში





მარცხნიდან: ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი გვეგეჭკორი, ტარიელ ჭანტურია

ცხადია, უნივერსიტეტში ჩაებაბარე ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. საოცარი ჯგუფი შეიქმნა. ჩემს ჯგუფში იყვნენ ჩემი ბავშვობის მეგობრები: ოთარ ჭილაძე და გივი გვეგეჭკორი, სხვებიც: ტარიელ ჭანტურია, ზაურ ბოლქვაძე, რეზო კლდიაშვილი, რეზო ინანიშვილი, თამაზ ბიბილური...

იშლებოდა სუფერები. სუფრა იყო ლოცვისა და სიმღერისა...

ჯერ გვეძახდნენ „პირველ სხიველებს“, რადგან უნივერსიტეტში დაარსდა აღმანახი „პირველი სხივი“. ნიკო კეცხოველმა დააარსა. მერე გვეძახდნენ სამოციანელებს, „ცისკრელებს“... როგორც კი 1956 წელს „ცისკარი“ დაარსდა, ვახტანგ ჭელიძემ მიმიყვანა და იქ ვმუშაობდი. შტატი მხოლოდ კორექტორისა იყო, ლიტმუშაკი ვიყავი, მაგრამ კორექტორის ხელფასს ვიღებდი. გაიპარა შეცდომა. შეცდომა დაარქვეს: იმის ნაცვლად, რომ ყოფილიყო „სამინელი მენშვეიკები“, დაბეჭდა „სამინელი ბოლშევიკები“. ითქვა, კორექტურააო. დამიბარეს ცეკაში. ვაღიარე: კორექტურაა და ჩემი ბრალია-მეთქი. თუ შეიძლება საყვედურს მოგცემითო... კი ბატონო-მეთქი. მოიცა ჯანსუღო, — წამოსვლისას მომამახეს, — პირად საქმეში შეიძლებაო... კი ბატონო-მეთქი... ასე იყო, თუ მართალი იყავი, ყველგან გაიტანდი თავს...

ერთხელ, „ცისკრის“ რედაქტორი ვიყავი, გურამ ფანჯიკიძემ მოიტანა რომანი „თვალი პატიოსანი“, მაშინ ერქვა „მარჯვნივ და მარცხნივ“. ისეთი რთული რომანი იყო... მჭავანაძის ოჯახზე იყო, ცეკას პირველი მდივნის. ვუთხარი გურამს: ეს ძალიან რთული დასაბეჭდია და მოდი, სათაური გამოუცვალათ და პატიოსანი თვალით დანახული საქართველო ვაჩვენოთ, „თვალი პატიოსანი“ დავარქვათ-მეთქი. დამთანხმდა. გაამართლა ამ სათაურმა. რომ დაიბეჭდა, დამიბარეს ცეკაში, აგიტაციაპროპაგანდის განყოფილებაში. შენი ბრალია, რომ ეს დაიბეჭდაო. კი ბატონო-მეთქი. ჩემი ბრალია, გურამს თავი დაანებეთ, მან დაწერა, მაგრამ მე რომ არ დამებეჭდა, ექნებოდა თავისთვის-მეთქი. მოუხსენებიათ მჭავანაძისთვის: მსგავსი არაფერი გვინახავსო. გურამ ფანჯიკიძე მოვიდა და გაანებეთ ჯანსუღს თავი, ჩემი რომანია, მე დავწერე და იმისი რა ბრალიაო. ჯანსუღი მოვიდა და: გაანებეთ გურამს თავი, ჩემი ბრალიაო... მჭავანაძე ჩაფიქრდა და: თავი დაანებეთ ორივეს, ასეთი ძმობა არ მინახავსო! აბა, ეს ამბავი როგორ არ გავიხსენო...

ერთხელ სომხებმა ჩვენზე რაღაც უბედურება გამოაქვეყნეს, რეზო ჯაფარიძისა და აკაკი ბაქრაძის საპასუხო წერილები „ცისკარში“ დაუბეჭდეთ. გაიგეს ზემოთ. შევიდნენ

სტამბაში. დამირეკა იქიდან მუშამ: მოსული არიან, ტირაჟს წვავენო. მან გადამირჩინა ექვსი ცალი ჟურნალი. ავტორებს მივეცი, ჩემთან დავტოვე და საჯარო ბიბლიოთეკას ჩავაბარე. მიიღეს... რთული იყო ამის გაკეთება, მაგრამ ვაკეთებდით...

ნუ ქვინებათ დღევანდლებს, სულ სხვა იყო 60-იანელების მწერლობა...

ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ პირველად მე დავბეჭდე... რომ წავიკითხე, ვუთხარი: შენ ციხეში გაქვს გატარებული 18 წელი, სულ 55 წელი გქონდა მისჯილი, არ დაგაჯერებენ, სეთურის სოფელსა და ციხეებს კიდევ უფრო თუ არ გაამძაფრებ-მეთქი... კიდევ გაგამძაფრო, — გაიკვირვა, და მართლაც გაამძაფრა.

ახლა იმაზე ნურავინ დამიწყებს კამათს, საბჭოთა დროს ბელადებზე ვინ რას წერდა... პირველი ლექსი ლენინზე გალაკტიონმა დაწერა და გამოაქვეყნა. გალაკტიონს ფეხზე ეკიდა ვლადიმირ ილიჩი, გზა გაუკვალა თავის გენიალურ პოეზიას...

გალაკტიონთან ახლოს ვიყავი. ერთხელ მეძახის მწერალთა კავშირთან: მოდი აქ, ჯანსუღ, მითხარი, ვინ არის საქართველოში პირველი პოეტიო. ჩაფიქრდი და ვუპასუხე, ლეონიდე-მეთქი. რატო, ბიჭო. იმ დღეს ძია გოგლა შემხვდა და მკითხა, საქართველოში ვინ არის პირველი პოეტიო, ვუთხარი გალაკტიონი-მეთქი. ჰო, ბიჭო, ორი კმარა, მესამე არ დაუმატლო.

ვერის ხიდი რომ შენდებოდა, იქვე ახლოს არაყი იყიდებოდა, ვიყავით ზაურ ბოლქვაძე, გოგი სამსონაძე, ოთარ ჭილაძე და მე... ვსვამდით. შემოვიდა გალაკტიონი: ძამიკო, ჩემი ნორმა ჩამომისხიო. დახლიდარვით კაცი იყო, იმან ჩამოუსხა 150 გრამი არაყი. მოსვა ორჯერ, შეადვარღვარა და გადააქცია, მერე თითები ჩაპყო, ამოიღო და წვერებში შეისვა... რა ქენით, ძია გალაკტიონ-მეთქი... რა ვქნა, ახლა ზევით რომ ავალ, აქოთებულები ვიქნები, ხალხს მთვრალი ვეგონები და გაუხარდებათ, მე კიდევ ფიზიკური ვიქნებიო, — გამიცინა.

აზარტული თუ ვარ? ჩემი აზარტი ლექსის წერაა... ისე, თუ მაინც თამაშზე მეკითხებით, კარტიც მითამაშია, ნარდიც, მაგრამ ფეხბურთი მერჩინა ყველაფერს. რაიონის ნაკრებშიც მითამაშია, უნივერსიტეტის ნაკრებშიც...

საერთოდ, ნებისყოფა უნდა გქონდეს კაცს. მეორე ინფარქტი მქონდა 1982 წელს...



გალაკტიონის იუბილეზე (1971 წ.)

ათი დღის მერე, თავი უკეთ რომ ვიგრძენი, გავაბოლე „კენტი“. ქალბატონმა გულიკო ჩაფიქმე შემომისწრო... რას შერები, ჯანსუღო! გამანსენდა, ბავშვობაში რომ ვიცოდით, ორშაბათიდან რომ ვიწყებდით კარგ სწავლას... ვუთხარი: ორშაბათიდან აღარ მოვწყვე-მეთქი. ჩვენთან პარასკევიდან აღარ ქვევიანო... იმ დღეს პარასკევი იყო. ის იყო და ის. დღემდე აღარ მომიწყვია! ნებისყოფას გაუმარჯოს, თორემ სისულელე შეიძლება ყველას ჰქონდეს ჩადენილი...

რაც შეეხება პირად ცხოვრებას — 23 წლისა დავოჯახდი, ჩემი ირმა ჩხეიძე 19 წლის იყო. 15-16-ისა იყო, რომ შემეფარდა, ხელი რომ მოაწერეთ, მივედით შინ. ქვემოდან ავძახე დედას: ცოლი მოვიყვანე-მეთქი... გადმოხვდა, შენ ვერ ხარ კარგადო, თითი მიიღო საფეთქელთან, არც უთქვამს, ამოიღო... მერე უცებ შემობრუნდა: რა გვარიაო. ჩხეიძე-მეთქი. ამოიყვანე, ახლავე ამოიყვანეო... გელოვანის ქალს ესიამოვნა ჩხეიძის რძალი... მას მერე პირი შეკრეს ჩემს საწინააღმდეგოდ... იყვნენ ერთად, როგორც დედა-შვილი და მე მებრძოდნენ...

პირველ შვილს ველოდით და ქობულეთში ვისვენებდით. მოხდა ისე, უცებ გახდა სამშობიაროში წასაყვანი. გვითხრეს, ბათუმში სამშობიაროს ხელმძღვანელობს ჩარკვიანიო.



„გადაუხედავ ჩემს წარსულს. ცოლდა ვის არ აქვს ამქვეყნად, ყველას გვაქვს ნაკლიც. არ ვწუხვარ იმას, რაც მიცხოვრია...“

შვილიშვილთან ერთად



მისი შვილი ლევანი შემდეგ აქ იყო ცნობილი ონკოლოგი... წავედით ბათუმში, რადგან ჩარკვიანი იყო. მკითხა, ვინ გინდა იყოსო. ბიჭი-მეთქი. წადი მაშინ ახლა, 4-5 საათი იქეიფე სალობიეში, მოხვალ და ბიჭს დაგახვედრებო... მოფედი და მართლაც დამახვედრა მამუკა... მერე გოგო შეგვეძინა — თამარი... არ მოიცადა, 30 სექტემბერს რომ გაჩენილიყო, 22-ში გაჩნდა...

არასოდეს ვგოისტი არ ვყოფილვარ... არც ამ ცხოვრებიდან წასვლის სევედა მქონია. წუთისოფელაა მაინც და მარადიულია მთავარი... ჩემი დაბადების დღე ხშირად მიხაროდა, იმ დღეს პურს ვჭამდით ბიჭები... დღეს არ მიხარია ჩემი დაბადების დღე და ყველას ვაფრთხილებ: არც გაბეღოთ მითხრათ, პურმარილს სად ვაწყო. არ მეღვინება და არ მექეიფება, სანამ ასეთ ქვეყანაში ვიქნები, არაფერი მიხარია, არც დაბადების დღეს აღვნიშნავ. გავხდი 80 წლის... რომ მითხრათ, დასასრული ახლოაო, არ მეწყინება არავითარ შემთხვევაში. გადაუხედავ ჩემს წარსულს. ცოლდა ვის არ აქვს ამქვეყნად, ყველას გვაქვს ნაკლიც. არ ვწუხვარ იმას, რაც მიცხოვრია.

ახლა აღარაფერი მენატრება...


იმ დღეს ერთი შემხვდა და ვერ ვიცანი, სახელი და გვარი ვერ გავიხსენე. შეიცხადა: დედა, ბიჭო, ვერ მიცანი, რაუა, დაბერდი? ვუთხარი: ქალბატონო, ვერ გიცანი, მაგრამ გუშინწინ შემხვდა ჯანსუღ ჩარკვიანი და ვერ ვიცანი! მერე შინ გაბოროტებულმა ცოლს ვუამბე ეს ამბავი. ცოლმა მკითხა: იმან თუ გიცნო, ჯანსუღო... იმან მიცნო-მეთქი. მაშინ არა უშავსო. ამ დღეში ვარ ახლა-მეთქი.

რა მოხდა, შეიძლება ვიღაც ვერ ვიცნო, მაგრამ რაც მთავარია, ჩემს წარსულს ვცნობ და არ უარეყოფ. სამ დროში თუ არ ცხოვრობ, არ ხარ კაცი. უნდა გქონდეს წარსული, აწყო და მომავალი... ახლა ვიღაც მეტყვის, აბა ილიამ რომ თქვა: „აწყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენიაო“... დიდმა ილიამ შეუძახა აწყოს გარეშე დარჩენილებს, არ შეშინდეთო... თორემ განა არ იცოდა, რომ აწყოს გარეშე მომავალი არ არსებობს?

მე მაინც იმის იმედი მაქვს, რომ სამ დროში ვიცხოვრე... ვისაც წარსული არ ახსოვს, წარსულს ლანძღავს, იმას ჰგონია, რომ აწყო აქვს... სინამდვილეში არ აქვს და არც მომავალი ექნება.

ლელა ჯიჯაშვილი

ისტორიული ამბები ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან



გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან. ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი 1877 წლის 3 მარტს დაიბეჭდა თბილისში. „ივერიის“ დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე. თანარედაქტორი იყო სერგეი მესხი. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „დროება“ 1866 წლის 4 მარტს თბილისში დაარსდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ შტაბად, ეროვნული კულტურის ცენტრად გადაიქცა. მისი პირველი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი. საცენზურო წესდების დარღვევის გამო, დახურეს 1885 წლის 16 სექტემბერს.

თამარ მეფის სურათი „ბერთუბანში“

დავით გარეჯელის უდაბნოს იქით აღმოსავლეთ-სამხრეთით, 10 ვერსის მანძილზედ, გაშენებულია ძველის დროის დიდებული უდაბნო „ბერთ-უბნად“ წოდებული, რომელიც გაუქმებულია დღეს და იქ წირვა-ლოცვა აღარ სრულდება. ამ უდაბნოს საკრებულო ეკლესიაში, რომელიც გამოკვეთილია კლდისაგან, და რომლის სიგრძე იქნება ათი საეწი და სიგანეც რვა საეწი, მოიპოვება მრავალი მხატვრობა ძველის დროისა, კედელზედ დახატული მშვენიერის ხელოვნების ხუცურის ზედ წარ-

წერებით. ეს მხატვრობა უნდა ეკუთვნოდეს მეთხუთმეტე საუკუნეს, ან ცოტა შემდეგს. სხვათა შორის ჩრდილოეთით დახატულია თამარ მეფე და გიორგი, ძე თამარისა, რომელიც გვერდით უდგას თამარს. „ძე თამარისა მეფეთ-მეფე გიორგი“ — ეს წარწერა ადვილად წასაკითხია, პირისპირ თამარს უყურებს სარეცელზედ მჯდომი ღვთისმშობელი, მაცხოვრის მტვირთველი. ყოვლად წმიდა და მაცხოვარი ჯვარსა ჰსახავენ თამარს. თამარი და გიორგი მთელის ტანით არიან დახატულნი, ხოლო ღვთისმშობელი (რომელიც მუთაქანზეა დამჯ-

ღვთისმშობელი მარაში პირჯვარს სახავს თამარ მეფეს. ბერთუბნის ფრესკა





კლდე სოფელ შქმერთან

დარი) მომცრო ტანით. მხატვრობა მით უფრო შესანიშნავია, რომ ჯერ არსად გამოჩენილა ასე ძველი მხატვრობა, რომ ღვთისმშობელი ჯვარსა ჰსახავდეს თამარს, როგორც აქ. გარდა ამისა, სადაც მოიპოვება თამარის ხატი, თვინიერ ამ უდაბნოსა, თითქმის ყველგან თამართან ერთად დახატულია გიორგიც და ღვით სოსლანიც, მეუღლე თამარისა; აქ კი ღვით სოსლანი არ არის. სასურველია, ეს ძველი მხატვრობა, ვიდრე მიეფარებოდეს მხედველობისგან, გადაღებულ იქმნას ფოტოგრაფიით მაინც.

მორჩილი რაჟდენ ბარამიძე

„ივერია“, 1895 წ. №57

* * *

გასართობი

— ჭკვიანად იყავ, ანაო, — ეუბნებოდა ერთი ბებია თავის შვიდის წლის გაჭირვებულს შვილიშვილს: ჩქარა მამიშენის ქორწილი იქნება, ახალი ღვინა გეყოლება და შენ წითულს კაბას ჩაგაცმევ...

— არა, არ ჩავიცვამ, არ მინდა მაგ ქორწილში წასვლა.

— მერე რატომ, გენაცვა.

— იმიტომ, რომ ჩემის პირველის ღვინის ქორწილში არ ვიყავ მიწვეული და მეჩოთირება ეხლა უცხოის ქორწილში ყოფნა.

* * *

თქვენი თავდაპირველი მტერი სასმელიაო, უთხრა მოძღვარმა ერთს კაცს.

— დიახ, ბატონო, მართალს ჰბრძანებთ,

მაგრამ სახარებაში ხომ სწერია: „გიყვარდეთ მტერი თქვენიო“.

— მართალია, სწერია, ხოლო ის კი არსად არის ნათქვამი, რომ „ჩაყლაპეთ მტერი თქვენიო“.

„ივერია“, 1887 წ. №136

* * *

სოფელს შქმერს აღმოსავლეთის მხრიდან ერთი ძლიერ მაღალი კლდე აქვს ჩამოფარებული: ეს კლდე, დაახლოებით 150 საჟენის სიმაღლეზე, ისე არის დაქანებული სოფელ ბოყვისკენ, რომ კაცს ასვლა არ შეუძლია. შუაგულს კლდეში თეთრად გამოსჩანს ეკლესიის კედელი და კედელში ღია კარი, რომელზედაც რაღაც კიბესავით არის გადმოკიდებული. არავის ახსოვს და არც გაუგონია, რომ ამ ეკლესიაში ვინმე შესულიყოს. ამბობენ, ვითომც საიდუმლო შესავალი ჰქონდეს კლდის ძირიდან, მაგრამ არავინ იცის სად იწყება ეს შესავალი. ძრეულ კარგი იქნებოდა, რომ ვინმე ითაებდეს და შესავალს კიბეს მოაწყობდეს. უსათუოდ ამ ეკლესიაში ძველი ნივთები იქნება შენახული.

„ივერია“, 1886 წ. №46

* * *

ხალხური ლექსები

ერეკლე და მისი ხმალი

ერეკლემ შემოუტია

ამ თავის გორდა ხმალსაო:

— რას შვრები, ჩემო ფრანგულო!

რატომ არ გამცემ ხმასაო?!

ხმალი:

გულ-უშიშრადა შემამკარ,
ძალი ატანე კლავსაო, —
და მაშინ სეირს მიეყურე,
სად გავაგორებ თავსაო!

„ივერია“, 1887 წ. №185

* * *

**ისტორიკოსთა და არხეოლოგთა
საყურადღებოდ**

წილკანში მიმავალს ყველას, უეჭველია, შეუნიშნავს ერთი ძველი ეკლესია, რომელიცა სდგას ესრედ წოდებულს „ახალ უბანში“, პატარა ფერდობზედ, და ჰშორავს წილკანს ორის ვერსის მანძილზედ. ეს ძველი, მაგრამ კოხტა ეკლესია, რომელიც მნახველს ღრმა სასოებისან ფიქრში ჩააგდებს, რისთვის არის დაობლებული და ხალხისაგან დავიწყებული, ჩვენ არ ვუწყით; მხოლოდ აქ წინად ხალხი მდგარა და უფრო ძველ დროში გაჩაღებული ქვეყანა ყოფილა თურმე. ძველი გარდმოცემა გვაუწყებს, რომ წილკანი ფრიად დიდი ქვეყანა ყოფილა, რაიცა მტკიცდება იქიდგან, რომ ს. ნაოზიდგან მოკიდებული ვიდრე ს. ქსოვრისამდე სიგძეზედ შეერთებული ყოფილა. მისაქციელი, ახალ უბანი, წილკანია ყურუს უბანი, დამპალა და ქსოვრისი. დაახლოებით ამ სოფლების სიგრძე იქნება ოცი ვერსი და ეს ადგილი მთლად გაშენებული ყოფილა ხალხით, ვენახ-საწნახლებით, სახნავ-სათესავებით და სხვ. ვფიქრობ, როდესაც წილკანი ძლიერ

გამრავლებულა, ხალხიც გასულ-გამოსულა, საცხოვრებლად სხვადასხვა ადგილას დამდგარა და უწოდებიათ ერთისათვის „ახალ უბანი“, მეორისთვის „ყურის-უბანი“ და სხვ. თითოეულს ჩამოთვლილს სოფლებში არიან ღირს-შესანიშნავი ძველი ეკლესიები, აწ მინგრეულ-მონგრეულნი; ამისთანა შესანიშნავი ეკლესია არის ქსოვრისისა, არც პატარა და გუმბათიანი. ეს ეკლესიები ვისგან და რა დროში არიან აშენებულნი არ ვუწყით, რადგან სამწუხაროდ ის გამოჩენილი ადგილები, სადაც ზედ-წარწერა ყოფილა, ჩამონგრეულა, ხოლო რაც შეეხება „ახალ უბნის“ ეკლესიას, იგი ცხოვლადა სჩანს ზედ წარწერიდგან, რომელიც არის შესავლის კარზე ზემოთ ქვაზედ ზეონაწერის მსგავსის ასოებით დაწერილი; „ქ. ნებითა და შეწვევითა ღვთისათა ზელ ვეავ და აღვაშენე ესე ყოვლად წმიდის საყდარი მე გოგინაშვილმა დათუნამა ერისთავის გიორგის დროსა და მდივანბეგის ბარძიმისა. ქკ“ -სა ტპ. (380=1692 წ.). აქედგანა სჩანს, რომ ეს საყდარი 202 წლისა წინათ არის აშენებული დიდად სასიხარულო იქნება ყველასათვის, თუ ყურადღებას მიაქცევენ ზოგიერთნი, განათლებულნი ამისთანა ძველს ეკლესიებს, თუ სადმე იპოვებიან, რომელთა თავზედ მრავალს „მტერთა და მბრძოლთა“ გრიგალს გადაუვლია, ჩვენამდის მოუღწევია და ჩვენ კი ასე გულგრილად უცქერთო...

*მღვდელი რაჟდენ აფციაური
„ივერია“, 1895 წ. №16
მოამზადა თუა ცაგურიშვილმა*

ქსოვრისის
ღვთისმშობლის
სახელობის ეკლესია





წმინდა წიგნები და ლაშქრობა

ბერძინი „წმინდა წიგნები“ სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებისთვის საღვთოდ მიჩნეულ წიგნებს ნიშნავს. მთელ მსოფლიოში მორწმუნეები მათ სწავლობენ და ცხოვრებაში ამ წიგნებით ხელმძღვანელობენ. წმინდა წიგნები მილიონობით მამაკაცს, ქალსა და ბავშვს უყვება, როგორ სწამდეთ, როგორ იფიქრონ, როგორ იცხოვრონ. ისინი შთააგონებენ ადამიანებს ხელოვნების დაიდა ნიმუშების შექმნას, გმირულ და კეთილშობილურ სიკვდილს, სულიერ სიმშვიდეს სიკვდილის, სასწარმოების, მოულოდნელად თავს დატყეობი უბედურების პირისპირ.

მრავალ წმინდა წიგნში შემონახული კრეაციონისტული მითები პასუხობს მნიშვნელოვან კითხვებს: „ვინ შექმენა?“ ან „რამდენ ხანს ვიარსებებთ?“ პასუხები ხშირად რელიგიური ხასიათისაა და მათში ძლევამოსილი ღმერთი ან ღმერთები არიან ჩარეული. კრეაციონისტული მითების უმრავლესობაში ღმერთები ღვთიურ კანონებს ქმნიან, რომლებიც ადამიანებმა უნდა ადასრულონ. ისინი ხშირად მკაცრია, მაგრამ ადამიანების ცხოვრებას აზრსა და შინაარსს მატებენ, რათა ამქვეყნიური არსებობა წესრიგს ემყარებოდეს და შემთხვევითობა გამოირიცხოს.

საკუთრების განმავლობაში იეროგლიფები (სიმბოლოებზე დაფუძნებული ეგვიპტური დამწერლობა) საიდუმლოებით იყო მოცული. 1799 წელს ეგვიპტის ქალაქ როზეტში აღმოჩენილ ქვაზე ერთი ტექსტი ამოკვეთილია იეროგლიფებით, დემოტიკური დამწერლობითა და ბერძნულად. მათი ერთმანეთთან შედარებით შესაძლებელი გახდა იეროგლიფების მნიშვნელობის დადგენა.



ზოგიერთი ცივილიზაცია საღვთო ტექსტების ჩასაწერად სიმბოლოებს იყენებდა და ეს სიმბოლოებიც წმინდად მიიჩნეოდა. მაგალითად, ძველ ეგვიპტეში იეროგლიფები (წმინდა დამწერლობა) ღმერთების სახელებისა და სხვა რელიგიური სიტყვების ჩასაწერად იყო განკუთვნილი. იეროგლიფებს მრწამსით იყენებდნენ და უფრო ხშირად კიდევც, რადგან სწამდათ, რომ ისინი ღმერთების ძალაუფლებას შეიცავდა.

ვედები (ინდუიზმის ღმერთებისა და ქალღმერთების სადიდებელი ჰიმნები) ჩვენამდე მოღწეული უძველესი წმინდა წიგნია. იგი ძვ.წ. 1500 წლისთვის შეიქმნა. თავდაპირველად მათ იმასწავლებდნენ და ზეპირად გადასცემდნენ მომავალ თაობას. მოგვიანებით ინდოელების წმინდა ენაზე, სანსკრიტზე ჩაიწერეს. ინდუსები წმინდა წიგნებად მიიჩნევენ აგრეთვე უპანიშადებს (სულიერ მოძვართა სწავლებანი), აგრეთვე „მაჰაბჰარატასა“ და „რამაიანას“ (რელიგიური პოემები ინდუსთა ღმერთებისა და გმირების თავგადასავლების შესახებ).

მრავალი საღვთო წიგნი ასწლებულების წინ ჩაწერეს. სამომრობის დროს მათ უსაფრთხო ადგილებზე გადაინახვდნენ. დაახლოებით 2000 წლის წინ, როდესაც ძველმა რომაელებმა ებრაელთა მიწა-წყალი დაიპყრეს, ებრაელებმა თავიანთი წმინდა წიგნების გრაგნილები თიხის ქოთნებში შეინახეს და მკვდარი ზღვის (ამჟამად ისრაელის ტერიტორიაზე) სიახლოვეს მდებარე გამოქვაბულში გადაამალეს. მკვდარი ზღვის გრაგნილები 1947 წელს აღმოაჩინეს და ისინი უძველესია დღემდე მოღწეულ ძველი აღთქმის ვერსიებს შორის.




ბუდისტების წმინდა წიგნს ტრიპიტაკა, ანუ „სამი კალათი“ ეწოდება, რადგან თავდაპირველად ისინი პალმის ფოთლებზე ჩაწერეს და ფოთლებს კალათებში ინახავდნენ. პირველი კალათის წესებში აღწერილია, როგორ უნდა იცხოვროს ბუდისტმა ბერმა. მეორე კალათი ბუდას ცხოვრებას ქებას, ხოლო მესამე — ბუდას მოძღვრებას ცხოვრების ჭეშმარიტი გზის შესახებ.

მსოფლიოს პირველი ნაბეჭდი რელიგიური ტექსტია VIII ს-ში ჩინეთში შესრულებული ბუდისტური წმინდა წიგნი, სახელწოდებით „ალმასის სუტრა“.

მუსლიმებს სწამთ, რომ მათი წმინდა წიგნი, ყურანი, ალაჰის (ღმერთის) ნამდვილ სიტყვებს შეიცავს და ყურანის ტექსტი ღმერთმა 570-632 წელს არაბეთში მცხოვრებ წინასწარმეტყველ მუჰამედს გაუმხილა. ისინი პატვს მიაგებენ და წმინდად მიაჩნიათ არაბული ენა, რომელზედაც ყურანია დაწერილი.

ძვ.წ. IV ს-ში ჩინელმა რელიგიურმა მოძღვარმა ლაო-ძიმ დაწერა წიგნი „დაო დე-ძინი“, რომელიც ადამიანებს მართებულად ცხოვრებას ასწავლის. ამისთვის მათ უნდა მისდიონ ტაოდ (გზად) წოდებულ დიდ ძალას.



დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ № 34-47

ნაწყობები წიგნიდან „ცოლნის სამყარო“. ბამომცემლობა „კალიტრა“

გასაოცარია

იუდეველებს, ქრისტიანებსა და მუსლიმებს წმინდა წიგნები აქვთ და მათ ზშირად „წიგნის ხალხის“ სახელით მოიხსენიებენ.



ღამითი და გოლიათი

მრავალი წმინდა წიგნი მოგვითხრობს გმირების შესახებ, რომლებიც რელიგიის სახელით იბრძოდნენ.



ებრაული თანახი და ქრისტიანული ძველი აღთქმა აღწერს, როგორ შეებრძოლა გმირი დავითი თავისი ხალხის, მიწა-წყლისა და ტრადიციული რწმენის დასაცავად გოლიათს. გოლიათი ძველი ხალხის ფილისტიმელების მოდგმისაა. მას შემდეგ, რაც დავითმა გოლიათი განგმირა, ტერმინი „ფილისტიმელი“ აღნიშნავდა „ხალხს, რომელიც რელიგიას ან კულტურას ეცილებდა“.

წმ. პავლე (ცხოვრობდა I ს-ში) ქრისტიანობის ერთ-ერთი პირველი მქადაგებელი იყო. მან რომის იმპერიის მრავალ კუთხეში იმოგზაურა და ქრისტეს მოძღვრებას ასწავლიდა. ქრისტიანული თემებისთვის მანვე დაწერა ეპისტოლეები (წერილები).


რელიგიური ფილოსოფოსი კონფუცი ჩინეთში ძვ.წ. 551-479 წლებში ცხოვრობდა და აღამიანებს ასწავლიდა, როგორ ეცხოვრათ სულიერ სიმშვიდეში ხუთი სათნოების საფუძველზე: სიკეთე, გულისხმიერება, სიბრძნე, თავმდაბლობა და სანდობა. მისი მოძღვრება გადმოცემულია წიგნში „ლუნ იუი“ („საუბრები და მსჯელობანი“). ჩინეთსა და აღმოსავლეთ აზიაში მრავალი ადამიანი დღესაც მისი სწავლების მიმდევარია.



სიქიზმი პენჯაბში (ინდოეთისა და პაკისტანის ნაწილი) გურუ (ბრძენი მეთაური) ნანაკმა 1499 წელს ჩამოაყალიბა. იგი ქადაგებს სიწმინდის დაცვას, თვითკონტროლს, გულმოწყალებასა და შემწყნარებლობას. სიქიზმის მიმდევრების წმინდა წიგნია „გურუ გრანტ საპიბი“. მის ასლებს მოწიწებით ეყვრობიან. სიქების სამლოცველოებში, გუდვარებში, წიგნი ბალიშება დასვენებული და ფურცლები რომ არ დაზიანდეს, ნაჭური აქვს გადაფარებული. ღამით ფრთხილად გადააქვთ შესანახად განკუთვნილ სპეციალურ ოთახში.

სიტყვები და ნახატები

XX ს-მდე ადამიანების დიდმა ნაწილმა კითხვა არ იცოდა. ამიტომ საღვთო წიგნების უმრავლესობა რელიგიური ხელნაწილების ნიმუშების გამოყენებით იყო ილუსტრირებული. ქრისტიანულ ქვეყნებში ნახატებით ზშირად ამკობდნენ კელესიების კედლებს და მლოცველებს მათი ცქერა შეძლოთ აქ ნაწვენებია ფრესკა ეთიოპიიდან, პირველი აფრიკული ქვეყნიდან, სადაც ქრისტიანობა 321 წელს ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა.



უბრძანებნი წიგნიდან წიგნიდან

ვედები	რელიგია	პირველად ჩაწერის თარიღი
უპანიშადები	ინდუიზმი	ძვ.წ. 1500
მაჰაბჰარატა	ინდუიზმი	ძვ.წ. 500
რამაიანა	ინდუიზმი	ძვ.წ. 400-ახ.წ. 400
თანახი	ინდუიზმი	ძვ.წ. 400-ახ.წ. 400
თორა	იუდაიზმი	ძვ.წ. 1200-დან მოყოლებული
ნევიმი (წინასწარმეტყველთა წიგნები)		
კუტუვიმი (ამბების წიგნი)	ახ.წ. 200-500	
თალმუდი (იუდაიზმის მოძღვრების სწავლებანი)	ბუდიზმი	ძვ.წ. 386-349
ტრიპიტაკა	ქრისტიანობა	ძვ.წ. 1200-დან მოყოლებული
ბიბლია	ქრისტიანობა	ახ.წ. 300 (როგორც კრებული)
ძველი აღთქმა (ებრაული თანახი)	ქრისტიანობა	ახ.წ. 643 (როგორც კრებული)
ახალი აღთქმა	ისლამი	ახ.წ. 643 (როგორც კრებული)
ყურანი		

მრავალი ბუდისტი

მამაკაცი და ქალი გარკვეული ხნით ბერად და მონაზვნად მიდის მონასტრებში, რათა მუტი შეიტყოს თავისი რელიგიის შესახებ. ეს ბპიკჰუ, ანუ ბუდისტი ბერი, საღვთო წიგნს კითხულობს.



ჰოეები და ხოანები

უძველესი დროიდან პოეტებს საზოგადოებაში გამორჩეული ადგილი ეკავათ. ყოველ ცივილიზაციაში მათ არსებული სამყაროს აღქმისა და წარმოსახვითი შექმნის განსაკუთრებული უნარის გამო ავილოებდნენ. დრამატურებმა (ძვ.წ. V ს.) და პროზაიკოსებმა (XV ს.) სახელი გაითქვეს ისეთი ნამუშევრების შექმნით, რომლებიც პროლოცირებას ახდენს, პროტესტს გამოხატავს, შთაგონების წყაროა და გასართობიც არის.

○ წარსულში მცხოვრები მრავალი პოეტის სახელი ჩვენთვის უცნობია. პირველი, კარგად ნაცნობი სახელი ძველი ბერძენი ჰომეროსია. მისი ეპოსები „ილიადა“ (ბერძენებისა და ქალაქ ტროის ომი) და „ოდისეა“ (ბერძენი გემრის, ოდისეის, თავგანსვლული) ძველ ტრადიციებზეა დაფუძნებული და პირველად დაახლოებით ძვ.წ. VIII ს-ში ჩაიწერეს.

○ შესაძლოა ჰომეროსი არც არსებობდა და მისი სახელი ძველ საბერძნეთში ერთ დროს მცხოვრებ პოეტთა ჯგუფს დაარქვეს. მათი საქმიანობა ამბების გადმოცემა იქნებოდა.

○ ჰომეროსის პოემის, „ილიადას“ ერთ-ერთი ყველაზე ცნო-



ჰაიკუ

„ძველი ტბორის სიჩუმე დაირღვა, ბაყაყი წყალში ჩახტა... ექოს ყრუ ხმა გაისმა“ — ეს სიტყვები იაპონური ლექსის, ჰაიკუს თარგმანია. ჰაიკუ მოკლე ლექსია. იგი იაპონიაში იქმნება და მხოლოდ 17 მარცვლისგან (დანაწევრებული ბგერები) შედგება. ჰაიკუს შთაგონების წყარო ხშირად არის ბუნების მოვლენა ან ხმები. მასში აღწერილია რაღაცაში ჩაწვდომის ან რაღაცის გაგების მომენტი, შესაძლოა თვალწინ გაუღვებული მოვლენაც, რამაც ავტორზე შთაბეჭდილება მოახდინა.



ბილი ეპიზოდია ბერძენების მიერ ქალაქ ტროის აღების მიზნით უზარმაზარი ხის ცხენის აგება. ცხენი ქალაქის კედლებთან დატოვეს, ბერძენებმა კი უკან დაიხიეს, თითქოს საომარ ადგილს ტოვებდნენ. ცნობისმოყვარე ტროელებმა ღამით ცხენი ქალაქში შეიტანეს. მათ თავზარი დაეცათ, როდესაც ცხენიდან საომრად აღჭურვილი ბერძენი ჯარისკაცები გადმოხტნენ და ქალაქის ჭიშკარი გააღდეს, რომელშიც ბერძენთა არმია შეიჭრა.

○ მრავალი ცნობილი პოემა გალექსილ ამბავს მოგვითხრობს. თავდაპირველად, ისინი ზეპირად წარმოსათქმელად იქმნებოდა. მათში იყო დრამატული პერსონაჟები, მკაცრად დაცული რიტმი და ადვილად დასამახსოვრებელი რითმა. ამგვარი ნაწარმოებებიდან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია ობობა ანანის ამბავი. ამ წიგნს

○ რობინ ჰუდის ლექსები პირველად დაახლოებით 1350 წელს დაიწერა და მათში აღწერილია ინგლისელი ტყის ყაჩაღის თავგანსვალის მხიარულ მეგობრებსა და შეყვარებულთან, მერიენთან ერთად, რობინ ჰუდი მდიდრებს ძარცვავს და ღარიბებს ეხმარება.

მთელ მსოფლიოში იცნობენ.

○ ძველი დროის პოეტები თხზავდნენ ამბებს მამაცი რაინდებისა და კეთილშობილი ქალბატონების შესახებ. ლექსები და პოემები დაფუძნებული იყო ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებზე და მათში კულტური და გერმანული ლექსები ქრისტიანულ რწმენასთან იყო შეხამებული.

○ ძველი ლექსები და პოემები ხშირად ძალიან გრძელი იყო და რთულად დასამახსოვრებელი რითმებით გამოირჩეოდა. თანამედროვე პოეტები ქმნიან უფრო მოკლე ნაწარმოებებს, თუმცა მათში რითმა შესაძლოა სრულებით არ იყოს. ძველიც და ახალიც, ლექსი თუ პოემა ერთ მიზანს ისახავს — ენის გამოყენებით რაღაც ახალი და დასამახსოვრებელი თქვას სამყაროს შესახებ.

○ XIV ს-ისთვის ვეროპაში პოპულარობა მოიხვეჭა ამბების კრებულებმა. მათ მალე „ნოველები“ უწოდეს იტალიური სიტყვის (ნოველა) მიხედვით, რაც „სიხალისე, ახალ ამბავს“ ნიშნავს. XVII ს-ში ნოველა თანამედროვე სახის რომანად ჩამოყალიბდა — ეს არის გრძელი, გამოგონილი ამბავი დასამახსოვრებელი პერსონაჟებით.

○ რომანები პოპულარული XVII ს-იდან გახდა. როდესაც ადამიანების უმეტესობამ კითხვა ისწავლა, გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკები და რომანებმა ნელ-ნელა მიიზიდა მკითხველთა ფართო წრე.

○ რომანებში ყოველთვის არ არის მოთხრობილი მნიშვნელოვანი მოვლენების ან თავ-

განსაზრები

როდესაც 1605 წელს „ღონ კიხოტ ლამანჩოს“ პირველი ნაწილი გამოიცა, მამიწვე ბესტსელერად იქცა. ეს იყო პირველი თანამედროვე სახის რომანი, რომელიც ესპანელმა მწერალმა, მიგელ დე სერვანტესმა (1547-1616) შექმნა.




❶ XVIII ს-ის მიწურულს ბრიტანელი პოეტები ლიტერატურული მასალის შესაგროვებლად ინგლისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტბების მხარეში მიდიან და ბუნების ჭერტით მოგვირეილი გრძობების შესახებ წერენ. რობერტ საუტი (1774-1843), უილიამ უორდსუორთი (1770-1850) და სემიუელ ტეილორ კოლრიჯი (1772-1834) „ტბების პოეტებად“ იწოდებიან. ბუნების შესახებ დაწერილი ლექსებით ისინი სიღრმისეულ გრძობებს გამოხატავენ და გარემომცველი სამყაროს მოვლენებს ეხმაურებოდნენ.

გადასავლების შესახებ. ჯეინ ოსტინი (1775-1817) ადამიანებზე ყურადღებით დაკვირვებითა და იუმორით მათი ხასიათების გადმოცემის უბადლო ოსტატი იყო. მის რომანებს შორისაა „გრძობა და მგრძობებლობა“, „ემა“, „სიაბაყე და ცრურწმენა“.

❷ XIX-XX სს-ის ზოგიერთი სახელგანთქმული ნაწარმოები მათმა ავტორებმა ბავშვებისთვის დაწერეს. ასეთი ტექსტები ხშირად ილუსტრაციებს შეიცავდა. სურათები და სიტყვები ერთად ჯადოსნურ, წარმოსახვით სამყაროს ქმნიდა.

❸ ბრიტანელების ერთ-ერთი საყვარელი პოეტია ჯონ კიტსი (1792-1821). 1818-1819 წლებში მან შესანიშნავი ლექსები დაწერა: „ოდა ბუბლუს“, „შემოდგომა“, „წმინდა აგნესა“. ის ტუბერკულოზით მიძიმდ იყო ავად. 1820 წელს კიტსი ინგლისის ცოცხალი გაქცა. იგი იტალიაში 25 წლისა გარდაიცვალა.



სახელგანთქმული პერსონაჟები

რომანის ავტორების მიერ შექმნილი ზოგიერთი პერსონაჟი საყოველთაოდ ცნობილია და ადამიანების მხოლოდ მცირე ნაწილმა იცის, რომ ისინი რეალურად არ არსებობდნენ. ტაძრის სამრეკლოზე მცხოვრები კვაზიმოდოს ტრაგიკული პერსონაჟი ფრანგი მწერლის, ვიქტორ ჰიუგოს (1802-1885) რომანში — „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ გვხვდება. ცალფეხა მეკობრე ავლავუდა ჯონ სილვერი თავისი შემახილით „ო-პო-პო-პო, და ერთი ბოთლი რომი!“ შოტლანდიელი მწერლის, რობერტ ლუი სტივენსონის (1850-1894) „განძის კუნძულის“ პერსონაჟია. ბრწყინვალე გამოძიებელი, შერლოკ ჰოლმსი და მისი განუყვრელი მეგობარი, ექიმი უოტსონი, შოტლანდიელი ექიმის, ართურ კონან დოილის (1859-1830) მოთხრობების გმირები არიან.



❹ ელიზაბეტ ბარეტ ბროუნინგი (1806-1861) XIX ს-ის ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული პოეტი იყო. მან სახელი გაითქვა ნაზი, ამაღლელებზე სისიყვარულო ლექსებითა და თავისი შეხედულებებით პოლიტიკის, მონობის, საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის შესახებ. 1844 წელს გამოცემული მისი ლექსების მეთრე კრებულს, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ „ლექსები“ ეწოდებოდა, დიდი მოწონება ხვდა.

❺ XIX ს-ის მწერლები ქმნიდნენ წიგნებს, რომლებშიც ნაჩვენებია, როგორ შეიძლება შეცვალოს საზოგადოების ცხოვრება ახალმა სამეცნიერო და ტექნოლოგიურმა გამოგონებებმა. ამგვარი ტიპის ნაწარმოებებისგან ჩამოყალიბდა ახალი ჟანრი — სამეცნიერო ფანტასტიკა. მეცნიერული ცოდნის მქონე თანამედროვე ფანტასტიკა მწერლებმა, მაგალითად, ისაკ აზიმოვმა (1920-1992) და ართურ ჩარლზ კლარკმა (1917-2006) რთული, მაგრამ სარწმუნო ფანტასტიკური თავგადასავლები შექმნეს.

❻ 1719 წელს ინგლისელმა მწერალმა დანიელ დეფომ გამოცა წიგნი, რომელშიც აღწერილია გემის კატასტროფის გადარჩენილი მეზღვაურის, რობინზონ კრუსოს მართლმართო ცხოვრება ერთ-ერთ ტროპიკულ კუნძულზე. დეფოს მონათხრობი რეალურ ამბავს ეფუძნება:




შოტლანდიელმა მეზღვაურმა ალექსანდრ სელკირკმა სამხრეთ ამერიკისთან მდებარე ერთ-ერთ კუნძულზე ხუთი წელი გაატარა.

ბაჭყალი და ბამოსეა

აერ კიდევ 500 წლის წინ წიგნი ძალიან ცოტა იყო. წიგნი, ძირითადად, ხელით იწერებოდა და საკმაოდ ძვირი ღირდა. 1440 წლისთვის გერმანელმა გამოგონებელმა იოჰან გუტენბერგმა შექმნა დანადგარი, რომლითაც ბევრი წიგნის გამოცემა იყო შესაძლებელი. ეს წიგნების შექმნის რევოლუციურ გზას წარმოადგენდა, ისინი მრავალი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი და იაფი გახდა. დღეს ნაბეჭდი წიგნი ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო და გართობის საშუალებაა. ყოველწლიურად ასობით და ათასობით ახალი წიგნი გამოდის.

○ გუტენბერგის მოწყობილობა — საბეჭდი დაზგა — მოძრავ შრიფტს იყენებდა. დახლოებული ოსტატები ასობით სტრიქონებსა და გვერდებს აწყობდნენ და მათ საბეჭდ ფორმებში ალაგებდნენ. შზა ფორმას მელნის თხელი ფენით ფარავდნენ და ზემოდან ქაღალდს აფარებდნენ, რომელსაც ხის წნეხის ქვეშ ათავსებდნენ. შემდეგ ტექსტის ანაბეჭდიან ქაღალდს წნეხიდან გამოიღებდნენ და აშრობდნენ.

○ ბეჭდვა ახალი გამოგონება არ იყო. პირველი ნაბეჭდი გვერდები ჩინეთში VIII ს-ში იქმნებოდა. მაგრამ ჩინური მეთოდით წიგნის თითოეული გვერდი ჯერ ხის დაფაზე უნდა ამოკვეთილიყო. გუტენბერგის მოძრავი შრიფტით კი წიგნის ბეჭდვა უფრო ადვილი, სწრაფი და მოქნილი გახდა.



◀ 1850 წლისთვის ევროპისა და აშშ-ის ინდუსტრიულ ცენტრებში უზარმაზარი სტამბები სულ რამდენიმე დღეში ათასობით წიგნს, გაზეთსა და ილუსტრირებულ ჟურნალს ბეჭდავდა. 1846 წელს გამოგონებულ ორთქლის ძრავაზე მომუშავე როტაციულ საბეჭდ მანქანას საათში 8000 ფურცლის დაბეჭდვა შეეძლო. დღეს კომპიუტერით კონტროლირებად საბეჭდ დანადგარს უმაღლესი ხარისხის ფერადი ნაბეჭდი პროდუქციის სწრაფად, მარტყვად და იაფად გამოშვება შეუძლია.

○ როდესაც XVI ს-ისთვის დაბეჭდილი წიგნები ფართოდ ხელმისაწვდომი გახდა, ბევრმა ისწავლა წერა-კითხვა. ამ დიდი ბაზრის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად მალე გაზეთების, პამფლეტების, პლაკატებისა და სიმღერების ნოტების დიდი რაოდენობით გამოშვება დაიწყო.

○ წიგნებს, გაზეთებსა და ჟურნალებს საგამომცემლო (ანუ მედია) კომპანიები უშვებენ. ისინი მათთვის გაგზავნილი ხელნაწერებიდან ან სტატიებიდან საუკეთესოს ირჩევენ, ან უკეთეს სასურველი ნამუშევრის შესრულებას.

გუტენბერგის დაზგა

დაახლოებით 1438 წელს გერმანელმა იოჰანეს გუტენბერგმა განავითარა ბეჭდვის პროცესი მოძრავი შრიფტის გამოყენებით. პირველად მან ლითონისგან ათასობით ასო-ნიშანი დაამზადა. მათი მემულობით სტრიქონებსა და გვერდებს ხის საბეჭდ ფორმებში აწყობდნენ და ისე ბეჭდავდნენ. ეს უფრო სწრაფი და მარტყვი მეთოდი იყო, ვიდრე დასაბეჭდი წიგნის გვერდის ხის ბლოკზე ამოჭრა.



◀ ყველა დროის ბესტსელერი ბიბლიაა. უკვე ასწლეულებია, ბიბლიის ექვს მილიარდზე მეტი კოპიისგან იყიდება. მრავალი გამომცემლის სურვილია ბესტსელერის შექმნა.



ზოგიერთი ავტორი წიგნებს ხელთ წერს, სხვები კომპიუტერთან მუშაობას არჩევენ და ბოლო ვერსიის მიღებამდე მრავალჯერ ასწორებენ მას.

ნებისმიერი წიგნის, მხატვრულის თუ არამხატვრულის შექმნისას ამოსავალი ავტორია. წერის დაწყებამდე ავტორი მრავალ კვირას უთმობს საჭირო თემაზე კვლევას და შენიშვნებს იწერს, როგორი უნდა იყოს ძირითადი წიგნი.

წიგნის ილუსტრატორები იღებენ ვიზუალურ ინფორმაციად გარდაქმნიან. როგორც წესი, ისინი ერთი რომელიმე ჟანრის წიგნებზე მუშაობენ — მხატვრულ ან საცნობარო ლიტერატურაზე. ფოტოგრაფები უზრუნველყოფენ წიგნისთვის საჭირო ფოტოების გადაღებასა და მიწოდებას იდეის თვალსაჩინოდ ასახვისთვის ან ფოტოთი განსაკუთრებული ატმოსფეროს შექმნისთვის.

გამომცემლობაში ავტორის ტექსტზე რედაქტორი მუშაობს, ასწორებს შესაძლო შეცდომებს, სთავაზობს პასაჟების შეცვლას, ეკითხება ბუნდოვანი ადგილების შესახებ. რედაქტორი მჭიდროდ თანამშრომლობს დიზაინერთან, ისინი ერთად მუშაობენ წიგნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაზე.

როდესაც ტექსტი და ილუსტრაციები მზად არის, დამკაბადონებლის მომზადებული საბოლოო ვერსიის ელექტრონული ფორმა სტამბაში იგზავნება. აქ იგი ფერად ფირზე გადააქვთ ან ფერად პრინტერთან მიერთებული სპეციალური კომპი-



გამომცემლობაში რედაქტორები ავტორის ტექსტზე მუშაობენ, ხოლო დიზაინერები გვერდებს, როგორი იქნება გვერდები. ისინი ირჩევენ შრიფტის ზომასა და სახეობას, ილუსტრირებული წიგნის შემთხვევაში წვევებენ, როგორ უნდა განთავსდეს ტექსტი და ნახატები, რომ ისინი ერთმანეთს შეესაბამებოდეს. გარდა ამისა, დიზაინერი ილუსტრატორს დაწვრილებით აღწერს, რას უნდა ასახავდეს ილუსტრაცია.



დიზაინერის მითითების საფუძველზე ილუსტრატორი ფანქრით ესკიზებს ამზადებს. თუ მათ მოიწონებენ, საბოლოო ვერსიას ფერებით დახატავს ან ნახატის ციფრულ ვერსიას შექმნის შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.

ელექტრონული წიგნები

ელექტრონული წიგნების გადმოწერა ინტერნეტში შესაძლებელია. მათ კითხულობენ კომპიუტერში, ხელის ელექტრონული საკითხავი მოწყობილობით ან აიფონით. 2009 წლის ბოლოს ინტერნეტში 2 მლნ-ზე მეტი ელექტრონული წიგნი იყო განთავსებული.



გაზეთები იბეჭდება ოფსეტურ საბეჭდო დანადგარებზე. დანადგარს ქაღალდი უზარმასარი რულონებიდან მიჰქონება — წუთში 1000 მ. დაბეჭდილი ფურცლები იკეცება და იჭრება, რის შემდეგაც მზად არის დისტრიბუციისთვის.

უტერების მეშვეობით ბეჭდავენ. თანამედროვე პრინტერები ძალიან სწრაფია, როგორც წესი, ერთდროულად რვა გვერდი იბეჭდება ქაღალდის უზარმასარი რულონებზე. შემდეგ ნაბეჭდი იკეცება, იჭრება, იკრება და იკინძება დასრულებული წიგნის მისაღებად.

დაბეჭდილი წიგნები და ჟურნალები გამომცემლის საწყობში ინახება. წიგნის მაღაზიები და ბიბლიოთეკები მათთვის საინტერესო წიგნებს გამომცემლობისგან იძენენ.

გასაოცარი
ვევლა ღრის უგრძესი რომანია მარსელ პრუსტის „დაკარგული ღრის ძიებაში“ — იგი 9 609 000 ასო-ნიშნისგან შედგება.

ხელითაუწყებლობის სათავეებთან

ბოლო ასი წელია რადიომუწყებლობა მთელ მსოფლიოში გადასცემს ახალ ამბებს, მოსაზრებებს, ხელოვნების, სპორტის, მუსიკისა და თეატრის სიახლეებს. რადიომუწყებლობის სისტემიდან თავდაპირველად რადიო გამოიგონეს. 1920 წლისთვის მთელ მსოფლიოში 1500 ლიცენზირებული რადიოგადამცემი სადგური და 4 მლნ სახლის რადიომიმღები არსებობდა.

ბასაოცარია
დღეს ჩვენს ხელთაა MP3 მოწყობილობები, რომელთა საშუალებით მუსიკალური ფაილებისა და ინტერნეტიდან გადმოწერილი რადიოგადამცემების მოსმენაა შესაძლებელი. არსებობს ჯიბის ტელევიზორებიც.

იტალიელმა მეცნიერმა გულიელმო მარკონიმ პირველმა გამოიყენა რადიოტალღები კომუნიკაციისთვის. მან 1895 წელს შექმნა პირველი რადიოაპარატი, რომელიც მხოლოდ მორზეს ანბანით დაშიფრულ შეტყობინებებს გადასცემდა. მაგრამ 1897 წელს მარკონიმ 19 კმ-ით დაშორებულ ადგილზე რადიოთი გრძელი შეტყობინებების გადაცემა შეძლო. 1901 წელს ატლანტის ოკეანის გავლით პირველი უკაბელო რადიო-შეტყობინება გადასცა.



პირველი რადიო მხოლოდ მარტვი შეტყობინებების გადასაცემად იყო განკუთვნილი, 1906 წელს მუსიკალური გადაცემებიც დაემატა. 1940-იან წლებში გადაღებულ ამ ფოტოზე გამოსახულია ეროპასა და აშშ-ში გავრცელებული რადიომიმღები. იგი ტელევიზიის გამოგონებამდე ყველაზე პოპულარული ოჯახური გაართობის საშუალება იყო.



რადიოსისტემა რამდენიმე დამოუკიდებელი ელემენტისგან შედგება. მიკროფონის დახმარებით ელექტროსიგნალები (სინათლის სიჩქარით მოძრავი ელექტრომაგნიტური ტალღები) ბგერებად გარდაიქმნება. ელექტრომილაკები ან ტრანზისტორები მათ აძლიერებს. გადამცემები მათ მთელ მსოფლიოში გზავნიან. ანტენები იღებს გადაცემულ სიგნალებს და სხვა მაძლიერებლებს გადასცემს. ისინი გადადის თითოეული რადიომიმღების დინამიკებში, ტიუნერებსა და ხმის სიძლიერის მაკონტროლებლებში.

პირველი რადიომიმღებები უზარმაზარი, მძიმე, მასიური ხის ყუთები იყო ფართო დინამიკებით და მინის მყიფე ელექტრომილაკებით (ბგერის გასაძლიერებლად გამოყენებული ელექტრონული კომპონენტი) მის შიგნით. პირველი პორტატიული რადიომიმღები 1923 წელს შეიქმნა. ავტორალიები 1929 წელს გამოიგონეს.

ტელევიზია სკანირებულ გამოსახულებას ელექტროსიგნალად გარდაქმნის და მათ კაბელების ან ჰაერში რადიოსიგნალების დახმარებით გზავნის. ტელევიზორი იჭერს სიგნალებს, ისევ გამოსახულებად გარდაქმნის და ეკრანზე უჩვენებს. 1925 წლიდან მოყოლებული ტელევიზიის რამდენიმე განსხვავებული სისტემა გამოიგონეს.

1901 წლიდან შესაძლებელი გახდა რადიოშეტყობინებების გაგზავნა ატლანტის ოკეანის გავლით. თავდაპირველად, 1906 წელს ექსპერიმენტისთვის მუსიკალური გადაცემა გადაიცა.


1916 წლიდან რადიოსადგურებმა რეგულარული მუწყებლობა დაიწყეს, გადასცემდნენ ცამოცხონით ჩაწერილ კონცერტებს ან რადიოსტუდიაში მიწვეული მუსიკოსების ცოცხლად შესრულებულ ნაწარმოებებს.

რადიოს რეგოლაციური გარდაქმნა 1950-იან წლების მიწურულსა და 1960-იან წლებში გან-

პორტატიული ვიდეოკამერები

პორტატიული ვიდეოკამერების დახმარებით ადამიანებს ადვილად შეუძლიათ თავად გადაიღონ ფილმები. ასეთ ფილმებს სპეციფიკური, ხელში დაჭერილი კამერით გადაღებულის ეფექტი აქვთ, რასაც ზოგჯერ პოლიფედურ ფილმებში იყენებენ, როდესაც რეპორტაჟების იმიტაცია სურთ. გარდა ამისა, ასეთი კამერებით იზოლირებულ ადგილებში, საომარი მოქმედებების არეალში მონვედრილი რეპორტიორები მუშაობენ, როდესაც სახიფათოა დიდი კამერისა და სრული ჩამწერი აპარატურის გამოყენება.





ბრიტანელმა გამომგონებელმა ჯონ ლოუჯ ბერდმა (1888-1946) ტელევიზიის პირველი დემონსტრირება 1925 წელს მოახდინა. მისი მოწყობილობა სხვა დეტალებთან ერთად ნამცხვრის საცხობ თუნუქის ფორმებსა და საკვრე ნემსებსაც შეიცავდა. სისტემამ ჩამოყალიბებული სახე XX საუკუნის 50-იან წლებში მიიღო. გადაცემები შავ-თეთრი იყო და პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. ფერადი გადაცემები 1953 წელს შეიქმნა, მაგრამ საყოველთაოდ მხოლოდ 1960-იანი წლებიდან გავრცელდა.

ხორციელდა ტრანზისტორების (მინიატურული გადამრთველები და მაძლიერებლები) და მიკროჩიპების (სილიკონის შრეებზე დატანილი პაწაწინა ელექტრონურედეები) გამოგონების შემდეგ. რადიო მცირე ზომის, მსუბუქი და გადასატანად ადვილი გახდა.

1920-1930-იან წლებში საჯაროდ გადაიცემოდა მნიშვნელოვანი სპორტული დონისხივები, საეკლესიო დღეთსმსახურებები და სამეფო ოჯახთან დაკავშირებული მოვლენები. ბრიტანეთში 1934 წელს მეფე გეორგ V-მ პირველად მიულოცა მსმენელს შობა. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება.

მეცნიერი, რომელმაც პირველი სანდო სატელევიზიო კამერა გამოიგონა XX საუკუნის 30-იან წლებში, შიშობდა, რომ ტელევიზია დროის ფლანგვის ზელშემწეობი მანამდე არანახული საშუალება იქნებოდა და ყველას აფრთხილებდა, „ტელევიზია გონიერულად გამოიყენეთ“.

მსოფლიოში პირველი რეგულარული სატელევიზიო გადაცემები 1936-1937 წლებში ბრიტანეთის ტელერადიომაუწყებლობის კომპანიამ (ბი-ბი-სი) დაიწყო. დიქტორები საღამოს წვეულებებზე ჩასაცემლ სამოსს ატარებდნენ.

ფერადი ტელემაუწყებლობა

1951 წელს აშშ-ში დაიწყო. 1956 წელს სატელევიზიო გადაცემების ვიდეოჩაწერა გამოიგონეს.

აშშ-ში მეცნიერებმა ტელერადიომაუწყებლობის სფეროში გადატრიალება მოახდინეს 1969 წელს, როდესაც მათ მიერ გაგზავნილმა კოსმოსურმა ზომალდმა დედამიწაზე გადმოგზავნა მთვარეზე გადასული პირველი ადამიანის ნაბიჯების გამოსახულება. მთვარეზე ადამიანის პირველ ნაბიჯებს მთელი მსოფლიოს ტელევიზიები გადასცემდნენ.

1979 წელს „სონის“ კორპორაციის ხელმძღვანელმა, იაპონელმა ბიზნესმენმა აკიო მორიტამ ბატარეაზე მომუშავე პორტატიული მაგნიტოფონი გამოიგონა და მას „უოქმენი“ უწოდა. გვიანდელი გამოგონებებია პერსონალური რადიო და CD-პლეიერები.



ტელერადიომაუწყებლობის თანამგზავრები

სატელევიზიო გამოსახულება და ხმა მთელ მსოფლიოში ვრცელდება. ერთი ადგილიდან კოსმოსში გაშვებული თანამგზავრების დახმარებით ისინი სხვა ადგილზე გადაიცემა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოცხალ ეთერში უზადლო გამოსახულებას მსოფლიოს მრავალ წერტილში ერთდროულად უცქერენ. გლობალური გადამცემების მეშვეობით მსმენელსა და მაყურებელს შეუძლია აირჩიოს უახლესი საერთაშორისო პროდუქცია და არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ ადგილობრივ ან ტრადიციულ მედიაპროდუქციაზე. ზოგიერთი ადამიანი შიშობს, რომ ეს თანდათან ადგილობრივი კულტურების დასუსტებას და შემდეგ მათ სრულ გაქრობას გამოიწვევს.



პირველი ტელეგადაცემა 1929 წელს განხორციელდა. პირველი გადამცემები უფრო აუჯს ჰგავდა. 1949 წელს შეიქმნა „პარდიკას“ პირველი მოდელი, რომელიც იშვიათ და ძვირ ვაზემპლარს წარმოადგენდა, მაგრამ ეს იყო გარსშემოდენილი ფორმისა და თანამედროვე დიზაინის დანადგარი, რომლის ფუნქციონალური ელემენტები თვალისთვის დაფარული იყო. დღეს მსოფლიოს ოჯახების უმრავლესობას შინ ტელევიზორი აქვს.



ჯეიმზ ჯოისი

დუბლინელები

24 ნოემბრიდან

1 დეკემბრამდე

კიდევ 49 წიგნი რომელიც უნდა წაიკითხოთ,
სანამ ცოცხალი ხარ



ლევ ტოლსტოი

ანდგობა

8-დან

15 დეკემბრამდე

გაზეთ „კვირის კალიტრასთან“ ერთად

საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის

24 ტომი

დაინახე შენი ისტორია



ISSN 2233-3843



1 დეკემბრიდან
წიგნი 2
თბილისის ისტორია
გაზეთ „კვირის პალიტრასთან“
ერთად



შემდეგი წიგნი
თბილისის ისტორია
გაზეთთან ერთად

წიგნის საცხილური ფასი **7 ლარი**
გაზეთთან ერთად 8 ლარი

